

ნონა მიკაია

Nona Mikaia


ძიებაში სრულყოფისათვის, არ არსებობს ენერგიის
და დროის მცირე დაკარგვა
ბენ ჰოგანი

„There are no shortcuts in the quest for perfection“
BEN HOGAN

ზოგიერთი ულვაშვირფიტოვანი ხოჭოს ცემატოზარეა საქართველოში

SOME of SCARABAEIDAE BEETLES

NEMATOFAUNA in GEORGIA



ნონა მიქაია

Nona Mikiaia

**ზოგიერთი ულვაშვილფიტრის ხოჭოს
ნემატოფაუნა საქართველოში**

**SOME of SCARABAEIDAE BEETLES
NEMATOFAUNA in GEORGIA**

გამომცემლობა “საქართველოს მაცნე”
Publishing House “Georgian Macne”

თბილისი – Tbilisi 2009

შპბ (UDC) 595.132

ა-74

მონოგრაფია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უმაღლესი სახწავლებლების საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, ის სასარგებლო იქნება აგრეთვე დოქტორანტებისა და მეცნიერ-თანამშრომლებისათვის, რომლებიც თავიანთ სამეცნიერო, თუ პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებენ ნემატოდებს, უხერხემლოების ჯგუფს, იდენტიფიცირებისა და მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის.

The monograph may be used by the students of Bachelor's and Master's Degree of the faculty of Natural Sciences, of higher educational Institutes, it will be also useful for Doctoral candidates and Scientific workers, who in scientific and practical activities apply nematodes, the invertebrate groups for identification and for biological control of pest insects.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რედაქტორს, პროფესორ ირაკლი ელიავას, რეცენზერტებს პროფესორ ერისტო ყვავაძეს და დოქტორ არნე პეტერს (გერმანია, რაისდორფი), სასარგებლო დისკუსიებისა და რჩევებისათვის.

I would like to express gratitude to the editor, Professor Irakli Eliava, to the Reviewers: Professor Eristo Kvavadze and Doctor Arne Peters (Germany, Raisdorf) for useful discussions and advices.

რედაქტორი:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი

პროფესორი **ი. ელიავა**

Editor: Member of the Georgian National Academy

Professor **I. Eliava**

რეცენზენტები:

Reviewers:

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი **ერისტო ყვავაძე**

Doctor of Biological Sciences

Professor **Eristo Kvavadze**

დოქტორი **არნე პეტერსი** (გერმანია, რაისდორფი)

Doctor Ph.D. **Arne Peters – E-nema** (Germany, Raisdorf)

გმომცემლობა “საქართველოს მაცნე”

Publishing House “Georgian Macne”

თბილისი – Tbilisi 2009

ISBN 978-9941-0-1802-2

სარჩევი

| | |
|--|----|
| შესახალი | 10 |
| საქართველოს მოპლე ფიზიკურ-ბეოგრაფიული დანასიათება | 15 |
| საქართველოს დაყოფა ბუნებრივ-ისტორიულ ოლქებად | 15 |
| ნებატოლებზე გამოკვლეული ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების განაწილება ბუნებრივ-ისტორიულ ოლქებში | 18 |
| ეცერომოებელმითოლოგიის განვითარების მოპლე ისტორია | 23 |
| მასალა და მეთოდიკა | 28 |
| ნებატოლებზე გამოკვლეული ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების გავრცელების რაიონები. მასალის შეგროვება | 28 |
| მასალის გაცვეთის ტექნიკა, დროებითი და მუდმივი პრეპარატის დამზადება. ნებატოლების იდენტიფიკაცია | 29 |
| ენტომოპათოგენური ნებატოლების კულტივირება ხელოვნურ საკვებ არეებზე და მათი კონსერვირება | 32 |

| | |
|--|------------|
| ულვაშფირფიტოვანი (Scarabaeidae) | 38 |
| სობისის, ივნისის, მარტარა ხოჭოებისა და ამიერკავკასიის მარტორქას მოქლე დახასიათება | 38 |
| მწვანე ბრინჯაულას, აპრილის ხოჭოს, უნგრული, ძესაფლავის, ბანჯგვლიანი ბრინჯაულას მოქლე დახასიათება | 43 |
| ულვაშფირფიტოვანი სოჭოების ნემატოდების ტაქსონომიური მიმოხილვა და ფარენსტური ანალიზი | 50 |
| <i>Rhabditidae</i> -ს, <i>Heterorhabditidae</i> -ს, <i>Steinernematidae</i> -ს, <i>Diplogasteridae</i> -ს, ოჯახის ნემატოდების ტაქსონომიური მიმოხილვა | 50 |
| <i>Thelastomatidae</i> -ს, და <i>Mermithidae</i> -ს ოჯახის ნემატოდების ტაქსონომიური მიმოხილვა | 73 |
| ულვაშფირფიტოვანი სოჭოების ნემატოდების ბიოეპოლოგიური დახასიათება | 116 |
| ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების სანეიტრიკი შედეგები | 116 |
| ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების განსხვავება მასპინძლების მიხედვით | 118 |
| ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების მსგავსების კოეფიციენტი მასპინძლების მიხედვით | 123 |

ქ. თბილისში, ედინარე ვერეს ხეობაში
სოჭოების ცემატოდებით დაინიშავილების
დინამიკა 1995-1996 წლ.

124

ნეტომოპათოგენერი ცემატოდების Steinernema
carpocapsae და Heterorhabditis poinari-ს თუთის აბრა-
შების აარაგნებელაზე და სოჭო-მარტო-
რეაცი ზემოქმედების შესტაგლა ლაბორა-
ტორიულ და საგელე პირობებში

136

ენტომოპათოგენური ნემატოდების Steinernema
carpocapsae და Heterorhabditis poinari-ს
თუთის აბრაშების პარამეტებისაზე და ხოჭო-
მარტორქაზე ზემოქმედების შესწავლა
ლაბორატორიულ პირობებში

136

ენტომოპათოგენური ნემატოდების Steinernema
carpocapsae და Heterorhabditis poinari-ს
ხოჭო-მარტორქაზე ზემოქმედების შესწავლა
საგელე პირობებში

139

| | |
|-----------------|-----|
| დასკვნები | 144 |
| SUMMARY | 148 |
| ლიტერატურის სია | 155 |
| დანართი | 163 |

შინაგანი საქართველო

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს კულტურული მცენარეებისა და ტყის მერქნიანი ჯიშების მავნებელი ულვაშვირთუიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნა და მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. მოცემულია ცალკეულ სახეობათა აღწერა და სურათები, წარმოდგენილია ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები და გაანალიზებულია მათი შედეგები. ნემატოდები, ანუ მრგვალი ჭიები ერთერთი ყველაზე მრავალფეროვანი ფართოდ გავრცელებული ორგანიზმებია, რომელთაც სამართლიანად უწოდებენ უხერხემლო ორგანიზმების დომინანტ ჯგუფს. მათი რიცხოვნობა მუდმივად იზრდება, მიმდინარეობს ახალი ეკოტოპების დაპყრობა. პარაზიტული ნემატოდები ორგანიზმების სპეციალიზებულ ჯგუფს წარმოადგენ. ბოლო წლებში მნიშვნელოვანად გაიზარდა ინტერესი მწერების ნემატოდების ფაუნის, სისტემატიკისა და ბიოლოგიის შესწავლის მიმართ, მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის. ბევრ ქვეყანაში (აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, ისრაელი, ბელგია, ესპანეთი) ფართოდ გამოიყენება ენტომოპათოგენური ნემატოდები სოფლის მეურნეობაში მავნე მწერების რიცხოვნობის რეგულირებისათვის. საქართველოში, ულვაშვირთუიტოვანი ხოჭოების ნემატოდები საკმარისად არ იყო შესწავლილი, ამასთან დაკავშირებით მავნე მწერების ბიოლოგიური კონტროლისათვის საჭირო იყო ამ მავნებლების ენტომონემატოდების ფაუნისა და ეკოლოგიის შესწავლა.

ყოველივე ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება საქართველოში ფართოდ გავრცელებული ზოგიერთი მავნე ულვაშ-ფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნისადმი, რომელმაც გადამაწყვეტინა ჩემი მოკრძალებული მონოგრაფიის გამოცემა. მონოგრაფიაში მოცემულია ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნის შესწავლის შედეგები, განხილულია მწერის ორგანიზმში ნემატოდების განაწილების თავისებურებანი, ენტომონემატოდების ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ძირითადი საკითხები, ენტომონემატოდების ზოგიერთი პერსპექტიული სახეობის კულტივირება და მავნე მწერებში მათი ზემოქმედების დადგენა. ასეთ პათოგენურ ფორმებს მიეკუთვნებიან გვარების *Steinernema*-ს და *Heterorhabditis*-ის წარმომადგენლები, კერძოდ, *Steinernema carpocapsae* და *Heterorhabditis poinari*, ეს უკანასკნელი აღწერილია ნაშრომში (Kakulia et. Mikailia, 1997). დასახულ ამოცანას წარმოადგენდა, გამოგვეყენებინა ახალი საკვები არე პათოგენური ნემატოდებისათვის; ზოგიერთი გვარის სახეობების კულტივირება და ენტომოპათოგენური ნემატოდების *Steinernema carpocapsae*-ს და *Heterorhabditis poinari*-ს გამოცდა მავნე მწერებზე, როგორც ლაბორატორიულ, ასევე საველე პირობებში; შეგვერჩია ახალი საკვები არე ნემატოდის *Heterorhabditis poinari*-თვის, რისთვისაც გამოყენებულ იქნა თუთის აბრაშუმზვევიას მატლები და ჭუპრები. მონოგრაფიის ძირითად ნაწილში ნაჩვენებია დასახული მიზნის განხორციელების გზები და აღწერილია ახალი სახეობის პრაქტიკული მნიშვნელობა. მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ პარაზიტოლოგიური კვლევების შედეგად ულვაშფირფიტოვანი ხოჭოს 9 სახეობაში რეგისტრირებულია ნემატოდების 30 ფორმა, რომელთაგან სახეობამდე გარ

კვეულია 20, გვარამდე 10. რეგისტრირებული ნემატოდები გაერთიანებული არიან 3 რიგში (Rhabditida, Oxyuirida, Mermithida), 5 ოჯახში (Rhabditidae, Steinernematidae, Cephalobidae, Thelastomatidae, Mermithidae) და 10 გვარში (Pelodera, Heterorhabditis, Steinernema, Cephalobellus, Thelastoma, Mesodiplogaster, Severianoia, Hexameris, Mesomermis, Scriabinomermis,). საქართველოს ფაუნისათვის პირველადაა რეგისტრირებული ნემატოდების 7 სახეობა და აღწერილია მეცნიერებისათვის ახალი სახეობა Heterorhabditis poinari. დადგნილია ნემატოდების ფაუნისტური მსგავსება ზოჭო-მას-პინძლების მიხედვით. გაანალიზებულია ულვაშვირფიტოვანი ზოჭოების ორი სახეობის Melolontha pectoralis და Amphimallon solstitialis დაინვაზირების ხასიათი და გამოთვლილია ინვაზიის ვარიაციის კოეფიციენტი. მონოგრაფიაში ნაჩვენებია საველე პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები Steinernema carpocapsae-ს და Heterorhabditis poinari-ს ეფექტურობაზე მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის. მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ Steinernema carpocapsae-ს და Heterorhabditis poinari-გან დამზადებული ბიოპრეპარატი გამოირჩევა ეფექტურობით და პერსპექტიულია მავნე მწერების ბიოლოგიური კონტროლისათვის. მონოგრაფიაში განხილულია აგრეთვე ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ცდები ახალი სახეობის Heterorhabditis poinari-ს კულტივირებაზე თუთის აბრეშუმხვევიას ჭუპრებსა და მატლებზე. ცდებიდან გამომდინარე დადგნილია, რომ თუთის აბრეშუმხვევიას ჭუპრები და მატლები კარგი საკვები არეა პათოგენური ნემატოდების კულტივირებისათვის და რომელთა გამოყენებაც საგრძნობლად შეამცირებს ტყის მერქნიანი ჯი-

შებისა და კულტურული მცენარეების მავნე ულვაშვირფიტოგანი ხოჭოების რიცხოვნობას.

დასასრულ, ჩემი მოკრძალებული მონოგრაფია ეძღვნება მამაჩემს, იმ ადამიანის ნათელ ხსოვნას, რომელსაც ყველაზე მეტად გაუხარდებოდა მისი გამოცემა და რომლის სულიერ მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობდი მონოგრაფიაზე მუშაობის პერიოდში.

ეძღვნება მამაჩემის, დამსახურებული
ბიოლოგისა და აგრობომის კლასიმეტი
მიქაიას ნათელ ხსოვნას

*The monography is dedicated to the
Memory of my father, the Honourable
biologist and to the agriculturist*

Vladimer Mikhaia

შესაგალი

ჭრა ნემატოდის ყველაზე უძველესი ცოცხალი
არსება. ჭრა ათასი სახელწოდების და ძილიობის
სხვადასხვა სახეობის. ჯერ კიდევ დღემდე ჩვენთვის
ამოუცნობი ჭრა პატარა, იზრდება და გადაადგილდება
ნელა, რომელიც დღეს უმთავრესად სიცოცხლის
საიდუმლოს ვასალებს ინახავს.

ელენა ბონდი

*Nematode worm, most ancient of beings
Worm of ten thousand names and a million varieties,
Yet totally overlooked by us until now.
Little worm, that only grows to be an inch or so
But that now holds the key, to the secrets of life itself.*

ELENA BOND

ნემატოდები ცხოველთა სამყაროს იმ დიდ ჯგუფს წარ-
მოადგენენ რომლებიც ბიოლოგიურ პროგრესს განიცდიან.
ნემატოდებმა მოიცვეს მთელი ბიოსფერო და ბინადრობენ

ყველა ბიოტოპში. ცნობილია ნემატოდების როგორც თავი-სუფლად მცხოვრები, ასევე პარაზიტული ფორმები. თავი-სუფლად მცხოვრები ნემატოდები ბინადრობენ ზღვებში, მტკნარ წყლებსა და ნიადაგში, პარაზიტული ფორმები კი ადამიანის, ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველებისა და მცენარეების ორგანოებში. მწერებსა და ნემატოდებს შორის მრავალნაირი კავშირი არსებობს, მრავალი ნემატოდისათვის მწერი მასპინძელს წარმოადგენს. ნემატოდები მასპინძლის ქსოვილებით ან ნარჩენებით იკვებებიან. ამასთან, ისინი ხოჭოს ორგანოების ქსოვილებს სასიცოცხლო გარემოდ იყენებენ. მწერების ორგანიზმში შეჭრისას ენტომონემატოდები მასპინძელს ზიანს აყენებენ და მასპინძლის ქსოვილების მთლიანობის დარღვევის პროცესში ინფექცია შეაქვთ ორგანიზმში, რომელიც მწერში სეპტიცემიას იწვევს და კლავს მას.

მწერების ბიოლოგიური კონტროლისათვის პარაზიტული ნემატოდები გამოყენებულ იქნა უკანასკნელი ექვსი ათეული წლის მანძილზე. ამიტომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი მწერების ნემატოდების ფაუნისა და ბიოლოგიის შესწავლის მიმართ, შეირჩა ნემატოდების პერსპექტიული სახეობები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მავნე მწერების მიმართ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის შესამუშავებლად. აკად. სკრიაბინი (Скрябин, 1946) აღნიშნავდა, რომ მწერების ჰელმინთების შესწავლით შეიძლება შემუშავდეს ჰელმინთოლოგიური ღონისძიებები სოფლის მეურნეობის კულტურული მცენარეებისა და ტყის ჯიშების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი აღნიშნავდა, რომ მწერების მიმართ ბრძოლა მეტად ეფექტურია, თუ გა-

მოყენებულ იქნება ყველა საშუალება, მათ შორის მნიშვნელოვანს წარმოადგენენ ნემატოდები.

ცნობილია ნემატოდების 1000-მდე სახეობა, რომლებიც პარაზიტობენ ხოჭოებში და გარკვეულ როლს ასრულებენ ტყის მავნე მწერების რიცხოვნობის რეგულაციაში. როგორც მრავალი ჰელმინთოლოგიური გამოკვლევებითაა ცნობილი, პათოგენური ნემატოდები მოქმედებენ მასპინძელზე, ახდენენ მათ სრულ ან ნაწილობრივ კასტრაციას. ზოგ შემთხვევაში ნემატოდები წარმოადგენენ მწერების მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზსაც; ისინი ითვლებიან მწერებში ბაქტერიების და ვირუსების ინფექციურებად (Яцентковский, 1924; Филиппьев, 1934; Кирьянова, 1955; Положенцев 1950, 1952, 1957, 1966, 1976; Какулия 1965, 1967, 1989; Артюховский 1935, 1963, 1967; Rühm, 1956; Fuchs 1937, 1938; Thorne, 1961; Claser 1932, 1935, 1940; Weiser 1962, 1972. ბევრ ეპროპის ქვეყნებში ენტომონემატოდები უკვე ფართოდ გამოიყენება, როგორც ბრძოლის ბიოლოგიური საშუალება სოფლის მეურნეობის მავნე მწერების მიმართ.

ამრიგად, მწერების ნემატოდების შესწავლას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

პრაქტიკაში ენტომონემატოდების მაქსიმალური გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა მათი სისტემატიკის, ფაუნისტური და ეკოლოგიური შესწავლის გარეშე. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული ფილიპიევს (Филиппьев, 1934); ფუქსს (Fuchs, 1937, 1938); რიუმს (Rühm, 1956, 1959); ნიკლეს (Niekle, 1960, 1963, 1967); მასეის (Mas-

sey 1957, 1971); ვახეკს (Vachek, 1955) და სხვებს. მათ დაწვრილებით აქვთ განხილული ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების სისტემატიკა, ბიოლოგია და ეკოლოგია. მწერების მიერ ტყისა და კულტურული მცენარეებისადმი მიყენებული ზარალი მეტად დიდია. ტყისა და კულტურული მცენარეების დაცვის მიზნით, მავნე მწერების მიმართ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის შემუშავებისათვის საჭიროა შესწავლილ იქნეს ამ მავნებლების ენტომონემატოდების ფაუნა, რადგანაც მწერების ბუნებრივი მტრების გამოვლენა შეიძლება მოხდეს ასევე ამ მწერების ნემატოფაუნის შესწავლის საფუძველზე.

საქართველოში ენტომოპელმინთოლოგიური გამოკვლევები მიმდინარეობდა 1961 წლიდან ბ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით. შესწავლილია ბორჯომ-ბაკურიანის წიწვიანი მცენარეების ქერქიჭამიების ნემატოდების ფაუნა და ეკოლოგია (კაკულია, 1965), ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდთან დაკავშირებით ნაძვის დიდი ლაფანჭამიას ონამგზავრი ნემატოდები (ყურაშვილი, კაკულია, დევდარიანი, 1980). იმის გამო, რომ ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნა საქართველოში საკმარისად არ იყო შესწავლილი გადავწყვიტეთ ამ ხარვეზის შევსება, მით უმეტეს, რომ ულვაშფირფიტოვანი ხოჭოები ხე-მცენარეების მნიშვნელოვან მავნებლებს წარმოადგენენ. შერჩეული იყო ამ ჯგუფის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი წარმომადგენლები. გამოკვლევების მიმდინარეობისას ძირითად ამოცანად დასახულ იქნა, დაგვედგინა კულტურული და ტყის მცენარეების მავნებლების ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების სახეობრივი შედგენილობა და მათი განაწილება მწერის ორგა-

ნოებში, შეგვესწავლა ნემატოდების ბიოლოგიის და ეკოლოგიის ძირითადი მომენტები.

რამდენადაც შესწავლის ობიექტია ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნა, ვთვლით, რომ გარდა ფაუნის გამოვლენისა ძირითადი ამოცანაა ენტომოპათოგენერი ნემატოდების გამოვლენა და მათი გამოცდა ხოჭოების მიმართ ბიოლოგიური კონტროლისათვის. ენტომოპათოგენური ნემატოდების ბიოლოგიის, ეკოლოგიისა და მასიური გამრავლების ყოველმხრივი შესწავლა და ამ ნემატოდების გამოყენება სხვადასხვა ბიოცენოზში, დაგვეხმარება მივიღოთ იაფი, ხანგრძლივად მოქმედი და მავნე მწერების ბიოკონტროლი-სათვის ეფექტური ბიოლოგიური მეთოდი. ენტომოპათოგენური ნემატოდებისაგან შექმნილი ბიოპრეპარატები ეკოლოგიურად სუფთა და სამედოა. ეს პრეპარატები მცენარის ფოთლის, ღეროს მავნებლებთან გამოყენების გარდა, ნიადაგ-ში მობინადრე მავნე მწერების რიცხოვნობის რეგულაციასაც ახდენს. ამდენად, თემა აქტუალურია როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

აღნიშნული ნაშრომის ძირითადი ნაწილი შესრულებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ენტომონემატოლოგიის ლაბორატორიაში ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის გ. კაპულიას ხელ-მძღვანელობით.

საქართველოს მოპლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დანასიათება

საქართველოს დაყოფა ბუნებრივ-ისტორიულ რეგიონებად

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. იგი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთით, კავკასიის ყელის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სუბტროპიკული სარტყელის ჩრდილოეთ პერიფერიაზე. მას ამიერკავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი უკავია.

საქართველოს რელიეფი წარმოდგენილია სხვადასხვა ოროგრაფიული ერთეულების (ქედების, ხეობების, ზეგნების, ბორცვების) ერთობლიობით. ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს – ზღვის დონიდან 5068 მ-მდე (ბ. შხარა). კარგად არის გამოხატული მათი ვერტიკალური სარტყელურობა. აქ გვხვდება ლანდშაფტები, დაწყებული ვაკე-დაბლობებით, ჭაობიანი მურყნარი ტყეებით (დასავლეთ საქართველოში), ნახევრად-უდაბნოებით, მშრალი ველებითა და არიდული მეჩხერი ნათელი ტყეებით (აღმოსავლეთ საქართველოში) და დამთავრებული სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტებით.

რელიეფში მკვეთრად არის გამოხატული მთავარი ოროგრაფიული ერთეულები: კავკასიონის მთიანეთი, საქართველოს მთიანეთშორისი დადაბლება (ბარი) და საქართველოს სამხრეთი მთიანეთი. კავკასიონის მთიანეთი ცენტრალურ ნაწილში 5000 მ-ს აღემატება. სწორედ აქ არის თავმოყრილი

მყინვარების უდიდესი ნაწილი. მთიანეთის ფარგლებში მდებარეობს მრავალი ქედი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია კავკასიონის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული მთავარი წყალგამყოფი ქედი. ქედის სამხრეთით მდებარეობს გვერდითი ქედები, რომლებიც მდინარეთა ხეობებით დანაწევრებულია ცალკეულ ქედებად. საქართველოს მთიანეთშორისი დადაბლება ლიხის ქედით იყოფა კოლხეთისა და იბერიის ბარად, დადაბლება წარმოდგენილია ვაკეებითა და დაბლობებით (კოლხეთის დაბლობი, შიდა, ქვემო ქართლისა და ალაზნის ვაკეები), ქედებით (ლიხის, კვერნაქის, საგურამო-იალნოს, გომბორის), პლატოებით (იმერეთის), ზეგნებით (ივრის). ლიხის ქედი კავკასიონს აკავშირებს საქართველოს სამხრეთ მთიანეთან, კერძოდ, მესხეთის ქედთან, რომლის აღმოსავლეთ გაგრძელებას წარმოადგენს თრიალეთის ქედი. მესხეთ-თრიალეთის მთაგრეხილი მდ. მტკვრის ხეობით გაყოფილია ორ ნაწილად: დასავლეთი ნაწილი (მესხეთის, შავშეთის, არსიანის ქედები) შედარებით უფრო ვრცელია და რთული, ვიღრე აღმოსავლეთი ნაწილი. ამ უკანასკნელს თრიალეთის ქედი და ხრამ-ლოქის მთათა სისტემა ქმნის. მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულია ჯავახეთის ზეგანი, რომლის განაპირა ტერიტორიაზე მდებარეობს ჯავახეთის, სამსრის, ერუშეთის ქედები.

საქართველოს ჰავის თავისებურებანი განაპირობა მისმა მდებარეობამ სუბტროპიკულ სარტყელში, არალ-კასპიის არიდული ოლქისა და წინა აზიის კონტინენტური ზეგნების საზღვარზე. დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია ნოტიო ზღვიური სუბტროპიკული ჰავა, აღმოსავლეთი-სათვის – სუბტროპიკული კონტინენტური ჰავიდან, ზღვის

ჰავაზე გარდამავალი და სამხრეთ საქართველოსთვის მშრალი სუბტროპიკული ჰავიდან, ზომიერად ნოტიო ჰავაზე გარდამავალი (მარუაშვილი, 1964). კლიმატური პირობების შესაბამისად მდინარეთა ქსელი და ჩამონადენი არათანაბრად არის განაწილებული. დასავლეთ საქართველოში მდინარეთა ქსელი უფრო ხშირია, ჩამონადენი დიდია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

კიდევ უფრო ნაირგაროვანია ნიადაგ-მცენარეული საფარი. დასავლეთ საქართველოს გორაკბორცვიან ზოლში წარმოდგენილია პოლიდომინანტური კოლხური ტყე წითელ-მიწებსა და ყვითელმიწებზე, კოლხეთის დაბლობზე – მურყნარი ტყეები ჭაობის ტორფიან და ჭაობიან ლამიან ნიადაგებზე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში – ტყესტეპისა და სტეპის ლანდშაფტები, კავკასიონისა და მესხეთ-თრიალეთის ქედის კალთებზე – ფართოფოთლოვანი და წიწვიანი ტყეები ყომრალ და ნეშომპალა – კარბონატულ ნიადაგებზე, მაღალ-მთიან სარტყელში – მდელოები მთა-მდელოს ნიადაგებზე. კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მარადი თოვლი და მყინვარებია. სამხრეთ საქართველოს მთიანეთში – მთის სტეპები. საქართველოს ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები მეტ-ნაკლებად გარდაქმნილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნებით საქართველო დაყოფილია შემდეგ ოლქებად: 1. დასავლეთი ამიერკავკასია, 2. მესხეთ-ჯავახეთი, 3. შიდა ქართლი, 4. ცენტრალური ამიერკავკასია, 5. ალაზან – აფთარანის ოლქი (გულისაშვილი, 1964).

ჩრდილოეთიდან დასავლეთ ამიერკავკასიას ესაზღვრება მთავარი კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით – სურმის და სამხრეთით – მესხეთის ქედები. ამ ოლქში შედის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობი, ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ფერდობები, აჭარა – იმერეთის ქედის ფერდობები, კოლხეთის დაბლობი და იმერეთის მაღლობი, რომლის უმაღლეს ნაწილს წარმოადგენს ლიხის ქედი. დასავლეთ ამიერკავკასია ხასიათდება სუბტროპიკული კლიმატით, თბილი ზამთრითა და არც ისე ცხელი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1200-2400 მმ-ს, ზოგან ეს მაჩვნებელი გაცილებით მეტია. ამ ოლქისათვის დამახასიათებელია ჭაობის ლამიანი და ჭაობის ტორფიანი ნიადაგები, ზღვიდან მოშორებულ უბნებზე, კოლხეთის დაბლობის ფარგლებში გვხვდება ეწერ-ლებიანი ნიადაგები, გორაკ-ბორცვიან ზოლში განვითარებულია წითელმიწები და ყვითელმიწები. მთის ტყიან ზონაში ვრცელდება ტყის ყომრალი, ხოლო კარბონატული ქანების გავრცელების ადგილებში ჩამოყალიბებულია ნემობალა – კარბონატული ნიადაგები (გულისაშვილი, 1964).


ევაფოდებზე გამოკვლეული ულვაშვილზიტოგვანი ხოჭოების განაწილება ბუნებრივ-ისტორიულ რეგიონი

შავი ზღვის სანაპიროზე გაბატონებულია მუხნარი, წიფლნარები და წიფლნარ-მუქწიწვიანები. ბუნებრივად ხარობს სუბტროპიკული ტყეები, რომლის მნიშვნელოვანი ნა-

წილი დღეს გაჩეზილია. 2000 მ-ის ზემოთ ზღვის დონიდან გახვდება სუბალპური დაბალტანიანი ტანბრეცილი ტყეები, სუბალპური და ალპური მდელოები. ამ ოლქისთვის დამახა-სიათებელია შესწავლილ ნემატოდებზე გამოკვლეული ულ-ვაშფირფიტოვანი ხოჭოების შემდეგი სახეობები: *Oryctes nasicornis*, *Melolontha pectoralis*, *Polyphyla olivieri*, *Amphimallon solstitialis*, *Epicometis hirta*, *Cetonia aurata* (ქ. ფოთი, ხო-ბის, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მარტვილის და ჩხოროწყუს რ-ნები, სათაფლიას ნაკრძალი – ქუთაისი, დასავლეთ საქართველო (სურ.1). მესხეთ-ჯავახეთის ოლქი შემოსაზ-ღვრულია დასავლეთიდან არსიანის ქედით, ჩრდი-ლოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მესხეთისა და თრია-ლეთის ქედებით. აღმოსავლეთიდან სამსრისა და ჯავახეთის ქედებით. სამხრეთის საზღვარი საქართველოს სახელმწიფო საზღვარს მიუყება. ამ ოლქში შედის არსიანის ქედის აღმო-სავლეთი ფერდობი, თრიალეთის ქედის სამხრეთი ფერდობი, ახალციხის ქვაბული, ჯავახეთის ზეგანი და მდ. მტკვრის ხეობა.


კლიმატი კონტინენტურია, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 550-620 მმ-ს. ნიადაგებიდან გავრცელებულია ტყის ყავისფერი, რუხი-ყავისფერი, ჭალის-ზედა ტერასებზე მდელოს ალუვიური, ქედების ქვედა ნაწი-ლებში – შავმიწისებრი ნიადაგები. ყველაზე დაბალ ნაწილში იზრდება ქსეროფიტული მცენარეულობა – ბუჩქები და ნახე-ვრადბუჩქები, გორაკ-ბორცვებზე მუხნარ-რცხილნარი ტყეები. მთის ქვედა ნაწილში გაბატონებულია ზოგან შერეული ტყე სადაც სჭარბობს მუხა და რცხილა). 2000 მ-ის ზემოთ ზღვის დონიდან სუბალპური და ალპური მდელოებია. ამ

ოლქში ნაპოვნი იყო ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების შემდეგი სახეობები: *Oryctes nasicornis*, *Melolontha pectoralis*, *Polyphyla olivieri*, *Amphimallon solstitialis*, *Cetonia aurata*, *Nectocia hungarica* (ახალციხის და აღიგენის რ-ნები – აღმოსავლეთ საქართველო (სურ.1).



სურ. 1.

საქართველოში ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების მოპოვების ადგილები
შემდეგ ბუნებრივ – ისტორიულ ოლქებში
(გულისაშვილის, 1964 მიხედვით).



1. დასავლეთ ამიერკავკასია
2. მესხეთ-ჯავახეთი
3. შიდა ქართლი
4. აღმოსავლეთ ამიერკავკასია
5. აღაზან-აფთარანის ოლქი

შიდა ქართლის ოლქი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია ლიხის ქედით, აღმოსავლეთით გადაჭიმულია მდ. არაგვის ხეობამდე. ჩრდილოეთიდან ოლქი შემოიფარგლება კავკასიონის მთავარი ქედით, სამხრეთით თრიალეთის ქედით. ამ

ოლქში შედის ლინის ქედის ჩრდილოეთი ფერდობი, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების აუზები, შილა ქართლის ვაკე. დაბლობის ფარგლებში ჰაერის საშუალო ტემპერატურა ივ-ლისში აღწევს $20-22,5^{\circ}\text{C}$. სიმაღლის მატებასთან ერთად ჰაერის ტემპერატურა თანდათან კლებულობს. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მერყეობს 480-დან 1500 მმ-ის ფარგლებში. ამ ოლქში წარმოდგენილია ალუვიური, რუხ-მურა ტყის ნიადაგები, 800-1000 მ-ის ზემოთ – ზღვის დონიდან ტყის ყავისფერი, ტყის ყომრალი და მთა-მდელოს ნიადაგები. ამ ოლქში ძირითადი ტყეშემქნელი ჯიშებია ქართული მუხა, ნაძვი, ფიჭვი, რომელსაც მაღალმთიან ზოლში სუბალპური და ალპური მდელოები ცვლის. აქ მოპოვებულია ულვაშ-ფირფიტოვანი ხოჭოების შემდეგი სახეობები: *Oryctes nasicornis*, *Melolontha pectoralis*, *Polyphyla olivieri*, *Amphimallon solstitialis*, *Epicometis hirta*, *Cetonia aurata*, *Netocia funebris*, *Netocia hungarica* (ბორჯომის, ხაშურისა და გორის რ-ნები – აღმოსავლეთ საქართველო (სურ. 1).

ცენტრალური ამიერკავკასიის ოლქის დასავლეთი საზღვარი გადის მდ. არაგვის ხეობაზე. მის ფარგლებშია ქართლის ქედი, კახეთის ქედი, ივრის ზეგანი. სამხრეთ-დასავლეთიდან მას ესაზღვრება ჯავახეთის ქედი. მთის ცალკეული სიმაღლეები აღწევს 2500 მ. ზღვის დონიდან. ჰაერის საშუალო ტემპერატურა ივლისში ვაკეზე აღწევს $22-23^{\circ}\text{C}$. მაღალმთიან სარტყელში ზაფხული არის ცივი. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 450-დან 700 მმ-მდე. ამ ოლქის ნიადაგის საფარი წარმოდგენილია ყავის-ფერი, ალუვიური და რუხი ნიადაგებით. დიდ ფართობზე გვხვდება დამღლაშებული და ბიცობი ნიადაგები. მაღალ მთებ-

ში გვხვდება მთა-მდელოს ნიადაგები. მცენარეულობა ვაკეებზე წარმოდგენილია გელის მცენარეულობით, არიდული მეჩერი ტყეებით. მთებში უმთავრესად გაბატონებულია ქართული მუხა, რცხილა. მაღალ მთებში კი სუბალპური და ალპური მდელოები. ამ რეგიონში მოპოვებულია ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების შემდეგი სახეობები: *Oryctes nasicornis*, *Melolontha pectoralis*, *Polyphyla olivieri*, *Amphimallon solstitialis*, *Epicometis hirta*, *Cetonia aurata*, (თბილისი – ვერის პარკი, თბილისის ბოტანიკური ბაღი, გარდაბნის რ-ნი – აღმოსავლეთი საქართველო (სურ.1).

ალაზან-აფთარანის ოლქში შედის მდ. ალაზნის ვაკე, მთავარი კავკასიონის სამხრეთი ფერდობები და ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობები. ოლქი შემოსაზღვრულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მთავარი კავკასიონის ქედით, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან კახეთის ქედითა და ივრის ზეგნით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა ვაკეზე $11-13^{\circ}\text{C}$. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 500-1000 მმ. გავრცელებულია ალუვიური, მთის-ტყის, მთა-მდელოს ნიადაგები. ამ ოლქში იზრდება ქართული მუხა, რცხილა, ნეკერჩალი.

მთისწინეთი წარმოდგენილია მეჩერი ან მუხნარ-რცხილნარი ტყეებით. მაღალ მთაში ფართოდაა გავრცელებული სუბალპური და ალპური მდელოები. ამ რეგიონში იყო მოპოვებული ხოჭოების შემდეგი სახეობები: *Oryctes nasicornis*, *Melolontha pectoralis*, *Polyphyla olivieri*, *Amphimallon solstitialis*, *Epicometis hirta*, *Cetonia aurata*, *Netocia hungarica* (ბაბანეურის ნაკრძალი-ახმეტის რ-ნი – აღმოსავლეთ საქართველო (სურ.1).

ენტომოპარალიზმის განვითარების მოძღვა ისტორია

ენტომოპარალიზმინთოლოგის ისტორია ერთი საუკუნით განისაზღვრება. დასაწყისში გამოკვლევები ენტომოპარალიზმინ-თოლოგიაში კერძო ხასიათს ატარებდა და მკვლევართა რაო-დენობაც მცირე იყო. ენტომოპარალიზმინთოლოგიური გამოკვლე-ვების სირთულე და ლიტერატურის სიმცირე დიდად უშლიდა ხელს მეცნიერების ამ დარგის განვითარებას. მაგრამ პარა-ზიტოლოგიური კვლევების გაფართოებამ და პელმინთოლო-გის პრაქტიკული მნიშვნელობის ზრდამ სტიმული მისცა ენტომონემატოლოგის განვითარებასაც. აღმოჩნდა, რომ მწე-რებისათვის, ისევე როგორც ცხოველების სხვა ჯგუფებისათ-ვის, დამახასიათებელია სხვადასხვა პარაზიტებისა და, მათ შორის, პელმინთების არსებობა. უხერხემლოთა მრავალი ჯგუფისა და ხერხემლიანების ყველა წარმომადგენლისაგან განსხვავებით მწერებისადმი ადაპტირებული აღმოჩნდა ჭიების მხოლოდ ერთი კლასის – ნემატოდების ცალკეული ჯგუფები.

ნემატოდები მწერებსა და მოლუსკებთან ერთად მო-ცემულ გეოლოგიურ პერიოდში განიცდიან ბიოლოგიურ პროგრესს (პარამონოვი, 1962). ისინი შეგუებულნი არიან ნებისმიერ სასიცოცხლო გარემოსთან, ბინადრობენ მლაშე და მტკნარ წყლებში, ნიადაგში, მცენარეთა ქსოვილებში, მრავა-ლუჯრედიანი ცხოველების უმრავლესობაში. გამონაკლისს არც მწერები წარმოადგენენ, სადაც უკვე აღწერილია ასობით პარაზიტული ნემატოდის სახეობა.

ნემატოდების კავშირი მწერებთან მრავალფეროვანია, ისინი არიან მწერების ნამდვილი პარაზიტები, კომენსალები, საპრობიონტები და სხვა. დღეისთვის მწერების რიცხვი ათასზე მეტია და დღითიდღე იზრდება. მწერების ყველა რიგისათვის აღწერილია პარაზიტული ნემატოდები. სადაც უნდა ცხოვრობდეს მწერი – წყალში, ხმელეთზე, მცენარეზე თუ ცხოველის სხეულზე, ნემატოდისაგან იგი თავს ვერ დაიცავს.

საქართველოში მწერების ნემატოდების შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ენტომონემატოლოგიის განვითარებასთან. რუსეთში ენტომოპელმინთების შესწავლა პირველად რადკევიჩმა, (1869), დაიწყო. ამ მეცნიერმა პირველმა შეისწავლა ტარაკანებში მრგვალი ჭიების ერთი ჯგუფი (*Oxyuridae*) და ნემატოდების სამი სახეობა აღწერა. უფრო გვიან, 1879 წელს მეჩნიკოვმა პურის ხოჭოს მატლში მრგვალი ჭიები შენიშნა. იგი ხოჭოს მატლის მასიურ დახოცვას ამ მრგვალ ჭიებს მიაწერდა. ი. კრასილშიკმა 1900 წელს პეპლის მატლში შენიშნა ნემატოდები რომლებიც, მისი აზრით, მუხლუხოების დახოცვის მიზეზი იყო. ვინოკუროვის (1914) მონაცემებით, სტაგროპოლში აზიური კალია ნემატოდებით იყო დაინვაზირებული, რის შედეგადაც კალიას სიკვდილიანობამ 50-60%-ს მიაღწია. სხვადასხვა დროს მკვლევართა მიერ ნემატოდები შემჩნეული იყო მახრებში, კალიებში, ღრაჭებში. პროფ. პოლოუენცევის (1941) მიერ ნაჩვენებია მაისის ღრაჭას მასობრივი დახოცვა, შემჩნეულია, რომ ეს ხოჭოები მასობრივად იხოცებოდნენ იმ პერიოდში, როდესაც ნემატოდები ტოვებდნენ ხოჭოს ორგანიზმს. ამავე მკვლევარის მიერ აღწერილია მერმიტიდის სამი ახალი სახეობა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ნემატოდების შესახებ ნაშრომები გამოქვეყნებული აქთ სკრიაბინს (1940), საღაც ყურადღების გარეშე არ არის დატოვებული მწერების ნემატოფაუნა. მერმიტიდების ოჯახის (Mermithidae) წარმომადგენლები შესწავლილია ა. რუბცოვის, ა. პოლოუენცევისა და ა. არტიუხოვსკის (1952, 1963) მიერ. ენტომოპელმინთების (Rhabditida და Tylenchida) სისტემატიკის და ბიოეკოლოგის ზოგიერთი საკითხი დამუშავებულია ფილიპიევის (1934), პარამონოვის (1954, 1962) მიერ. ყოფილ საბჭოთა კავშირში ხეშეშფრთიანი ხოჭოების ნემატოდების ფაუნისტურ-სისტემატიკური, ბიოლოგიურ-ეკოლოგიური შესწავლა პირველად ლაზარევსკაიამ (1960, 1965) ჩაატარა. მის მიერ შესწავლილია Rhabditida-ს ჯგუფის ნემატოდები. ხეზე მობინადრე ხოჭოების ნემატოდების შესწავლაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის გერმანელ მეცნიერს. ფუქსის (Fuchs 1937, 1938) მიერ ჩატარებული გამოკვლევებით გამოვლინდა ქერქიჭამია ხოჭოების მდიდარი ნემატოფაუნა. ამავე ავტორმა შეისწავლა ამ ხოჭოების ნემატოდების ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ზოგიერთი საკითხი. ფუქსამდე ენტომოპელმინთოლოგიაში, კერძოდ კი, ხეზე მობინადრე ხოჭოების ნემატოდების შესწავლაზე მუშაობდნენ ლეუკარტი (Leuckart, 1867); ლინსტოვი (Linstov, 1890); კობი (Cobb, 1920). პირველი მონოგრაფია ევროპის ფეხსახსრიანების ნემატოდებზე გამოაქვეყნა ვახეკმა (Wachek, 1955); დამპალი ზის ნემატოდების გამოკვლევები ჩაატარა კიორნერმა (Körner, 1954); გერმანიაში 1956 წელს გამოქვეყნდა რიუმის (Rühm, 1956); მონოგრაფია 'Nematoden der Jpiden. აღნიშნული გამოკვლევების ავტორები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ენტომოპათოგე-

ნური ნემატოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მავნე მწერების მიმართ, რაც ამ მწერებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

1932 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გლეზერისა და ფუქსის (Glaaser et Fuchs, 1938) მიერ მკვდარი იაპონური ხოჭოს მატლების (*Popillia japonica*) სხეულის ღრუში დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი ნემატოდები, რომლებიც მათ ვერ აღწერეს. სტეინერმა (Steiner, 1939), ეს ნემატოდები აღწერა, როგორც ახალი სახეობა – *Steinerinema glaseri*. ამ პერიოდიდან დაიწყო ნემატოდებით ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის შემუშავების ცდები. *Steinerinema glaseri*-ს ბიოლოგიის შესწავლას, მის კულტივირებასა და ამ ნემატოდის პრაქტიკულად გამოყენებასთანაა დაკავშირებული გლეზერის (Glaser 1932, 1940) შრომები. გლეზერის შემდეგ ამ მიმართულებით ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა სტოლი (Stoll 1953, 1954) და ჯეკსონი (Jackson, 1962). კანადაში სტაინერნემატოდებზე ცდები ჩაატარეს ველჩმა (Welch 1958, 1962). ცდებით დადგინდა, რომ *Steinerinema*-თი შესაძლებელია სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელ მავნე მწერთა რიცხოვნობის შემცირება-რეგულაცია.

ენტომონემატოდების სისტემატიკის, ფაუნისტური გამოკვლევების, ცალკეულ სახეობათა ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლის საქმეში, გარდა დასახელებული ავტორებისა, დიდი წვლილი შეიტანეს ბასტიანმა (Bastian, 1865); ბიუჩლიმ (Bütschli, 1873); დემანმა (de Man 1884); თორნემ (Thorne, 1961); ჩიტვუდმა (Chitwood 1950, 1958); გუდეიმ (Goodey 1957, 1959) და სხვებმა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობები Steinernema-ს ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესახებ მოცემულია ფილიპიევის (1934); პოლოუენცევისა და არტიუხოვსკის (1963, 1967); კირიანოვას, პუჩოვას (1955), ვერემჩუკის (1963, 1964); შრომებში. კაკულიასა და ვერემჩუკის მიერ (1965) აღწერილია Steinernema-ს ახალი სახეობა Steinernema (Neoaplectana) georgica, რომელიც პირველად დადგენილი იყო ივნისის ხოჭოში.

ამჟამად ენტომოპელმინთოლოგია აღმავლობის გზაზეა. მრავალ ქვეყანასა და, მათ შორის, საქართველოშიც გამოკვლეული ამ მიმართულებით სისტემატურად მიმდინარეობს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ენტომონემატოლოგიის ლაბორატორიაში მწერების ნემატოდების შესწავლა სამოციანი წლებიდან დაიწყო. წლების მანძილზე ჩატარებული იყო ფაუნისტურ-ეკოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც მიმართულია მწერების სხვადასხვა ჯგუფის ნემატოდების გამოვლენასა და მათი ბიოლოგიის შესწავლისათვის. ამ გამოკვლევებთან ერთად ენტომოპათოგენური ნემატოდა Steinernema georgica პირველად იყო ლაბორატორიულ პირობებში გამოცდილი ივნისის ხოჭოს მიმართ და მწერის სიკვდილის მაღალი შედეგი 71-82% იქნა მიღებული (კაკულია, 1989). შესწავლილ იქნა აგრეთვე Steinernema georgica-ს ბიოლოგია და დამუშავდა მისი კულტივირების მეთოდიკა. იდენტიფიცირებული იყო და ის-წავლებოდა Steinernema-ს გარდა, მწერების მიმართ პათოგენური ნემატოდების მეორე ოჯახის – Heterorhabditis-ის წარმომადგენლის – Heterorhabditis poinari-ს ბიოლოგია-ეკოლოგია და ხელოვნურ საკვებ არეზე მისი კულტივირება.

ამ დარგში შესრულებულ ყოველ სამუშაოს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, ენტომონემატოდების ჩართვა მწერების მი-
მართ ბიოლოგიური კონტროლისათვის პერსპექტიულია, რო-
გორც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაცვის, ასევე გა-
რემოს ინსექტიციდებით დაბინძურების თავიდან აცილების
თვალსაზრისითაც.

გასაღა და მეთოდიკა

ნემატოდებზე გამოკვლეული ულვაშვილიშვილი სამსახურის რაიონის გამომკვლეული რაიონის მასალის შემოწმება

ნემატოდებზე გამოსაკვლევი ხოჭოების იმაგოსა და
მატლის მასალები მოპოვებული იყო 1994-1998 წწ. მარ-
შვანტული მეთოდით როგორც დასავლეთ საქართველოს,
ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში: გალის, ზუგ-
დიდის, წალენჯიხის, სენაკის, ხობისა და მარტვილის რაიო-
ნებში, ქ. ფოთში, სათაფლიას ნაკრძალში – ქუთაისი, ბორ-
ჯომის, ხაშურის, გორის და ქარელის რაიონებში, სამცხე-
ჯავახეთის რეგიონში – ახალციხის რაიონი, ბაბანეურის
ნაკრძალში – ახმეტის რაიონი, თბილისი – ვერეს ხეობაში,
ბოტანიკურ ბაღში, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე
– კუს ტბასთან.

ნემატოდებზე გამოკვლეული ხოჭოები მიეკუთვნებიან ულვაშფირფიტოვნების ოჯახს (Scarabaeidae), რომლებიც როგორც ლარვულ, ასევე ზრდასრულ სტადიებზე ნიადაგის ბინადარნი არიან. გამოკვლეული იყო ამ ოჯახის მწერები განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. მათი დამუშავება ხდებოდა ლაბორატორიის პირობებში. იმაგოს, ჭუპრსა და მატლს ვაგროვებდით ხოჭოების განვითარების ფაზების მიხედვით. აღებულ მასალას ვათავსებდით ეტიკეტიან სინჯარებში, რომელიც ნუმერაციის დაცვით ტარდებოდა შესაბამის გაკვეთის უურნალში. ხოჭოების ტაქსონომიური კუთვნილების დაღვენაში დაგვეხმარა პროფესორი იასონ ჯამბაზიშვილი.

მასალის მოპოვებისას ფურადღებას ვაქცევდით შემდეგ ფაქტორებს: ნიადაგის საფარველსა, და სტრუქტურას, მოპოვებული მწერების რაოდენობას, წელიწადის დროს, ტემპერატურას, ტენიანობას, ლარვების ასაკს. ხოჭოს გაკვეთის დროს, აღვრიცხავდით ნემატოდების ლოკალიზაციას მწერის ორგანოებში, ინვაზიის ექსტენსივობასა და ინტენსივობას.

გასაღის გაპვეთის ტექნიკა, ღროებითი და მუდმივი პრეპარატის დამზადება, ცემატოლების იღენციზიპიაცია

იმაგოს, მატლისა და ჭუპრის გაკვეთა ხდებოდა აკად. სკრიაბინის (Скрябин, 1958) სრული ჰელმინთოლოგიური გაკვეთის მეთოდით. გაკვეთის წინ ხოჭოს ვამშრალებდით ფილტრის ქაღალდით და ვათავსებდით სწორ სასაგნე მინაზე. გაკვეთის წინ ხოჭოს ვაცილებდით ელიტრებს და ნამდვილ

ქვედა ფრთებს, შემდეგ ცალკე ვამოწმებდით ნემატოდებზე იმაგოს და მატლს. ხოჭოს, ჭუპრისა და მატლის გაკვეთას ვახდენდით ბიოლოგიური საპრეპარაციო ნემსით. ხოჭოს ვათავსებდით პირალმა და ვკვეთდით შუა ხაზზე, ბინოკულარის ქვეშ. ვაცალკევებდით თითოეულ ორგანოს (თავი, მუცელი), ხოლო შინაგანი ორგანოებიდან ნაწლავებს, მალპილის მილაკებს, ცხიმოვან ქსოვილს და სასქესო აპარატს. ხოჭოს კოდურები და თავი ჩვეულებრივ თავისუფალია პარაზიტებისაგან. ამ ორგანოებში ნემატოდები არ იყო შენიშნული. გამოკვლევის დროს წინა ნაწლავი ყოველთვის თავისუფალი იყო ნემატოდებისაგან. ისინი ძირითადად შუა და სწორ ნაწლავში ლოკალიზდებიან.

ნემატოდების მიკროსკოპული შესწავლისათვის გამოყენებული იყო დროებითი და მუდმივი პრეპარატები. დროებითი პრეპარატების დასამზადებლად წყლიან აბაზანაში ვათავსებდით ნემატოდებიან სინჯარებს და ვაცხელებდით $60-65^{\circ}\text{C}$ -მდე. გაცხელებით კუტიკულის შეუღწევადობა ირლვევა, რაც აადვილებს ნემატოდის შეღებვას. გაცივების შემდეგ ნემატოდები გადაგვერდდა სინჯარიდან საათის მინაზე, ნემატოდებს ვათავსებდით სასაგნე მინის ცენტრში დაწვეთებულ გლიცერინიან წყალში, რომელიც შეფერილი იყო პოლიქრომის ლურჯით (გლიცერინი წყალთან 1:16) ნემატოდების ინტენსიურ შეღებვამდე. სითხის წვეთს ვაფარებდით საფარ მინას. პრეპარატში სითხის გამოშრობისას დროდადრო ვუმატებდით პოლიქრომით შეფერილ გლიცერინიან წყალს, მასში მატულობს გლიცერინის კონცენტრაცია, ნემატოდა ხდება გამჭვირვალე და იღებება. ამ თანმიმდევრობით მზადდებოდა დროებითი პრეპარატი. ამის შემდეგ ხდებოდა ნემატოდების

მიკროსკოპული შესწავლა. ამგვარად დამზადებული პრეპარატი შეიძლება შენახულ იქნეს რამდენიმე თვის განმავლობაში.

მუდმივი პრეპარატის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა გლიცერინ-ჟელატინი (გლიცერინი ჟელატინთან 1:2), პოლიქრომის ლურჯით შეფერილი გლიცერინიანი წყალი, ნაძვის ბალზამის არშია, საფარი მინა. მუდმივი პრეპარატის მომზადების 12-15 დღის შემდეგ ვახდენდით ნემატოდების მიკროსკოპულ შესწავლას. ნემატოდების შესწავლა ხდებოდა მიკროსკოპით (МБИ-3), რომელსაც გააჩნდა ბინოკულარული ტუბუსი (Ay -12).

ნემატოდების ჩახატვას ვახდენდით PA-5 სისტემის სახატავი აპარატით. ნემატოდების სახეობამდე გარკვევისათვის ვზომავდით: სხეულის სიგრძეს – L, სიგანეს – D, საყლაპავის სიგრძეს – OS, კუდის სიგრძეს – CD; ვადგენდით ვულვის მდებარეობას, სპიკულებისა და გუბერნაკულუმის სიგრძეს. ნემატოდების პროპორციების დადგენისას ვიყენდით ნემატოლოგიაში დე მანისა (De man, 1884) მიერ მიღებულ ინდექსებს.

ენტომოპათოგენერი ცემატოლების გულტივირებას ხელოვნურ საკვებ არეაბზე და მათი პოსერვირება

ვაწარმოებდით ენტომოპათოგენური ნემატოლების კულტივირებას ხელოვნურ საკვებ არეზე და მათ კონსერვირებას.

პირველად ხელოვნური საკვები არე Steinernema – თვის 1932 წელს გლეზერის მიერ იყო შემოთავაზებული. მის შემადგენლობაში შედიოდა დექსტროზა, ხბოს ღვიძლის ექსტრაქტი, აგარის ნაყენი და საფუარი. პირველად ავტორი უმატებდა საკვებ არეს მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის საკვერცხების ფეხნილს, რამდენიმე დათესვის შემდეგ გლეზერი მასტიმულირებელი ნივთიერების სახით იყენებდა ბოლო ხნოვანების ლარვების ცხიმოვან ქსოვილს და ჰემოლიმფას.

Steinernema glaseri-ს კულტივირების ცდა *in vivo* პირველად ჩატარებული იყო ვაიზერის მიერ იაპონურ ხოჭოზე, მაგრამ შედეგი არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. დუტკიძე (Dutky, 1955); Steinernema carpocapsae-თვის პირველად გამოიყენა თაფლის ფიჭის ჩრჩილის ლარვები. ვერემჩუქმა (1969, 1976); ტარაკანოვმა (1980), ყურაშვილმა, კაცულიამ, გურგენიძემ (1982); ცვლილებები შეიტანეს Steinernema-ს კულტივირების მეთოდიკაში.

Steinernema carpocapsae-ს და *Heterorhabditis poinari*-ს ლაბორატორიაში კულტივირებისას გ. კაკულიას და ნ. მიქაიას მიერ პირველად გამოყენებული იყო მაგარი საკვები არე, თაფლის ფიჭის ჩრჩილის მუხლუხოები, რომლებიც კულტივირებული იყო ლაბორატორიაში Haydak-ის (1936). მეთოდით. ნემატოლების საკვებ არედ გამოყენებულ იქნა,

აგრეთვე თუთის აბრეშუმხვევიას მატლები (სურათები 5, 6, 7) და ჭუპრები, რომელთა კულტივირება ხდებოდა თუთის ფოთლებზე. ნემატოდების გასამრავლებლად უკეთესია ინვაზიური ლარვების გამოყენება, რომლებიც გამოსული არიან ბუნებაში ამ ნემატოდებით დახოცილი მწერებისაგან. მწერების და მათ შორის თუთის აბრეშუმხვევიას მატლების და ჭუპრების სიკვდილიანობის მაჩვენებელი განისაზღვრა აბოტის ფორმულის მიხედვით (Abbot, 1925).

Steinernema-ს კულტივირებისას გამოყენებულ იქნა თაფლის ფიჭის ჩრჩილის ჭუპრები. ნემატოდების კულტივირებისას ჭუპრებს ვასხურებდით წყლიან სუსპენზიას: 1 მლ-ში სტეინერნებას 250 ეგზებლარის შემცველობით. გარდა ამისა, Steinernema-ს კულტივირებისათვის ვიყენებდით თუთის აბრეშუმხვევიას (*Bombyx mori*) მატლებს. ინვაზირებას ვახდენდით შემდეგი მეთოდით: კიუვეტზე ვათაგსებდით ფილტრის ქაღალდს, ვასხურებდით სამუშაო სითხეს, რომლის 1 მლ-ში იყო დაახლოებით 250 ნემატოდა, კიუვეტზე ვსვამდით ერთი დღის დამშეულ ბოლო ასაკის მატლებს, რომელზეც თუთის ფოთლები იყო დალაგებული, ვასხურებდით თუთის ფოთლებზე ისევ სუსპენზიას. 24 საათის შემდეგ, აბრეშუმხვევიას მატლები იღებდნენ მოყვითალოყავისფერ შეფერილობას და იხოცებოდნენ. ამის შემდეგ ისინი გადაგვქონდა პეტრის ჯამზე, რომელზეც გადაკრული იყო ფილტრის ქაღალდი. ასეთ პეტრის ჯამს ვდგამდით წყლიან კიუვეტში, რომელიც წარმოადგენდა ნემატოდების დამჭერს. კიუვეტებს ყოველდღე გადავწურავდით და ნემატოდებს ვფილტრავდით, გაფილტრულ ნემატოდებს ვინახავდით მაცივარში $+5,6^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში. ასე ხდებოდა ნე-


მატოდების დაგროვება, ვიდრე არ დამთავრდებოდა ნემატო-
 დების გამოსვლა დამჭერებიდან. საკვებ არედ თუთის აბრე-
 შუმხვევიას ბოლო ასაკის მატლების ნაცვლად გამოყენებულ
 იქნა თუთის აბრეშუმხვევიას ჭუპრები. კიუვეტებზე დაფნილ
 ფილტრის ქაღალდზე დიდი რაოდენობით ლაგდება თუთის
 აბრეშუმხვევიას ჭუპრები, რომლებსაც ვასხურებდით ნემა-
 ტოდების სუსპენზიას, სადაც თითოეულ მილილიტრში და-
 ახლოებით 200-250 ნემატოდაა (სურათები 2, 3). ასეთი
 მეოდით 48 საათის შემდეგ ინვაზირდება ჭუპრების 90-
 100%. ამ გარემოების ასახსნელად საკმარისი აღმოჩნდა ის
 ფაქტი, რომ თუთის აბრეშუმხვევიას ლარვებს დაჭუპრების
 შემდეგ სეგმენტშორის არეში ქსოვილი უფაშარავდებათ და
Steinernematid-ები ასეთ ქსოვილში ადვილად შეიჭრებიან.
 ჭუპრებიდან მიღებული ნემატოდების რაოდენობა ერთ პე-
 ტრის ჯამზე 40-60 ათასით მეტია, თუთის აბრეშუმხვევიას
 ბოლო ასაკის მატლებიდან მიღებული ნემატოდების რაოდე-
 ნობაზე (სურ.4). მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ენტო-
 მოპათოგენური ნემატოდების კულტივირება ხელოვნურ საკ-
 ვებ არებზე. ენტომოპათოგეური ნემატოდები ინტენსიურად
 მრავლდებიან, როდესაც უზრუნველყოფილი არიან საკვებით.
 საკვები არის განლევის შემდეგ ენტომოპათოგენური ნემატო-
 დები (როგორც *Steinernematid*-ები ასევე *Heterorhabditis*-
 ები) ინვაზიურ სტადიებზე (II, III ხნოვანების) ტოვებენ
 მწერის სხეულს და განითესებიან, ანუ ემებენ სხვა მასაინ-
 ძელს. ასეთ მომენტში, ისინი პეტრის ჯამიდან ფილტრის
 ქაღალდის გავლით ხვდებიან კიუვეტეში წყლის არეში. ყო-
 ველდღიურად გადაწურული და შეგროვილი ნემატოდები
 სპეციალურ ბადეში იფილტრება. დაკვირვებებმა დაგვარწმუ-

ნა, რომ შემუშავებული მეთოდიკა ეფექტურია და სავსებით გამოსადეგია ნემატოდების მასობრივი კულტივირებისათვის.

მინის კოლბებში მოთავსებული ინვაზიური ნემატოდები $+4,5^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე ჩვეულებრივ საოჯახო მაცივარში ინახება. ჭურჭელში სითხის დონე 1/3-ს არ უნდა აღემატებოდეს. ნემატოდებიან სითხეს, კოლბებში ემატება ფიზიოლოგიური ხსნარი. მაცივარში მოთავსებულ ასეთ კოლბაში თავსდება წყლის კომპრესორი (ისეთი, როგორიც გამოიყენება ოთახში თევზების აკვარიუმში). ყოველდღე ან დღე გამოშვებით, ხდება კომპრესორით ჰაბერვა, ეს პროცედურა გრძელდება 1-1,5 საათის განმავლობაში. ასეთი მეთოდით ორივე ოჯახის ინვაზიური ლარვების შენახვა შეიძლება 1-2 წლის განმავლობაში. ნემატოდებით დაინფიცირებული მწერის, ან კულტივირების შედეგად პეტრის თასზე არსებული ნემატოდების რაოდენობის განსაზღვრას ვახდენდით პროცენტულად შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\frac{\text{Nx}100}{\text{T}} = \text{P}$$


სადაც $\text{N}=$ მწერის სხეულში ან პეტრის თასზე დათვლილი ნემატოდების საშუალო რიცხვს, $\text{T}=$ პირველადარსებული ნემატოდების საშუალო რიცხვს პეტრის თასზე (ჩვეულებისამებრ 200), $\text{P}=$ მწერში შეღწეული ან პეტრის თასზე არსებული ნემატოდების რაოდენობას გამოხატულს პროცენტულად (Glazer, Lewis, 2000).




სურ. 2.
კოუპეტზე დალაგებული ნემატოდით
დაინფაზირებული თუთის
აპრეშუმშვევიას ჭუპრები.




სურ.3.
კულტივირების შედეგად მიღებული
ნემატოდების რაოდენობა თუთის
აპრეშუმშვევიას ჭუპრებიდან.



სურ. 4.
კოუპეტზე დალაგებული ნემატოდით
დაინფაზირებული თუთის
აპრეშუმშვევიას
IV ხნოვანების მატლები



სურ. 5.
კოუპეტზე მოთავსებული
ნემატოდებიანი თუთის
აპრეშუმშვევიას IV ხნოვანების
მატლების დაინფაზირების
შედეგი 24 საათის შემდეგ



სურ. 6.

კულტივირების შედეგად მიღებული ნემატოდების რაოდენობა
თუთის აბრეშუმშვევიას მატლებიდან.

ულვაშფირფიტოვანი (Scarabaeidae) სოჭოების მოპლე დახასიათება

მაისის, ივნისის, გარმარა სოჭოების და
სოჭო-ამიერკაზბასიის გარტორქას
მოპლე დახასიათება

სამუშაოს მიზანს შეადგენდა საქართველოს ზოგიერთი რაიონის ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების ფაუნისტურ-ეკოლოგიური გამოკვლევა, ნემატოდების პერსპექტიული ფორმის გამოვლენა და მათი გამოყენება პრაქტიკაში მავნე მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოჭოების შეგროვებას ვაწარმოებდით როგორც მატლის, ისე იმაგოს ფაზაში ბოსტან-ბალჩებში, ვენახებში, ორანჟერეებში, კვალსათბურებში და აგრეთვე მდინარის ახლოს მდებარე პარკებსა და ბაღებში არსებულ ნეშომპალათი მდიდარ ნიადაგებში, შემდეგ კი ლაბორატორიულ პირობებში ვაწარმოებდით მათ ჰელმინ-თოლოგიურ გამოკვლევას. იმაგოსა და მატლების სახეობრივი შედეგნილობის კვლევა წარმოებდა ი.ჯამბაზიშვილის (1990) სარკვევით. ნემატოდებზე გამოკვლეული ხოჭოები სათანადო ნუმერაციით ტარდებოდა გაკვეთის უურნალში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების 214 სახეობა (ჯამბაზიშვილი, 1979). მოპოვებულია 9 სახეობის იმაგო, ჭუპრი და მატლი. გაკვეთილ იქნა სულ 1851 ეგზემპლარი.

1. მაისის ხოჭო – *Melolontha pectoralis* Germar, 1824 (სურ.7.1)

მაისის ხოჭო ძირითადად შავი ფერის მწერია, ზედა ფრთები მურა წითურია, იშვიათად ყვითელი-მურა. პიგიდიუმი განიერი და ბრტყელია, მუცლის ყველა სეგმენტის ნაპირებზე თეთრი სამკუთხედი ლაქები ამჩნევია. ზრდასრული მატლი 4 – 4,5 სმ-ია. აქვს მკრთალი მოყვითალო ფერი, თავი მურა ფერია, ტანი რკალივითაა მოხრილი, აქვს კარგად განვითარებული სამი წყვილი მკერდის კიდური.

ჭუპრი მატლზე ორჯერ განიერია და კარგად შესამჩნევია მომავალი ხოჭოს ყველა კიდური. აღნიშნული მწერი საქართველოში თითქმის ყველგანაა გავრცელებული. მოპოვებული იყო ბორჯომისა და ხაშურის რაიონებში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდის, ხობისა და წალენჯიხის რაიონებში. ეს ხოჭო გვხვდება როგორც დაბლობზე, ასევე მთის ტყეებში. ხოჭოების ფრენა მიმდინარეობს აპრილიდან ივლისის ჩათვლით. მასობრივი ფრენა შეიმჩნევა მაისში. ხოჭოების რიცხოვნობა იკლებს ივნისის ბოლოს. ივლისში შეიმჩნევა მხოლოდ ერთული ხოჭოები. ხოჭოები აქტიურნი არიან საღამოს საათებში. იზამთრებს ლარვა. გაზაფხულზე მდედრი მიწაში 100-მდე კვერცხს დებს. ლარვები ხვდებიან ნიაღაგში 5-30 სმ სიღრმეზე. ამ სახეობას გააჩნია 3-წლიანი გენერაცია. ზიანი მოაქვს როგორც ხოჭოს ისე მატლს. ხოჭო აზიანებს ბაღისა და ტყის სხვადასხვა კულტურების ფოთლებს. მატლი მეორე წლიდან მესამე წლის ჩათვლით იწვევს ბაღის და ტყის ახალგაზრდა ხეების ფესვების დაზიანებას. გაზაფხულზე, როდესაც სადღელამისო

ტემპერატურა 12°C-ს მიაღწევს, მატლები ამოდიან ნიადაგის ზედა ფენებში და იწყებენ ახალგაზრდა ხეებისა და აღმონაცენთა დაზიანებას.

2. 0360სის ხოჭო – *Amphimallon solstitialis* *Setosus Reitter, 1902 (სურ.7.2)*

ხოჭოს ზედა ფრთები რუხი და ღია მოყვითალო ფერისაა. ულვაშები და ხოჭოს ზედა ფრთები მოწითალო-მოყვითალოა. მუცელი, მკერდის ფარი, მკერდი ქვედა მხრი-დან და ზედა ფრთების ფუძე დაფარულია ხშირი მოყვითალო ფერის ბეწვით. მამრს უფრო გრძელი ულვაშები აქვს, ვიღრე მდედრს. მამრს მუცელზე ემჩნევა განიერი ჩაღრმავება, მდე-დრის მუცელი კი ამობურცულია. მატლი ძალიან ჰგავს მაი-სის ხოჭოს მატლს, მისგან განირჩევა მხოლოდ სიდიდით. ეს ხოჭოები და მათი მატლები მოპოვებული იყო როგორც აღ-მოსავლეთ საქართველოში: ბორჯომის (ახალდაბა), ხაშურისა და გორის რაიონებში, სამცხე-ჯავახეთში, ასევე დასავლეთ საქართველოში ხობის, ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებ-ში. ივნისის ხოჭო გვხვდება, როგორც დაბლობში, ასევე მთიან ადგილებში. უპირატესობას ანიჭებს აუთვისებელ მი-წებს, ასევე ბინადრობს სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულ ნიადაგებში.

ხოჭოების ფრენა ზდება ივნისიდან ივლისის ჩათვლით. დღისით ხოჭოები იმაღლებიან ნიადაგში სხვადასხვა სიღრმეზე. მასიური ფრენა აღინიშნება დღის მეორე ნახევარში, აგრეთვე ღამით. მდედრების მიერ დადებული კვერცხების რაოდენობა

საშუალოდ უდრის 20-22. ივნისის ზოჭოს აქვს ორწლიანი გენერაცია. მისი ლარვები გვხვდება ნიადაგში, ბალება და სხვა კულტურულ ნარგავებში, ივნისის ზოჭოს ლარვები იკვებებიან და ანადგურებენ სხვადასხვა კულტურებს – შაქრის ჭარხალს, სიმინდის ნათესებს, მზესუმზირას, ლობიოს, ხორბლის კულტურებს და სხვა ბალახეულ მცენარეულობას. ეს სახეობა მრავალრიცხოვანია ყველგან.

3. მარმარა ხრატო – *Polypylla olivieri* Castelnau, 1840 (სურ.7.3)

ზოჭო სიგრძით 33 მმ-ს აღწევს. სხეული მოგრძოვალურია, ამობურცული, ზომიერად მბრწყინავი. ფრთისზედა ნაწილი მკვეთრად თეთრი ან მოყვითალო-თეთრი, თავი და ზურგის წინა ნაწილი ყვითელია. ულვაშები შავი-რუხი ფერისაა, მარაოსებრი. ეს ზოჭო მოპოვებული იყო როგორც აღმოსავლეთ საქართველოში თბილისში-ვერეს ხეობა, გორისა და ახალციხის რაიონებში, ისე დასავლეთ საქართველოში – მარტვილის, წალენჯიხის რაიონებში, ქ. ფოთში. მარმარა ზოჭო ქსეროფილია, ბინადრობს როგორც დაბლობზე, ასევე ტყის ზონაში. ფრენს ღამით, ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით. მდედრი დებს 40-41 კვერცხს გროვად, კვერცხიდან ლარვა გამოდის 17-21 დღის შემდეგ. ახალგაზრდა ლარვები იკვებებიან ნეშომპალათი და ფესვებით. კანის პირველი ცვლის შემდეგ ლარვები იწყებენ ინტენსიურ კვებას. ისინი იმყოფებიან 5-40 სმ სიღრმეზე ნიადაგში და იქ იზამთრებენ. ეს ზოჭო ხასიათდება 3-წლიანი გენერაციით. ახლადგამოჩეკილი

მატლის სიგრძე 12-13 მმ-ია, ზრდის დასრულების შემდეგ კი მისი ზომა 80 მმ-ს აღწევს. ხოჭოს მატლი იკვებება მცენარის როგორც მთავარი, ისე გვერდითი ძველი და ნაწილობრივ ნორჩი ფესვებით. მარმარა ხოჭო აზიანებს შაქრის ჭარხალს, ჩაის პლანტაციებს, ციტრუსოვან კულტურებს, მზესუმზირას, ვაზს და სხვა მცენარეებს.

4. ამიერკაბაშასის მარტორჩა – *Oryctes nasicornis* *Latipenis Motschulsky, 1845 (სურ.7.4)*

ამიერკაბაშასის მარტორჩა წაბლისფერი მურა ფერის ხოჭოა, სხეული წაგრძელებულია, ამობურცული, საკმაოდ ფართო, ბრჭყვიალა ზედაპირით. კიდურები და სხეულის ქვედა მხარე მოწითალო ბუსუსებით არის შემოსილი. თავი პატარაა, თავის ფორმა სამკუთხა მოყვანილობისაა. მამრის თავის დიდი ნაწილი დაკავებულია რქით. მდედრს რქის ნაცვლად პატარა ამოზნექილობა აქვს. ზრდასრული ხოჭოს სხეულის სიგრძე 25-40 მმ-ია. მატლი მსხვილია – სიგრძით 80 მმ-მდე. პიგიდიუმი მამრს თანაბრად ამობურცული აქვს, მდედრს პიგიდიუმი ბორცვისებურად ამობურცული. მკერდი დაფარული აქვს ხშირი წერტილებით. მუცელი შუაში ბრტყელია, გვერდებზე კი ხშირი წვრილი წერტილებით არის დაფარული. ამიერკაბაშასის მარტორჩა მოვიპოვეთ როგორც აღმოსავლეთ საქართველოში თბილისი-ვაკის პარკში, ბორჯომის რაიონში – ახალდაბა, ხაშურის და გორის რაიონებში, ასევე დასავლეთ საქართველოში – მარტვილის, ზუგდიდის, გალის რაიონებში. იგი გვხვდება როგორც დაბ-

ლობზე, ასევე ტყის ზონაში, ბინადრობს სხვადასხვა ჭიპის ნიადაგებზე. ეს ხოჭო ფრენს ივნისის დასაწყისიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე. ხოჭოები ფრენენ ღამით. ლარვები ვითარდებიან დამპალ მცენარეთა ნარჩენებში და საერთოდ ნეშომპალათი მდიდარ ნიადაგში, ნახერხში, დამპალ კუნძში, ნაგავში, ნაკელში. ლარვები განვითარების ბოლო სტადიის მერე ნიადაგში იკრიბებიან და ჭუპრდებიან ფხვიერ ბუდეში.

**მწვანე ბრინჯაულას, აპრილის ხოჭოს,
უნდობლი. მესაფლავის, ბანჯგვლიანი
ბრინჯაულას მოპლე დახასიათება**

**5. მწვანე ბრინჯაულა – *Cetonia aurata* Linne, 1758
(სურ.7.5)**

მწვანე ბრინჯაულა ყველგან ფართოდ გავრცელებული და კარგად ცნობილი ხოჭოა. სხეულის ზედა მხარე მწვანეა, ლითონისებური ბზინგარებით, თეთრი ლაქებით, ზოგჯერ სპილენძისებურად წითელია, იშვიათად სხეულის ზედა მხარეც ასეთივე შეფერვისაა. ულვაშები შავია. თავის ნაწილი წაგრძელებულია. პიგიდიუმი ზომიერად ამობურცულია წვეროსთან. კიდურები დაფარულია ხშირი წერტილებით. მოპოვებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში – თბილისის ბოტანიკურ ბაღში, გორის, ხაშურის და ბორჯომის რაიონებში, მესხეთ-ჯავახეთში, ისე დასავლეთ საქართველოში – მარტვილის, ჩხოროწყუს და ზუგდიდის რაიონებში, გვხვდება

როგორც დაბლობში ასევე ტყის ზონაში. ბინადრობს სხვა-დასხვა ტიპის ნიადაგში. ხოჭო ფრენს მაისიდან სექტემ-ბრამდე. ხოჭოები აქტიურ ცხოვრებას ეწევიან დღისით. მაისში მდედრი დებს კვერცხებს დამპალი ხეების ფესვებსა და ჯირკებს შორის. ემბრიონული განვითარება მიმდინარეობს 16-18 დღე. დაჭუპრება იწყება ივნისიდან. იზამთრებენ რო-გორც ლარვები, ასევე ზრდასრული ფორმები. აქვთ ერთ-წლიანი გენერაცია. ლარვები ხვდებიან ნიადაგში 5-10 სმ სიღრმეზე. ხოჭოების სიგრძე 14-20 მმ. ხოჭოები გვხვდებიან ზაფხულობით, ბინადრობენ ვარდის, ხეხილის ყვავილებში და აზიანებენ მათ. კარგად ფრენენ.

6. აპრილის ხოჭო – *Rhisotrogus aequinoctialis* Herbst, 1790 (სურ.7.6)

აპრილის ხოჭო საქართველოში ფართოდ გავრცელე-ბული ხოჭოა. სხეულის ზედაპირი ოვალურია, ბრჭყვიალა, მურა-წითელი. თავის ნაწილი მომრგვალებულია, ზემოდან დაფარულია ხშირი წვრილი წერტილებით და გრძელი ხში-რი წითური ბუსუსებით. თვალები ფართოა, ამობურცული. პიგიდიუმი ზომიერად ამობურცული. მოპოვებული იყო რო-გორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში – თბი-ლისში, ბორჯომის ხეობაში, გალის და ზუგდიდის რაიონებ-ში. გვხვდება როგორც დაბლობში, ასევე მთისწინეთში, ყამირ მიწებზე, მინდვრებზე, სადაც სხვადასხვა კულტურები მო-ჰყავთ. ხოჭოები ფრენენ აპრილიდან მაისის ჩათვლით, ფრე-ნენ დღისით. მდედრი დებს 24-28 კვერცხს ნიადაგში. ლარვა

იზამთრებს ნიადაგში 30-40 სმ სიღრმეზე. ეს სახეობა ზა-სიათდება 3-წლიანი გენერაციით. ლარვები ანადგურებენ სხვადასხვა მცენარეების ფესვებს.

7. უნგრული ბრინჯაულა – *Netocia hungarica armeniaca* Menetries, 1832 (სურ.7.7)

ხოჭოს სხეული ფართოა, ამობურცული, ზედა ნაწილი ბალახისფერი-მწვანეა. თავი არა აქვს დიდი, დაფარულია მსხვილი წერტილებით. თავის ნაწილი სწორკუთხოვანია. ზურგის წინა ნაწილი საგმაოდ ამობურცულია, დაფარულია ხშირი მსხვილი წერტილებით, განსაკუთრებით გვერდებზე. პიგიდიუმი ოდნავ ამობურცულია. მკერდი დაფარულია ბუსუ-სებით. მუცელი დიდია, წერტილებით და იშვიათი ბუსუსე-ბით. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში: თბილი-სის ბოტანიკურ ბაღში, ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში. მოპოვებულია სამცხე-ჯავახეთში, ბაბანეურის ნაკრძალში, წიფლნარში, ტყის ყომრალ ნიადაგებში. ქსეროფილია. გავრ-ცელებულია ნახევრად-უდაბნოში, დაბლობზე, მთისწინეთსა და ტყის ზონაში. ბინადრობს წყალგამყოფების მშრალ ად-გილებში, ნაცრისფერ-რუხ და შავმიწა ნიადაგებში. ხოჭოები ფრენებ აპრილიდან აგვისტოს დასაწყისამდე. იზამთრებს იმ-აგო ჭუპრის ბუდეში. გენერაცია ერთწლიანია. ხოჭოები იმ-ყოფებიან მცენარეებზე, ლარვები – ნიადაგში. ხოჭო აზიანებს რთულყვავილოვან და სხვა მცენარეებს: მზესუმზირას, ჭარ-ხალს, კომბოსტოს, ვაშლის ყვავილებს, ალუბალს, ქლიავს, ყურძნის მტევანს. ლარვას არ მოაქვს ზიანი.

8. მესაფლავე ბრინჯაულა – *Netocia funebris* Gory et Percheron, 1833 (სურ.7.8)

მესაფლავე ბრინჯაულას სხეული წაგრძელებულია, საკმაოდ ამობურცული, ბრჭყვიალა, შავ-თეთრი ლაქებით. თავის ნაწილი წაგრძელებული, სწორკუთხოვანი, საკმაოდ ძლიერად აწეული წინა მხრით. სხეულის გარე ნაწილი დაფარულია იშვიათი მცირე ზომის წერტილებით. პიგიდიუმი საკმაოდ ძლიერადაა ამობურცული. მოპოვებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში: მცხეთისა და ბაბანეურის ნაკრძალის, წიფლნარის ყომრალ ნიადაგებში. ქსეროფილია, ბინადრობს დაბლობზე, ხოჭოები ფრენენ მაისიდან ივლისის შუა რიცხვებამდე. აქტიურები არიან დღისით, ისინი იკვებებიან რთულყვავილოვანი მცენარეების ყავავილებით. ეს ხოჭოები კულტურული მცენარეების ყვავილების შემთხვევითი მაგნებლებია. იშვიათი სახეობაა. გვხვდება ამ სახეობის ერთეული ეგზემპლარები.

9. ბანჯგვლიანი ბრინჯაულას სხეული ფართოა, ზემოდან შავი, გრძელი ნაცრისფერი ბუსუსებით, ფრთების ზედა ნა- წილი თეთრი ლაქებით არის დაფარული. თავის ნაწილი წაგრძელებულია. პიგიდიუმი ზომიერად ამობურცულია. გავრ- ცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ სა- ქართველოში. ნაპოვნია თბილისში – დიღომი, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე, მცხეთაში, ბორჯომისა და ზუგდიდის რაიონებში. გვხვდება დაბლობ აღ- გილებზე, ნაკლებად – მთისწინეთსა და ტყეში. ბინადრობს ნაცრისფერ, ალუვიურ და ნაცრისფერ-მურა ნიადაგებში. ხო- ჭო ფრენს აპრილსა და ივნისში. მდედრი დებს 20-25 კვერცხს ნიადაგში. ემბრიონული განვითარება გრძელდება 6- 10 დღე. ლარვის ფაზა გრძელდება ორნახევარ თვეს. ლარვე- ბი იმყოფებიან ნიადაგში, ანდა მღრნელების ბუდეებში. და- ჭუპრება მიმდინარეობს აგვისტოში, სექტემბრის დასაწყისში. ბანჯგვლიანი ბრინჯაულა დაჭუპრების შემდეგ რჩება ნიადაგ- ში და იზამთრებს გაზაფხულამდე. ეს სახეობა იძლევა ერთ გენერაციას. ხოჭოები იკვებებიან გარგარის, ვაშლის, შსხლის, ქლიავის, კომშის, ვარდის, ყურძნის ყვავილებით. იგი ფართოდ გავრცელებული სახეობაა.



1



2



3



4



5



6



7



8



9

სურ. 7.

პარაზიტოლოგიურად გამოკვლეული ულვაშვირფიტოვანი ზოჭოები:

1. *Melolontha pectoralis*,
2. *Amphimallon solstitialis*,
3. *Polyphylla olivieri*,
4. *Oryctes nasicornis*,
5. *Cetonia aurata*,
6. *Rhisotrogus aequinoctialis*,
7. *Netocia hungarica*,
8. *Netocia funebris*,
9. *Epicometis hirta*.

ულვაშვილისტორვანი ხოჭოების ნემატოდების ტაქსონომიური მიმოხილვა და ფაუნისტური ანალიზი

ულვაშვილისტორვან ხოჭოებში რეგისტრირებული ნემატოდები მიეკუთვნებიან 3 რიგსა (Rhabditida, Oxyuirida, Mermithida,) და 5 ოჯახს (Rhabditidae, Steinernematidae, Cephalobidae, Thelastomatidae, Mermithidae). ვემყარებით კლასიფიკაციას, რომელიც შემოთავაზებული იყო პ. სკრიაბინის, ნ. შიხობალოვას, ე. ლაგოდოვსკაიას (Скрябин К., Шихобалова Н., Лагодовская Е, 1966) მიერ.

| | |
|---------|-------------------|
| ტიპი | – Nemathelminthes |
| კლასი | – Nematoda |
| რიგი | – Rhabditida |
| ზეოჯახი | – Rhabditoidea |
| ოჯახი | – Rhabditidae |
| გვარი | – Pelodera |

**Rhabditidae-ს, Heterorhabditidae-ს, Steinernematidae-ს
Diplogasteridae-ს, ოჯახის ნემატოდების ტაქსონომიური
მიმოხილვა**

1. Pelodera teres (Schneider, 1866) (სურ.8)


ნემატოდის ეს სახეობა რეგისტრირებული იყო მკვდარ მაისის ხოჭოს (Melolontha pectoralis), სხეულში.

გაკვეთილ იქნა იმაგოს 17 და მატლის 31 ეგზემპლარი. დადგენილია, რომ ნემატოდის ეს სახეობა საპრობიონტი და პოლიფაგია. ნემატოდები ხოჭოს ნაწლავში გვხვდება წლის სხვადასხვა დროს. ნემატოდებით მაისის ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 14,58%, ინტენსივობა 2-12 ეგზემპლარია.

იგი რეგისტრირებულია აგრეთვე მკვდარი ხოჭოს მწვანე ბრინჯაულას (*Cetonia aurata*) სხეულში. გამოვიკვლიუთ ხოჭოს 9 ეგზემპლარი: 3 იმაგო და 6 მატლი. ამ სახეობის ნემატოდით მწვანე ბრინჯაულას დაინვაზირების ექსტენსივობა 22,22%, ინტენსივობა 4-6 ეგზემპლარია. მოცოვებული იყო როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. ამ ნემატოდის განაზომები ემთხვევა მაისის ხოჭოში რეგისტრირებულ ამავე სახეობის ნემატოდის იმ განაზომებს, რომლებიც მოცემულია სხვა ავტორების მიერ (Парамонов, 1962).

ქვემოთ მოცემულია *Pelodera teres* როგორც მდედრის, ასევე მამრის აღწერა და განაზომები.

ამ სახეობის ნემატოდებს მეტასტომის ყოველ ტუბერკულზე აქვთ სამი ონქი. ონქები კარგად არის განვითარებული, განლაგებულია ერთმანეთის პარალელურად. სკლეროტიზირებულია. ლაბიოტუბერკულები ჩვეულებრივ ღიაა. ბურსა პელოდელურია, დაზურული. გააჩნია 2 პაპილა. მამრების სპიკულები ხშირად შეზრდილია დისტალური ბოლოებით. მდედრების ვულვა ეკვატორულადაა განლაგებული. აქვთ ორი საკვერცხე, კუდი კონუსისებრია, მორჩით. გვხვდება დიდი ფორმები.



სურ. 8.

Pelodera teres Schneider, 1866.

♂ — მდედრის თავი; ♂ — მდედრის კუდი; ♀ — მამრის კუდი
ლატერალურად; ♀ — მამრის კუდი ვენტრალურად
(Schneider, 1866 მიხედვით).

მდედრები:

$L=0,798-0,840 \text{ mm}$;
 $d=0,20-0,24 \text{ mm}$;
 $os=42-44 \text{ } \mu\text{m}$;
 $cd=30-38 \text{ } \mu\text{m}$;
 $a=35-39,9$;
 $b=19-19,1$;
 $c=22,1-26,6$;

მამრები:

$L=0,994-1,020 \text{ mm}$;
 $d=0,31-0,32 \text{ mm}$;
 $os=210-220 \text{ } \mu\text{m}$;
 $cd=72-74 \text{ } \mu\text{m}$;
 $Sp=0,0035 \text{ } \mu\text{m}$;
 $gub = 0,023 \text{ } \mu\text{m}$;
 $a=31,87-32,06$;

$$V=48,5-50\%.$$

$$b=4,63-4,73;$$

$$c=13,78-13,80.$$


მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ბორჯომისა და გორის რ-ნები; ვერეს ხეობა (თბილისი); დასავლეთი საქართველო: გალისა და წალენჯიხის რ-ნები (ფოთლოვანი ტყე, ხის ლპობადი კუნძი).

2. *Pelodera serrata* (Körner, 1952) (სურ.9)

ნემატოდის ეს სახეობა რეგისტრირებული იყო მაისის ხოჭოში (*Melolontha pectoralis*); გაკვეთილია მაისის ხოჭოს იმავეს 15 და მატლის 39 ეგზემპლარი. ამ ნემატოდებით მაისის ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 18,5% უდრის. ინტენსივობა 1-5 ეგზემპლარი.

ქვემოთ მოცემულია *P.serrata*-ს აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის ამ სახეობას აქვს კარგად განვითარებული ონქები. ბურსა არის პელოდელური ღია, გააჩნია 3 პაპილა. მამრებს აქვთ დისტალური ბოლოებით შეერთებული სპიკულები.



სურ. 9.

Pelodera serrata (Körner, 1952).

ა – სტომა; ბ – მდედრის თავის ნაწილი; გ – მამრის თავის ნაწილი;
დ – მდედრის კუდი; ე – მამრის კუდი (Körner, 1952 მიხედვით).

მდედრები:

$L=0,560-0,585 \text{ mm}$;
 $d=12-22 \text{ } \mu\text{m}$;
 $os=65-68 \text{ } \mu\text{m}$;
 $cd=28-30 \text{ } \mu\text{m}$;
 $a=26,6-46,6$;
 $b=8,60-8,61$;
 $c=19,5-20$;

მამრები:

$L=0,480-0,494 \text{ mm}$;
 $d=17-20 \text{ } \mu\text{m}$;
 $os=64-66 \text{ } \mu\text{m}$;
 $cd=20-24 \text{ } \mu\text{m}$;
 $Sp = 0,025 \text{ } \mu\text{m}$;
 $gub = 0,016 \text{ } \mu\text{m}$;
 $a=24,7-28,24$;

V=68,36%.

b=7,48-7,50;

c=20,58-24,00.

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ვაკის პარკი (თბილისი), ხაშურისა და ბორჯომისა რ-ნები (წიწვიანი ტყის ფესვთა სისტემა, ბალახოვანი მცენა-რების რიზოსფერო).

3. *Pelodera* sp¹.

ნემატოდის სახეობა მოპოვებულ იქნა უნგრული ბრინჯაულას იმაგოს 10 და მატლის 10 ეგზემპლარში. ინვაზირებული უნგრული ბრინჯაულას ექსტენსივობაა 5%, ინტენსივობა 0-12.

უნგრული ბრინჯაულას (*Netocia hungarica*) მატლის გაკვეთისას შეუა ნაწლავში რეგისტრირებულია ნემატოდის ერთეული სქესმწიფე ფორმები, როგორც მდედრები, ასევე მამრები. ამ ნემატოდის მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი ეკუთვნიან *Pelodera*-ს გვარის წარმომადგენლებს. მასალის სიმცირის გამო მისი სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა.

მოგვყავს *Pelodera* sp¹-ს განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:

L=0,560-0,575 მმ;

d=36-38 მმ;

მამრები:

L=0,260-0,265 მმ;

d=24-26 მმ;

| | | | |
|----------------|------|----------------|------|
| os=144-148 | მკბ; | os=120-124 | მკბ; |
| cd=60-75 | მკბ; | cd=40-44 | მკბ; |
| a=15,13-15,65; | | Sp = 0,03 | მკბ; |
| b=3,88-3,89; | | gub = 0, 015 | მკბ; |
| c=7,66-9,33; | | a = 10,8-10,9; | |
| V=52-53%. | | b = 2,13-2,16; | |
| | | c = 6,02-6,5. | |

მოპოვების ადგილი: ბაბანეურის ნაკრძალი (ახმეტის რაიონი), ბორჯომის რაიონი (წიფლნარი ტყის ყომრალი ნიაღაგები).


4. *Pelodera* sp².

ნემატოდა მოპოვებულ იქნა მესაფლავე ბრინჯაულას იმაგოს 8 და მატლის 11 ეგზემპლარში. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობაა 5,26%, ინტენსივობა 0-14 ეგზემპლარი.

მესაფლავე ბრინჯაულას (*Netocia funebris*) მატლის გაკვეთისას უკანა ნაწლავში რეგისტრირებულია ნემატოდის რამდენიმე ეგზემპლარი. მისი სახეობამდე გარკევევა ვერ მოხერხდა მასალის სიმცირის გამო. ნაპოვნი იყო როგორც მდედრები, ასევე მამრი ეგზემპლარები. ნემატოდის განაზომები ოდნავ განსხვავებულია უნგრულ ბრინჯაულაში რეგისტრირებულ ამავე გვარის ნემატოდის განაზომებისაგან. მოპოვებული იყო ბაბანეურის ნაკრძალში (ახმეტის რ-ნი) და მცხეთის რაიონში, წიფლნარი ტყის ყომრალ ნიაღაგებზე.

5. *Protorhabditis elaphri* (Hirschmann, 1952) (სურ.10)

ნემატოდა ნაპოვნია მარმარა ხოჭოს (*Polyphyla olivieri*) იმაგოს სხეულის გარეთა საფარველზე. ნემატოდა მარმარა ხოჭოსთვის არასპეციფიკურია და იგი ხოჭოს სხეულზე ნიადაგიდანაა მოხვედრილი. გ. კაკულიას მიერ (1970) ნემატოდა მავთულა ჭიებზე არის რეგისტრირებული. ნაპოვნი იყო მხოლოდ მდედრი ეგზემპლარები. შესწავლილია მარმარა ხოჭოს იმაგოს 6 და მატლის 10 ეგზემპლარი. ინვაზირებული მარმარა ხოჭოს ექსტენსივობაა 12,5%, ინტენსივობა 4-6 ნემატოდა. ის მოგვიანებით რეგისტრირებული იყო აგრეთვე მწვანე ბრინჯაულას (*Cetonia aurata*) უკანა ნაწლავში. ნემატოდაზე გამოკვლეულია მწვანე ბრინჯაულას 38 ეგზემპლარი (9 იმაგო და 29 მატლი). ამ სახეობის ნემატოდით მწვანე ბრინჯაულას ინვაზირების ექსტენსივობა უდრის 21,05%, ინტენსივობა 1-4 ეგზემპლარია. ნემატოდის განაზომები ემთხვევა მარმარა ხოჭოში რეგისტრირებულ ამავე სახეობის ნემატოდის განაზომებს. ნაპოვნია მხოლოდ მდედრი ეგზემპლარები.



სურ. 10.

Protorhabditis elaphri (Hirschmann, 1952).

- ა – მდედრის თავის ნაწილი; ბ – მდედრის თავის ნაწილი
ლატერალურად; გ – თავის ნაწილი ვენტრალურად;
- დ – მდედრის კუდი; ე – ლარვის თავი; ვ – ლარვის კუდი
(Hirschmann, 1952, მიხედვით).

ქვემოთ მოცემულია *Protorhabditis elaphri*-ს აღწერა და
განახომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის სახეობა ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ლაბიოტუბერკულები დაკეტილია. ხეილორაბლიონები სკლე-როტიზირებულია, სუსტადაა გამოხატული. პროტოსტომის ცილინდრი გრძელია და ვიწრო. ისინი მეტასტომის ტუბერ-კულებს არიან მოკლებული. ონქები არ გააჩნიათ. ტელასტო-მა გადადის საყლაპავში. აქვთ მეტაკორპალური ბულბუსი. მდედრებს აქვთ ორი საგვერცხე. ვულვა ეპვატორულადაა განლაგებული. მდედრის კუდი კონუსისებრია.

მდედრები:

$$\begin{array}{ll} L=0,200-0,224 \text{ მმ; } & a=16-20; \\ d=10-14 \text{ მმ; } & b=5-5,09; \\ os=40-44 \text{ მგმ; } & c=10,18-11,11; \\ cd=18-22 \text{ მგმ; } & V=48-50\%. \end{array}$$


მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ბორჯომი-სა და ხაშურის რ-ნები, დასავლეთი საქართველო – ხობისა და სენაკის რ-ნები (მდინარისპირა ადგილები, ჩაის პლანტაციები, დამპალი ხის კუნძები).

ოჯახი – Heterorhabditidae

გვარი – Heterorhabditis

6. *Heterorhabditis poinari* Kakulia et Mikaia, 1997 (სურ.11, 12)


ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნის შესწავლისას აღმოსავლეთ საქართველოში ქარელისა და ბორჯომის რაიონებში ხოჭო მარტორქის (*Oryctes nasicornis*) 362 ეგზემპლარიდან რეგისტრირებულია მეცნიერებისათვის ახალი სახეობა პეტერორაბდიტისას გვარიდან. გაკვეთილ იქნა იმაგოს 98 და მატლის 270 ეგზემპლარი. ინვაზირების ექსტენსივობა 88,85%-ია, ინტესივობა 1-1 ეგზემპლარი. მოპოვებულ იქნა ხოჭო ხე-მცენარეთა რიზოსფეროში, ნახერჩში, ჩაის პლანტაციებში, მოჭრილ კუნძში. ხოჭო-მარტორქის სხეულში მრავლად იქნა მოპოვებული ნემატოდის ლატენტური ფორმები, რომელთა კულტივირებამ და პრეპარატების მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი მიეკუთვნებიან პოინარის მიერ აღწერილი ახალი ოჯახის *Heterorhabditidae*-ს, გვარის *Heterorhabditis*-ს. შემდგომმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს არის მეცნიერებისათვის ახალი სახეობა. იგი აღწერილ იქნა 1997 წელს (კაკულია, მიქაია 1997).



სურ. 11.

Heterorhabditis poinari Kakulia et Mikaia 1997.

ა – ვულვა; ბ – ლარვის კუდი; გ-მამრის სხეულის წინა
ნაწილი (ორიგინალი)



სურ. 12.

Heterorhabditis poinari Kakulia et Mikaia, 1997

(გაგრძელება).

2 – ლარვები და კვერცხები საშვილოსნოში; 3 – მამრის კუდი;
3 – სპიკულა და გუბგრძნაკულუმი(ორიგინალი).

ქვემოთ მოცემულია ამ სახეობის აღწერა და განაზომები.

ნემატოდის მდედრის სხეული დაფარულია გლუვი კუტიკულით, თავის დაბალი ექვსი ბორცვი ერთმანეთისაგან შესამჩნევადაა გამოყოფილი. ხეილოსტომა მოკლეა და ხეილო-

რაბდიონები სხვა რაბდიონებთან შედარებით სუსტადაა გამოხატული, იგი ძაბრისებურად პროსტომაში გადადის.

პრო-მეზო და მეტასტომის საზღვრები სუსტადაა გამოხატული, ტელორაბდიონები ბოლოში შესქელებით მთავრდება. ტელოსტომის ბორცვი არ აღინიშნება. ტელორაბდიონებზე კბილი არაა განვითარებული. საყლაპავი მილი კარგადაა გამოხატული და ვიწრო სანათური აქვს. კარდიალური ბულბუსის ქსოვილში მოჩანს მცირე ზომის ჯირკვალი. ბულბუსის ცენტრში გადის საყლაპავის ვიწრო სანათური. ისტ-მუსზე აღინიშნება კარგად გამოხატული ნერვული რგოლი. გამომყოფი ფორა ბულბუსის ქვევით არის მოთავსებული. ამფიდები თავის არეში მხოლოდ დიდ გადიდებაზე ჩანს. მდედრის ვულვის ტუჩები სუსტადაა განვითარებული. ვულვა თითქმის ნემატოდის სხეულის ცენტრშია. მდედრებში გენიტალური სისტემა დიდელფურ-ამფიდელფურია. ანალური ხვრელი მკვეთრადაა გამოხატული. კუდი ნემატოდის ამ გვარში აღწერილი *Heterorhabditis bacteriophora*-თან შედარებით ბევრად გრძელია. იგივე კუდი ჰერმაფროდიტულ მდედრებში სიგრძით 2-ჯერ მეტია. ნემატოდის ამ სახეობას, ისევე როგორც *Heterorhabditis bacteriophora*-ს, გიგანტური ჰერმაფროდიტული მდედრები ჰყავს. მდედრებში და ამავე სახეობის ჰერმაფროდიტების საშვილოსნოში პირველი სტადიის ლარვები კვერცხებთან ერთად აღინიშნება.

მდედრები:

$$\begin{aligned} L &= 0,91-1,92 \text{ მმ}; \\ d &= 0,62-0,80 \text{ მმ}; \\ os &= 24-26 \text{ მგბ}; \end{aligned}$$

პოლოტიპი:

$$\begin{aligned} L &= 0,98 \text{ მმ}; \\ d &= 0,71 \text{ მმ}; \\ os &= 22 \text{ მგბ}; \end{aligned}$$

| | | | |
|----------------|-----------------------|-------------|-----------------------|
| $cd=86-105$ | $\partial_j\partial;$ | $cd=92$ | $\partial_j\partial;$ |
| $a=1,47-1,90;$ | | $a=1,38;$ | |
| $b=3,79-5,85;$ | | $b=4,45;$ | |
| $c=1,06-1,45;$ | | $c=1,06;$ | |
| $V=48-50\%.$ | | $V=44,5\%.$ | |

მამრები:

| | |
|----------------|-----------------------|
| $L=0,97-1,00$ | $\partial\partial;$ |
| $d=43-70$ | $\partial_j\partial;$ |
| $os=28-29$ | $\partial_j\partial;$ |
| $cd=36-65$ | $\partial_j\partial;$ |
| $Sp=43-55$ | $\partial_j\partial;$ |
| $Gub=24-32$ | $\partial_j\partial;$ |
| $a=1,43-2,25;$ | |
| $b=3,45-3,46;$ | |
| $c=2,69-1,54.$ | |

ალოტიპი:

| | |
|-----------|-----------------------|
| $L=0,99$ | $\partial\partial;$ |
| $d=54$ | $\partial_j\partial;$ |
| $os=26$ | $\partial_j\partial;$ |
| $cd=61$ | $\partial_j\partial;$ |
| $Sp=40$ | $\partial_j\partial;$ |
| $Gub=22$ | $\partial_j\partial;$ |
| $a=1,83;$ | |
| $b=3,80;$ | |
| $c=1,62.$ | |

მამრი: სხეული დაფარულია გლუვი კუტიკულით, თავის ბორცვები ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი. სპიკულა გრძელია ($43-55$ მკმ), აქვს ვენტრალური აბრა. ნავისებური გუბერნაკულუმის სიგრძეა $24-32$ მკმ; კუდზე გადაჭიმულია პელოდელური ბურსა, იგი ადანალურად გრძელდება და გამოყოფილია სამი წყვილი ბურსალური ნეკნით.

ინვაზიური ლარვების სიგრძე მერყეობს $350-410$ მკმ მდე. $cd=15-22$ მკმ; მესამე სტადიის ლარვას აშკარად გამოხატული აქვს მხოლოდ ანალური ხვრელი; კუდი მოკლე და

წვეტიანია; საჭმლის მომნელებელი სისტემიდან მხოლოდ ბულბუსია მკეთრად გამოხატული; შეიძლება სამამრე ნემა-ტოდების გარჩევა, მათ მოკლე კუდი აქვთ.

გიგანტური ჰერმაფროდიტული მდედრები სიგრძით თითქმის 2-ჯერ მეტია ტიპურ მდედრებთან შედარებით. ხეილოსტომა მოკლე და ვიწროა. თავის ბორცვები დაბალია და ერთმანეთისაგან გამოყოფილია. ბულბუსი მრგვალია (25 მკმ); მაქსიმალური სიგანე 32-31 მკმ-ს უდრის. კუდი გრძელია $cd=110-135$ მკმ; გრძელი კუდის გამო ამ ფორმებში ვულვის შუამდებარეობა დარღვეულია. საშვილოსნო მრავალი კვერცხებით და ერთეული პირველი სტადიის ლარვებით არის ამოვსებული.

დიფერენციალური დიაგნოზი: აღწერილი სახეობა *Heterorhabditis bacteriophora*-გან განსხვადება შემდეგი ნიშნებით:

გიგანტური მდედრები:

| | |
|------------------------|------------------------|
| <i>Heterorhabditis</i> | <i>Heterorhabditis</i> |
| bacteriophora | poinari |
| $L=1,064-1,075$ მმ; | $L=1,095-1,098$ მმ; |
| $d=0,475-0,564$ მმ; | $d=0,555-0,648$ მმ; |
| $cd=81-93$ მკმ. | $cd=110-135$ მკმ. |

ტიპური მდედრები:

| | |
|------------------------|------------------------|
| <i>Heterorhabditis</i> | <i>Heterorhabditis</i> |
| bacteriophora | poinari |
| $L=0,318-0,385$ მმ; | $L=0,91-1,52$ მმ; |
| $d=0,160-0,220$ მმ; | $d=0,62-0,80$ მმ; |
| $os=155-183$ მკმ; | $os=0,152-0,172$ მკმ; |
| $cd=71-82$ მკმ. | $cd=0,86-1,05$ მკმ. |

ტიპური მამრები:

| | |
|----------------------|---------------------|
| Heterorhabditis | Heterorhabditis |
| bacteriophora | poinari |
| L=0,82-0,92 მმ; | L=0,97-1,100 მმ; |
| d=0,43-0,46 მმ; | d=0,43-0,70 მმ; |
| os=110-120 მკმ; | os=150-170 მკმ; |
| cd =0,28-0,36 მკმ; | cd=0,36-0,65 მკმ; |
| Sp = 0,28 -0,36 მკმ; | Sp = 0,40-0,42 მკმ; |
| gub=0,18-0,25 მკმ. | gub=0,24-0,32 მკმ. |

აღწერილი ახალი სახეობა *Heterorhabditis poinari*, მნიშვნელოვნად განსხვავდება პოინარის მიერ აღწერილი სახეობის *Heterorhabditis bacteriophora*-გან როგორც ცალკეული განაზომებით, ისე საერთო სიდიდით; განსხვავებულია დემანის ფორმულის მიხედვითაც.

ყოველივე ზემოთქმულმა მოგვცა საშუალება, მოპოვებული და აღწერილი ფორმა გამოგვეყო ახალ სახეობად და ნემატოდის ახალ სახეობას მეცნიერის (Poinari) პატივსაცემად ვუწოდეთ *Heterorhabditis poinari*.


ამ გვარისათვის ბოლო დრომდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი სახეობა *Heterorhabditis bacteriophora poinari*. ეს არის ჩხირისებური ბაქტერიის ინოკულატორი მწერის სხეულში, რის შედეგად ვითარდება სეპტიცემია და მწერი იღუპება. ამ გარემოებამ მოგვცა საშუალება იმედი გამოვთქვათ, რომ აღწერილი ახალი სახეობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის.

ოჯახი – Steinernematidae

გვარი – Steinernema

7. *Steinernema georgica* Kakulia et Veremtschuk, 1965 (სურ.13)

ნემატოდის სახეობა მოპოვებულ იქნა გაკვეთილი ხოჭო იმაგოს 12 ეგზემპლარის და 46 მატლის ნაწლავიდან. რეგისტრირებული ნემატოდის ეს სახეობა პირველად 1963 წელს იქნა მოპოვებული საქართველოში და აღწერილია 1965 წელს გ. კაკულიასა და ვერემჩუკის მიერ. ნემატოდის ეს სახეობა ნაპოვნია იგნისის ხოჭოში (*Amphimallon solstitialis*), მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში. ხოჭოები მოპოვებულია ტყისპირა ადგილებში და სასოფლო-სამურნეო სავარგულების განაპირას. ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 78%-ს უდრის, ინტენსივობა 2-3 ეგზემპლარს შეადგენს.



სურ. 13.

Steinernema georgica Kakulia et Veremtschuk, 1965.

α – თავის ნაწილი; δ – მამრის კუდის ნაწილი;

γ – გუბერნაკულუმი (კაკულია, ვერემჩუკი, 1965 მიხდვით).

ქვემოთ წარმოდგენილია St.georgica-ს აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის ამ სახეობას პირის ხვრელი კარგად აქვს გამოხატული, ის იყავებს ნემატოდის მთელი სხეულის 1/6 ნაწილს. კუდი გრძელია, ბლაგვი, მცირედ მოხრილი. ანალური ხვრელი კარგად ჩანს. მდედრის კუდი მამრის კუდთან შედარებით გრძელია. მდედრს გააჩნია კარგად გამოხატული ვულვა და ვულვის ტუჩები. მამრს ჩამოყალიბებული აქვს სპიკულები და გუბერნაკულუმი. ცნობილია (გ. კაკულია, ვერემჩუკი 1965), რომ Steinernema georgica-ს წარმომადგენლები თავიანთი განვითარების II, III სტადიას მწერ-მასანინებლში გადიან. წარმოქმნიან თავდაცვის გარსს და გადადიან ლატენტურ მდგომარეობაში. Steinernema.-ს ლარვები ცხოვრობენ ნიადაგში 5 წლამდე და ინარჩუნებენ მდგრადობას დაბალ ტემპერატურაზე. მიგრაციის დროს ნემატოდები გადალახავენ მცირე მანძილს. Steinernema georgica-ს ნემატოდები წარმოადგენენ პერსპექტიულ სახეობებს, როგორც ბრძოლის ბიოლოგიური საშუალება სასოფლო-სამეურნეო და ტყის მეურნეობის მავნებლების ბიოლოგიური კონტროლი-სათვის.

მდედრები:

$L=0,1178-0,1162$ მმ;
 $d=0,75-0,92$ მმ;
 $os=32-36$ მკმ;
 $cd=52-62$ მკმ;
 $a=12,63-15,70;$
 $b=32,3-36,8;$

მამრები:

$L=0,1142-0,1158$ მმ;
 $d=0,62-0,84$ მმ;
 $os=28-34$ მკმ;
 $cd=48-54$ მკმ;
 $Sp = 0,040$ მკმ;
 $gub = 0,025$ მკმ;

c=18,74-22,65;

V=52-53%.

a=13,78-18,4;

b=34,06-40,78;

c=21,44-23,79.

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ზაშურისა და ბორჯომის რ-ნები, დასავლეთი საქართველო, ქ. ფოთი (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სიმინდის ნათესები).

8. *Steinernema* sp.

ნემატოდის ეს ფორმა მოპოვებულია მაისის ხოჭოს (Melolontha pectoralis) შუა ნაწლავში. გაკვეთილ ოქნა იმა-გოს 6 და მატლის 14 ეგზემპლარი. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობაა 5%, ინტენსივობა 0-1 ეგზემპლარი. ლარვები ნაწლავის შიგთავსშია გაზვეული. ისინი მცირე ზომისანი არიან. მასალის მცირე რაოდენობის გამო, ნემატოდის ეს ფორმა სახეობამდე ვერ დავიყვანეთ.

მოგვყავს **Steinernema** sp. განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:

L=0,1072-0,1084 მმ;

d=0,62-0,66 მმ;

os=24-28 მკმ;

cd=43-46 მკმ;

a=16,43-17,29;

მამრები:

L=0,1035-0,1038 მმ;

d=0,48-0,52 მმ;

os=18-21 მკმ;

cd=39-44 მკმ;

Sp = 0,032 მკმ;


| | |
|----------------|---|
| $b=38,7-44,6;$ | $g_{ub} = 0,019 \text{ გ} \cdot \text{მ}$; |
| $c=23,5-24,9;$ | $a=19,9-21,6;$ |
| $V=50-52\%.$ | $b=49,4-57,5$ $c=23,6-26,5.$ |

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – წაშურისა და ბორჯომის რ-ნები, დასავლეთი საქართველო, ქ. ფოთი (მდინარისპირა ადგილები, სიმინდის ნათესები).

- ზეოჯახი – **Diplogasteroidea**
- ოჯახი – **Diplogasteridae**
- ქვეოჯახი – **Diplogasterinae**
- გვარი – **Mesodiplogaster**

9. **Mesodiplogaster lheritieri (Maupas, 1919) (სურ.14)**

ნემატოდის სახეობა საქართველოში პირველად ი.ელიავას (1962) მიერ იქნა რეგისტრირებული. ეს სახეობა აგრეთვე მწვანე ბრინჯაულას (*Cetonia aurata*) გაჭყლებილი მატლის სხეულზე იქნა ნაპოვნი. ნაპოვნია ნემატოდის როგორც მდედრი, ასევე მამრი ეგზემპლარები. გაკვეთილ იქნა იმავის 8 და მატლის 20 ეგზემპლარი. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობაა 28,57%, ინტენსივობა 1-4 ეგზემპლარი.



სურ.14.

Mesodiplogaster lheritieri (Maupas, 1919).

ა – სტომის ფორმა ლატერალურად; ბ – სტომის ფორმა ვენტრალურად; გ – მდედრის თავის ნაწილი; დ – მამრის კუდი ლატერალურად (Maupas, 1919 მიხედვით).

ქემოთ მოცემულია *Mesodiplogaster lheritieri*-ს აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის სტეროსტომას გააჩნია ვიწრო ხეილო და პროტოსტომა. ხეილორაბდიონები ეხება პროტორაბდიონებს, ორივე ელემენტი (ხეილო და პროტორაბდიონები) მოღუნულია. აქვთ დორსალური მეტასტომები. ონქის მარცხნივ არის მოთავსებული სუბვენტრალურად დაკბილული ფირფიტა. ზურგის მეტასტომის ბორცვებს გააჩნია კბილები და არა ონქები. სუბვენტრალურად მარჯვნივ მოთავსებულია ონქი, მარცხნივ – დაკბილული ფირფიტა 5 კბილანით, საყლაპავი მოკლეა. მდედრებს აქვთ ორი საკვერცხე.

მდედრები:

L=0,230-0,280 მმ;
d=0,18-0,26 მმ;
os=38-40 მმ;
cd=32-36 მმ;
a=10,76-12,7;
b=6,05-7;
c=7,18-7,76;
V=44-45%.

მამრები:

L=0,240-0,294 მმ;
d=0,16-0,24 მმ;
os=42-46 მმ;
cd=38-48 მმ;
Sp = 0,030 მმ;
gub = 0,015 მმ;
a=12,25-15;
b=5,72-6,39;
c=6,13-6,32.

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – გორის რ-ნი, დასავლეთი საქართველო – სენაკის რ-ნი (დამპალი ხის კუნძი, დამპალ მცენარეთა ნარჩენები).

Thelastomatidae-ს, და *Mermithidae*-ს ოჯახის ნემატოდების
ტაქსონომიური მიმოხილვა

ზეოჯახი – *Thelastomatoidea*


ოჯახი – *Thelastomatidae*

გვარი – *Cephalobellus*

10. *Cephalobellus melolonthae* Leibersperger, 1960 (სურ.15)

ნემატოდის სახეობა ნაპოვნია მაისის ხოჭოს (*Melolontha pectoralis*) უკანა ნაწლავში. გაკვეთილ იქნა მაისის ხოჭოს იმაგოს 15 და მატლის 25 ეგზემპლარი. ამ ნემატოდით მაისის ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 55% უდრის, ინტენსივობა 1-5. ნემატოდის ეს სახეობა მაისის ხოჭოში რეგისტრირებულია ივლისის თვეში.

ქვემოთ წარმოდგენილია *Cephalobellus melolonthae*-ს აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.



სურ. 15.

Cephalobellus melolonthae Leibersperger, 1960.

ა – მამრის კუდი ვენტრალურად; ბ – სპიკულა; გ – კუდის დაბოლოება ლატერალურად (Leibersperger, 1960. მიხედვით).

ნემატოდის მდედრის სხეულის სიგრძე 0,300-0,325 მმ-ია. სიგანე 0,24-0,28 მმ. საყლაპავი კორპუსის სიგრძე 44-48 მკმ-ს აღწევს. ბულბუსის ზომა 0,048-0,041 მმ-მდეა. კუდის სიგრძე 21-24 მკმ-ია. ვულვა მიახლოებით სხეულის შუა ნაწილშია მოთავსებული. მოკლე ვაგინა სხეულის წინა ნაწილისაკენ მიემართება. საშვილოსნოს ორივე ტოტი სხეულის შუა ნაწილშია მოთავსებული.

მამრი: სხეულის სიგრძე 0,258-0,260 მმ-მდეა. სიგანე 0,22-0,24 მმ-ს აღწევს. საყლაპავი კორპუსის სიგრძე 20-22 მკმ-ია. ბულბუსის ზომა 0,035-0,041 მმ-მდე აღწევს. ნერვული ოგოლი 0,204 მმ-ით არის სხეულის წინა ნაწილიდან

დაშორებული. კუდი არის ძაფისებრი, რომლის სიგრძე 22-24 მმ-ს აღწევს. სპიკულა ერთია, რომლის სიგრძეა 0,036 მმ და სიგანე 0,005 მმ.

მდედრები:

$L=0,300-0,325$ მმ;
 $d=0,24-0,28$ მმ;
 $os=44-48$ მკბ;
 $cd=21-24$ მკბ;
 $a=11,6-12,5$;
 $b=6,77-6,82$;
 $c=13,54-14,28$;
 $V=58-60\%$

მამრები:

$L=0,258-0,260$ მმ;
 $d=0,22-0,24$ მმ;
 $os=20-22$ მკბ;
 $cd=22-24$ მკბ;
 $Sp = 0,036$ მკბ;
 $gub = 0,015$ მკბ;
 $a=10,83-11,73$;
 $b=6,19-6,45$;
 $c=11,8-12,9$.


მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო: ბორჯომისა და ხაშურის რ-ნები, ვერეს ზეობა (თბილისი). დასავლეთი საქართველო: გალისა და ზუგდიდის რ-ნები, ქ. ფოთი (წიწვიანი ტყისპირი, მდინარისპირა ადგილები).

11. *Cephalobellus leuckarti* (Hammerschmidt, 1838), (სურ.16)

ნემატოდა რეგისტრირებულია ივნისის ხოჭოში (*Amphimallon solstitialis*). ცნობილია მხოლოდ მდედრი ეგზეზლარები, მამრი უცნობია. ნემატოდა ლოკალიზდება ხოჭოს

შუა ნაწლავში. გაკვეთილ იქნა ივნისის ხოჭოს-იმაგოს 15 და მატლის 20 ეგზემპლარი. ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 57,14%-ს უდრის. ინტენსივობა 3-4. *Cephalobellus leuckarti* რეგისტრირებული იყო აგრეთვე ხოჭო-მარტორქაში (*Oryctes nasicornis*) შუა ნაწლავში. ამ ნემატოდაზე გამოკვლეულია იმაგოს 20 და მატლის 62 ეგზემპლარი. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობა 64,63%-ია, ინტენსივობა 1-6 უდრის. ნემატოდების განაზომები ემთხვევა ივნისის ხოჭოში რეგისტრირებულ ამავე სახეობის ნემატოდის განაზომებს. ნემატოდა ნაპოვნი იყო აგრეთვე ბანჯგვლიან ბრინჯაულაშიც (*Epicometus hirta*). ნემატოდებზე გამოკვლეულია ბანჯგვლიანი ბრინჯაულას იმაგოს 25 და მატლის 65 ეგზემპლარი. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობა 68,88%-ია, ინტენსივობა 3-7 ეგზემპლარი.

ქვემოთ მოცემულია *Cephalobellus leuckarti*-ს აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.



სურ. 16.

Cephalobellus leuckarti (Hammerschmidt, 1838).

ა – მდედრი; ბ – მდედრის სასქესო ნისტება
(Baylis, 1946 მიხედვით).

ნემატოდის მდედრის სხეული ცილინდრული ფორმისაა, რომლის სიგრძე $0,412\text{--}0,420$ მმ-ს აღწევს, სიგანე $0,18\text{--}0,24$ მმ-ს. საყლაპავი კორპუსის წინა ნაწილი თითქმის ცილინდრულია და ოდნავ ფართოვდება უკანა მიმართულებით. ბულბუსი მარტივი აგებულებისაა. ნაწლავი წინა ნაწილში კოლბისებურად არის გაფართოებული და შედარებით ფართოა ნაწლავის უკანა ნაწილში. ვულვა სხეულის შეა ნა-

წილთან ახლოს მდებარეობს. სასქესო სისტემა წყვილია. გულვის ორიგე მხარეს მოთავსებულია მოყვითალო წარმონაქმნები, შესაძლებელია, ეს ვაგინალური ჯირკვლები იყოს.


მდედრები:

$$\begin{array}{ll} L=0,412-0,420 \text{ მმ; } & a=17,5-22,88; \\ d=0,18-0,24 \text{ მმ; } & b=14,48-14,72; \\ os=28-29 \text{ გვ; } & c=13,13-15,84; \\ cd=26-32 \text{ გვ; } & V=40-42\%. \end{array}$$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო-თბილისი-გაკის პარკი, ბორჯომის რ-ნი, დასავლეთი საქართველო – გალის რ-ნი (ბალის ნარგავების ფესვთა სისტემა, სიმინდის ნათესები, ფოთლოვანი ტყე-ხე-მცენარეების ფესვთა სისტემა).

12. *Cephalobellus papiliger* (Cobb, 1920) (სურ.17)

ნემატოდები ლოკალიზდებიან ხოჭო-მარტორქის (*Ogystes nasicornis*) მატლის შეა ნაწლავში. გამოკვლეული იყო იმაგოს 15, მატლის 52 ეგზემპლარი. ამ სახეობის ნემატოდით გამოკვლეული მატლების ინვაზირების ექსტენსივობა 62,68%-ია, ინტენსივობა 5-9. ნემატოდა ხოჭოში გვხვდება მაისის თვიდან გვიან შემოდგომამდე. მოპოვებულ იქნა გორი-სა და ზუგდიდის რ-ნებში.



სურ. 17.

Cephalobellus papiliger (Cobb, 1920).

- ა – მდედრის წინა ნაწილი; δ – მდედრის კუდი;
- β – ექსკრეტორული ზვრელის მიღამო; ι – კულგის მიღამო;
- ρ – მამრის კუდის დაბოლოება ვენტრალურად და ლატერალურად (Christie, 1931 მიხედვით).

ქვემოთ მოცემულია *Cephalobellus papiliger*-ის აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეული თოთქმის ცილინდრულია, რომლის სიგრძე $0,432\text{--}0,438$ მმ-ია. სამკუთხა პირი, მოთავ-სებულია აპიკალურად, ტუჩები არა აქვს, ჩვეულებრივ სხეულის წინა მხარეზე, თავის ნაწილის ბოლოს მათ გააჩნიათ ამფიდები. ფარინქსი შეიარაღებულია კბილებით. საყლაპავი ფარინქსთან შეერთების ადგილას უმნიშვნელოდ გაფართოებულია. ბულბუსი მსხლისებრი ფორმისაა. მისი ფორმა ცვა-

ლებადია; ზოგიერთ ეგზემპლარებს იგი უფართოვდებათ თანდათან. ექსკრეტორული სისტემა S-ებრი ფორმისაა. ვულვა მოთავსებულია სხეულის შუა ნაწილში. ვაგინის სიგრძე სხეულის სიგანეზე მეტია, და უერთდება საშვილოსნოს.

მამრი: სხეულის სიგრძე 0,468-0,472 მმ, სიგანე კი 0,24-0,26 მმ-ია. კუტიკულა საკმაოდ არის გამოკვეთილი. თავის ნაწილი ფართოა. ფარინქსი საკმაოდ მოკლეა, სუსტად შესამჩნევი. საყლაპავი და მისი კორპუსის წინა ნაწილი თითქმის ცილინდრულია. ბულბუსის წინ საყლაპავი ოდნავ ვიწროვდება. სპიკულას სიგრძე 0,043 მმ-ია, პროქსიმალურად არ არის გაფართოებული.

მდედრები:

$$L=0,432-0,438 \text{ მმ};$$

$$d=0,22-0,24 \text{ მმ};$$

$$os=48-52 \text{ მკმ};$$

$$cd=22-30 \text{ მკმ};$$

$$a=18,25-19,63;$$

$$b=8,42-9;$$

$$c=14,6-19,63;$$

$$V=52-54\%.$$

მამრები:

$$L=0,468-0,472 \text{ მმ};$$

$$d=0,24-0,26 \text{ მმ};$$

$$os=32-40 \text{ მკმ};$$

$$cd=24-32 \text{ მკმ};$$

$$Sp=0,043 \text{ მკმ};$$

$$gub=0,015 \text{ მკმ};$$

$$a=18,15-19,5;$$


$$b=11,8-14,62;$$

$$c=19,5-14,75.$$

მოპოვების ადვილი: აღმოსავლეთი საქართველო – გორისა და ბორჯომის რ-ნები, ახალდაბა, დასავლეთი საქართველო – ზუგდიდის რ-ნი (ნახერხი, დამპალი კუნძი).

13. *Cephalobellus brevicaudatum* (Leidy, 1851) (სურ. 18)

ნემატოდის სახეობა მოპოვებულია აპრილის ზოჭოში (Rhisotrogus aequinoctialis). გამოკვლეული იყო იმაგოს 18, მატლის 65 ეგზემპლარი. ნემატოდა რეგისტრირებულია მატლის შუა ნაწლავში. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობა 73,49%-ია, ინტენსივობა 2-11 ეგზემპლარი.



სურ. 18.

Cephalobellus brevicaudatum Leidy, 1851.

- α – მდედრის ზოგადი სახე; δ – კუდის ნაწილი;
- ζ – მდედრის წინა ნაწილი; γ – თავის აპიკალური ნაწილი;
- ε – კვერცხი; θ – მამრის კუდის ბოლო ნაწილი
ვენტრალურად; ζ – მამრის კუდის ბოლო ნაწილი
ლატერალურად (Bazir, 1940, Baylis, 1946 მიხედვით).

ქვემოთ მოცემულია *Cephalobellus brevicaudatum*-ის აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეულის სიგრძე 0,632-0,640 მმ-ია, სიგანე 0,19-0,25 მმ აღწევს. საყლაპავის საერთო სიგრძე 54-62 მკმ-ია. სტომას სიგრძე 0,005 მმ-ია. ბულბუსის დიამეტრი 0,086 მმ. ნერვული რგოლი 0,242 მმ მანძილზე მდებარეობს. ექსკრეტორული ხვრელი თავის ნაწილიდან 0,615 მმ მანძილზეა განლაგებული. ისინი კვერცხ-მდებლები არიან, გააჩნიათ დიდელფური სასქესო აპარატი. ვულვა სხეულის შუა ნაწილიდან რამდენადმე წინაა მოთავსებული.

მამრის საერთო სიგრძე 0,588-0,592 მმ-ია, სიგანე 0,17-0,22 მმ აღწევს. საყლაპავის სიგრძე 48-50 მკმ-ია. ბულბუსის დიამეტრი 0,047 მმ-ია. კუდის ბოლო ნაწილი მოღუნულია. 0,060 მმ მანძილზე კუდის წვეროსაგან დაშორებით ანუსია მოთავსებული. სპიკულა გააჩნია ერთი. ანალური ხვრელი შემოსაზღვრულია. გააჩნია პაპილები.

მდედრები:

$L=0,632-0,640$ მმ;
 $d=0,19-0,25$ მმ;
 $os=54-62$ მკმ;
 $cd=27-34$ მკმ;
 $a=25,6-33,26$;
 $b=10,32-11,70$;
 $c=18,83-23,40$;
 $V=58-60\%$.


მამრები:

$L=0,588-0,592$ მმ;
 $d=0,17-0,22$ მმ;
 $os=48-50$ მკმ;
 $cd=25-27$ მკმ;
 $Sp = 0,05$ მკმ;
 $gub = 0,012$ მკმ;
 $a=26,90-34,58$;
 $b=11,84-12,25$;
 $c=21,92-23,52$.

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ვერეს ხეობა, ვაკის პარკი (თბილისი), დასავლეთი საქართველო – ზუგდიდის რ-ნი (ტყისპირა ადგილები, ფიჭვნარი, ბუჩქნარი, სიმინდის ნათესები, ჩაის პლანტაციები, ხეხილოვან მცენარეთა ფესვები).

14. *Cephalobellus sandneri* (Kakulia et Javakhia, 1978), (სურ.19)

ნემატოდის სახეობა პირველად მოპოვებული და აღწერილია გ. კაკულიასა და ი. ჯავახიას მიერ 1978 წელს. იგი რეგისტრირებულია აგრეთვე აპრილის ხოჭოში (*Rhistrogus aequinoctialis*) აღმოსავლეთ საქართველოში: ბორჯომისა და გორის რაიონებში. გაკვეთილ იქნა იმაგოს 20 და მატლის 82 ეგზემპლარი, აღინიშნება როგორც მამრი ასევე მდედრი ეგზემპლარები. ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 70,58%, ინტენსივობა 3-7 ეგზემპლარს შეადგენს.



სურ. 19.

Cephalobellus sandneri Kakulia et Javakhia 1978.

- ♂ – მდედრის თავის ნაწილი; ♂ – კვერცხი; ♀ – მდედრის კუდი;
- ♀ – მამრის კუდი (კაკულია, ჯავახიას, 1978 მიხედვით).

ქვემოთ წარმოდგენილია *Cephalobellus sanderi*-ის აღ-
წერა და განახომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეულის სიგრძე $0,700-0,732$
მმ-ია. კუტიკულის რგოლოვანი სტრუქტურა კუდის ბოლოში

სუსტად არის გამოხატული. ტუჩები თითქმის შეუმჩნეველია და შემოსაზღვრულია 8 სუსტად გამოხატული წარმონაქმნით. ამფილები ოვალური ფორმისაა. ბულბუსი – მსხლისებრია და მისი სიგრძე 2-ჯერ მეტია სიგანეზე და თითქმის შუა ნაწლავის ცენტრშია მოთავსებული.

მამრი: სხეული ცილინდრული ფორმისაა, დაფარულია კუტიკულით. პირის ღრუ შედგება ორი სუსტად გამოხატული რგოლისაგან. საყლაპავის კედლები ერთნაირი სიგანისაა და იმ ადგილას, სადაც შეიმჩნევა სივიწროვე, უერთდებიან ისტმუსს. კუდი ძაფისებრია, მოხრილია დორსალურ მხარეზე. ტერმინუსი შესამჩნევად გამოყოფილია სხეულისაგან. ანალური ხვრელის ტუჩები ამობურცულია.

მდედრები:

$$L=0,700-0,732 \text{ მმ};$$

$$d=0,48-0,52 \text{ მმ};$$

$$os=38-44 \text{ მკმ};$$

$$cd=60-62 \text{ მკმ};$$

$$a=14,07-14,58;$$

$$b=16,63-18,42;$$

$$c=11,66-11,80;$$

$$V=54-56\%.$$

მამრები:

$$L=0,664-0,668 \text{ მმ};$$

$$d=0,38-0,40 \text{ მმ};$$

$$os=32-36 \text{ მკმ};$$

$$cd=45-47 \text{ მკმ};$$

$$Sp = 0,032 \text{ მკმ};$$

$$gub = 0,018 \text{ მკმ};$$

$$a=16,7-17,47;$$


$$b=18,55-20,75;$$

$$c=14,21-14,75.$$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო: ბორჯომისა და გორის რ-ნები (მდინარისპირა ადგილები).

15. *Cephalobellus tipulae* (Linstovi, 1964), (სურ.20)

ნემატოდის სახეობა უნგრული ბრინჯაულას (*Netocia hungarica*)-ს უკანა ნაწლავშია რეგისტრირებული. ნემატოდაზე გამოკვლეულია უნგრული ბრინჯაულას იმაგოს 15 და მატლის 65 ეგზემპლარი, მამრი უცნობია. ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 65%-ია, ინტენსივობა 1-11 – ეგზემპლარი. *Cephalobellus tipulae* მოპოვებული იყო აგრეთვე მესაფლავე ბრინჯაულას (*Netocia funebris*) უკანა ნაწლავში. ამ ნემატოდაზე გამოკვლეულია მესაფლავე ბრინჯაულას იმაგოს 10 და მატლის 50 ეგზემპლარი. ამ სახეობის ნემატოდით ხოჭოს 66,66%-ია ინვაზირებული. მოპოვებული იყო მარტო მდედრები. ინტენსივობა 1-2 ეგზემპლარია. ამ ნემატოდის განაზომები ემთხვევა უნგრულ ბრინჯაულაში რეგისტრირებულ ამავე სახეობის ნემატოდის განაზომებს.



სურ. 20.

Cephalobellus tipulae (Linstov, 1964).

- ♂ – მდედრის თავის ნაწილი;
- ♂ – მდედრის კუდი (Jarry, 1964 მიხედვით).

ქვემოთ მოცემულია *Cephalobellus tipulae*-ს აღწერა
და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეულის მაქსიმალური სიგრძე 0,780-0,784 მმ-ია. საყლაპავის კორპუსი გრძელია და სხეულის საერთო სიგრძის 20-27%-ს შეადგენს. მანძილი სხეულის წინა ნაწილიდან ვულვამდე 62-64%-ია. კუდი შედარებით გრძელი (40-44 მგ).

მდედრები:

$$\begin{array}{ll} L=0,780-0,784 \text{ მმ}; & a=23,05-24,37; \\ d=0,32-0,34 \text{ მმ}; & b=10,59-12,18; \\ os=64-74 \text{ გრ}; & c=17,8-19,5; \\ cd=40-44 \text{ გრ}; & V=62-64\%. \end{array}$$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ბაბანეუ-
რის ნაკრძალი (ახმეტის რ-ნი), მესხეთ-ჯავახეთი
(ახალციხის რ-ნი) ტყის ყომრალი ნიადაგები, წიფლ-
ნარი ტყის ხე-ძცენარეების ფესვთა სისტემა.

16. *Cephalobellus* sp¹.

ნემატოდის სქესმწიფე ფორმები (მამრები) 1996 წ.
მარმარა ხოჭოს (*Polyphyla oliveri*) შეა ნაწილავში იყო ნა-
პოვნი. ნემატოდის შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი მიე-
კუთვნებიან *Cephalobellus*-ის გვარის წარმომადგენლებს. აღ-
ნიშნული ნემატოდის სახეობამდე გარკვევა არ მოხერხდა,
ვინაიდან მდედრები არ იყო რეგისტრირებული, გაკვეთილ
იქნა იმავეს 6 და მატლის 16 ეგზემპლარი. ინვაზირების
ექსტენსივობა 4,54%, ინტენსივობა 0-5 ეგზემპლარს შეად-
გენს.

Cephalobellus sp¹-ს განაზომები ჩვენი მასალის მიხედ-
ვით.

მამრები:

| | |
|-------------------|-------------------|
| L=0,384-0,412 მმ; | Sp = 0,028 გვმ; |
| d=0,28-0,32 მმ; | gub = 0, 015 გვმ; |
| os=46-48 გვმ; | a=12,87-13,71; |
| cd=41-45 გვმ; | b=8,35-8,58; |
| | c=9,15-9,36. |

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ხაშურის რ-ნი, თბილისი (ვერეს ხეობა), დასავლეთი საქართველო – ზუგდიდის რ-ნი, ქ. ფოთი (ტყისპირა ადგილები, ფიჭვნარი, ბუჩქნარი, ნუში, ჩაის პლანტაციები).

17. *Cephalobellus* sp².

ნემატოდა აპრილის ზოჭოს (*Rhisotrogus aequinoctialis*) უკანა ნაწლავში იქნა ნაპოვნი, რომელთა მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი მიეკუთვნებიან *Cephalobellus*-ის გვარის წარმომადგენლებს. რეგისტრირებული იყო მხოლოდ მდედრების ცალკეული ეგზემპლარები. ნემატოდის სახეობამდე გარკვევა არ მოხერხდა მასალის სიმცირის გამო, მამრები უცნობია. გამოკვლეული იყო იმავეს 8 და მატლის 16 ეგზემპლარი ინვაზირების ექსტენსივობა 4,16%-ია, ინტენსივობა 0-6 ეგზემპლარი.

მოცემულია *Cephalobellus* sp². განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:

| | |
|---------------------|-----------------|
| $L=0,420-0,424$ მმ; | $a=16,30-17,5;$ |
| $d=0,24-0,26$ მმ; | $b=9,22-9,77;$ |
| $os=43-46$ გვ; | $c=9,6-10;$ |
| $cd=42-44$ გვ; | $V=44-45\%.$ |

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – თბილისი (ვაკის პარკი), დასავლეთი საქართველო – ზუგდიდისა და გალის რ-ნები (ბალახოვან მცენარეთა რიზოსფერო, სიმინდის ნათესები).

18. *Cephalobellus* sp³.

ნემატოდა მოპოვებულ იქნა მწვანე ბრინჯაულაში (*Cetonia aurata*). შუა ნაწლავში რეგისტრირებული იყო ნემატოდის როგორც სქესმწიფე მდედრები, ასევე ლარვები. ამ ნემატოდების ინდივიდების რაოდენობა მცირეა. მისი სახეობამდე გარკვევა ჯერჯერობით არ მოხერხდა მასალის სიმცირის გამო. ნემატოდების განაზომები არ ემთხვევა აპრილის ხოჭოში რეგისტრირებულ ამავე გვარის ნემატოდის განაზომებს. გაკვეთილ იქნა იმაგოს 5 და მატლის 11 ეგზემპლარი. ინვაზირების ექსტენსივობა 6,25%-ია, ინტენსივობა 0-7 ეგზემპლარი.

მოცემულია *Cephalobellus* sp³. განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:

| | |
|-------------------|-----------------|
| L=0,422-0,425 მმ; | a=-16,35-19,18; |
| d=0,22-0,26 მმ; | b=9,44-10,05; |
| os=42-45 გრ; | c=9,88-10,53; |
| cd=40-43 გრ; | V=38- 44%. |

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ხაშურისა და გორის რ-ნები, დასავლეთი საქართველო, ქ. ფოთი (მოჭრილი ხის კუნძი, დამპალ მცენარეთა ნარჩენები).

გვარი – Thelastoma

19. *Thelastoma macraamphidum* (Cristie, 1931) (სურ.21)


ნემატოდა ხოჭო-მარტორქის (*Oryctes nasicornis*) უკანა ნაწლავში პარაზიტობს. ნემატოდაზე გამოკვლეულ იქნა იმავეს 16 და მატლის 155 ეგზემპლარი. ხოჭოების ინვაზირების ექსტენსივობა 60,82%-ია, ინტენსივობა 6-10 ეგზემპლარი.

ქვემოთ მოცემულია *Thelastoma macraamphidum*-ის აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეული არის თანაბრად მკვრივი, რომლის საერთო სიგრძე 0,268-0,320 მმ-ია. პირის ხვრელი თითქმის სამკუთხაა და შემოფარგლულია 3 მკვეთრად გამოხატული ტუჩებით. ამფიდები დიდია, შესამჩნევი. ფარინქსი

მიახლოებით 0,014-0,016 მმ-ია. საყლაპავის წინა ნაწილი თითქმის ერთნაირი დიამეტრისაა და თანდათანობით უკანა მიმართულებით იზრდება. ნაწლავი რამდენადმე გაფართოებულია სხეულის წინა ნაწილში, სადაც წარმოქმნის ბულბუსს, რომელიც ოდნავ ფართოვდება უკანა ნაწილში, ანუსი ტუჩებით არ არის შემოფარგლული. კუდი საკმაოდ მკვეთრად ვიწროვდება ანუსის უკან, ექსკრეტორული ხვრელი მდებარეობს ბულბუსის დონეზე. ექსკრეტორული სისტემის სადინარები პატარებია, ნერვული რგოლი რამდენადმე წინ არის განლაგებული საყლაპავის შუა ნაწილიდან. ვულვა მოთავსებულია სხეულის შუა ნაწილიდან საკმაოდ მოშორებით. ვაგინა ორ ნაწილად იყოფა. შეერთებულია საშვილოსნოსთან და მასიურად კუნთოვანია.

მამრი: სხეული მკვრივია, რომლის სიგრძე 0,274-0,322 მმ-ია. პირის ხვრელი სამკუთხედის ფორმისაა გამოკვეთილი ტუჩების გარეშე. ამფიდები დიდია და შესამჩნევი. ფარინგის კედელი არ არის კუტიკულიზირებული. საყლაპავის წინა ნაწილი ოდნავ გაფართოებულია შუაში. ექსკრეტორული ხვრელი მოთავსებულია ბულბუსის რამდენადმე უკან. ნაწლავი გაფართოებულია წინიდან და წარმოქმნის ბულბუსს. კუდის სიგრძე ცვალებადია, ერთნაირი განზომილების მქონე ეგზემპლარებშიაც შესამჩნევად ვარირებს. სპიკულების სიგრძე მერყეობს 0,040-0,055 მმ-მდე. სპიკულა ოდნავ გაფართოებულია პროქსიმალურ ბოლოში.



სურ. 21.

Thelastoma macraamphidum Christie, 1931.

- ა – მამრის სხეულის წინა ნაწილი; ბ – მამრის თავის ნაწილი;
- გ, დ – მამრის სხეულის უკანა ნაწილი ლატერალურად და
ვენტრალურად; ე – მდედრის სხეულის წინა ნაწილი;
- ვ – მდედრის თავის ნაწილი; ზ – თავის ნაწილი აპიკალურად;
- თ – კულგა (Christie, 1931 მიხედვით).

მდედრები:

L=0,268-0,320 მმ;
d=0,33-0,38 მმ;
os=54-56 გრ;
cd=34-38 გრ;
a=8,12-8,42;
b=4,96-5,71;
c=7,88-8,42;
V=46-52%.


მამრები:

L=0,274-0,322 მმ;
d =0,27-0,32 მმ;
os=48-50 გრ;
cd=28-32 გრ;
Sp = 0,040-0,055 გრ;
gub = 0,019 გრ;
a=10,06-10,15;
b=5,70-6,44;
c=9,78-10,06.

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ბორჯომის რ-ნი, დასავლეთი საქართველო, ზუგდიდის რ-ნი (დამ-პალი კუნძი, ნახერხი, ნაგავი).

20. *Thelastoma cuspidatum* (Rudolphi, 1814) (სურ.22)

ნემატოდის მდედრი ეგზემპლარი, ხოჭო-მარტორქის (*Oryctes nasicornis*) შუა ნაწლავში იყო ნაპოვნი. მამრი უცნობია. ნემატოდის მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი *Thelastoma*-ს გვარს ეკუთვნიან. ნემატოდაზე გამოკვლეულია 28 იმაგო და 65 მატლი. მასალაში ამ სახეობის ნემატოდით ხოჭო-მარტორქის ინვაზირების ექსტენსივობა 56,9 8%-ია ინტენსივობა 1-15 ეგზემპლარია. სახეობის იდენტიფიკაცია ძირითადად განაზომებით მოვახდინეთ.



სურ. 22.

Thelastoma cuspidatum (Rudolphi, 1814).

ა – მდედრი; ბ – მდედრის კუდი; გ, დ – თავის ნაწილი;
ე-ექსკრეტორული ხერცლის მიღამო; ვ – სქესმწიფე მდედრი;
ზ – კვერცხი (Theodorides, 1955 მიხედვით).

ნემატოდის მდედრის სხეულის სიგრძე $0,542-0,544$ მმ
აღწევს. სიგანე $0,38-0,40$ მმ-ია. პირველი კუტიკულარული
რგოლის სიგანე მიახლოებით $0,012$ მმ შეადგენს. გამო-
კვლეული ეგზემპლარებიდან კუდის სიგრძე $44-46$ მკმ-ს უდ-

რის. ამფიდები გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი. პირის ხვრელი სამკუთხაა, პირის ღრუ 0,014 მმ-ს შეადგენს. საყლაპავის საერთო სიგრძე 78-80 მმ-ს აღწევს. ნაწლავის წინა ნაწილი ძლიერ გაფართოებულია და მთელი სხეულის სიგანეს იკავებს. ანუსი შემოფარგლულია კარგად შესამჩნევი დვრილებით. ნერვული რეალი სხეულის წინა ნაწილიდან 0,163 მმ მანძილზეა მოთავსებული. ექსკრეტორული ხვრელი მკვეთრადაა გამოხატული. სასქესო სისტემა ამფიდელფურია. სუსტად გამოკვეთილი ვულვა სხეულის შუა ნაწილშია მოთავსებული.

მდედრები:

$$\begin{array}{ll} L=0,542-0,544 \text{ მმ; } & a=13,6-14,26; \\ d=0,38-0,40 \text{ მმ; } & b=6,8-6,95; \\ os=78-80 \text{ მგბ; } & c=11,83-12,32; \\ cd=44-46 \text{ მგბ; } & V=53-54\%. \end{array}$$


მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – თბილისი (ვაკის პარკი), ხაშურისა და გორის რ-ნები, დასავლეთი საქართველო – სენაკისა და მარტვილის რ-ნები (ბალახოვან მცენარეთა რიზოსფერო, დამპალი ხის ჯენბი).

21. *Thelastoma depresum* (Hammerschmidt, 1838) (სურ.23)

ნემატოდა ლოკალიზებულია მწვანე ბრინჯაულას (Cetonia aurata) ნაწლავში. ამ ნემატოდაზე გამოკვლეულია იმა-
გოს 13 და მატლის 35 ეგზემპლარი. ინვაზირების ექსტენსი-
ვობა 31,25%-ს უდრის. ინეტენსივობა 3-9 ეგზემპლარია. მო-
პოვებული იყო მარტო მდედრი ეგზემპლარები, მამრი უცნო-
ბია.

ქვემოთ მოცემულია *Thelastoma depresum*-ის აღწერა
და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეულის სიგრძე 0,354-0,358 მმ-
დე აღწევს, სიგანე კი 0,36-0,40 მმ უდრის. კუტიკულა
ანუსამდე არის გადაჭიმული. საყლაპავი კორპუსის სიგრძე
62-64 მგმ-ია. ბულბუსის დიამეტრი 0,086 მმ-ია. ვულვა
მოთავსებულია სხეულის წინა ნაწილიდან მომორებით 1,20
მმ-ით და 0,11 მმ-ით ანუსიდან. კუდის სიგრძე 45-48 მგმ-ია.



სურ. 23.

Thelastoma depresum (Hammerschmidt, 1838).
(Dollfus, 1964 მიხედვით).

ა – მდედრი

მდედრები:


| | |
|---------------------|----------------|
| $L=0,354-0,358$ მმ; | $a=8,95-9,83;$ |
| $d=0,36-0,40$ მმ; | $b=5,59-5,71;$ |
| $os=62-64$ გრ; | $c=7,45-7,86;$ |
| $cd=45-48$ გრ; | $V=50-51\%.$ |

მოპოვების აღგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ხაშურისა და გორის რ-ნები, დასავლეთი საქართველო – ქ. ფოთი (მოჭრილი ხის კუნძი, მცენარეთა ნარჩენები).

22. *Thelastoma leuckarti* (Hammerschmidt, 1838)

(სურ.24)

ნემატოდის მდედრი ეგზემპლარები იყო მარტო მოპოვებული. მამრი უცნობია. აღნიშნული ნემატოდა უნგრული ბრინჯაულას (*Netocia hungarica*) შეა ნაწილავში არის ლოკალიზებული. ნემატოდაზე გამოკვლეულია იმავეს 15 და მატლის 55 ეგზემპლარი. ამ სახეობის ნემატოდით ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 15,7%-ია, ინტენსივობა 1-9 ეგზემპლარი.



სურ. 24.

**Thelastoma leuckarti (Hammerschmidt, 1838,
Dollfus, 1964 მიხედვით).**

♀ – მდედრი; ♂ – მდედრის სასქესო ნისტება
(Basir, 1956 მიხედვით).

ქვემოთ მოცემულია *Thelastoma leuckarti*-ს აღწერა და
განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოლის მდედრი ცილინდრული ფორმისაა, რომლის სიგრძე $0,410-0,420$ მმ-ია, სიგანე $0,34-0,38$ მმ-ს აღწევს. საყლაპავის წინა ნაწილი თითქმის ცილინდრულია, ოდნავ ფართოვდება უკანა მიმართულებით და მკვეთრად ვიწროვდება საყელოსთან. ბულბუსი ბრტყელია, ნაწლავი წინა ნაწილში კოლბისებურადაა გაფართოებული. ვულვა სხეულის შუა ნაწილთან ახლოსაა მოთავსებული, სასქესო სისტემა წყვილია. ვულვის ორივე მხარეზე განლაგებულია რამდენიმე მოყვითალო წარმონაქმნი. ჩვენი ვარაუდით ეს ვაგინალური ჯირკვლებია.

მდედრები:

| | |
|---------------------|-------------------|
| $L=0,410-0,420$ მმ; | $a=11,05-12,06$; |
| $d=0,34-0,38$ მმ; | $b=7-7,06$; |
| $os=58-60$ გვ; | $c=9,76-9,77$; |
| $cd=42-43$ გვ; | $V=54-55\%$. |

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ბაბანეურის ნაკრძალი (ახმეტის რ-ნი), მესხეთ-ჯავახეთი (ახალციხის რ-ნი) ტყის ყომრალი და შავმიწა ნიადაგები, წიფლნარი.

23. *Thelastoma* sp¹.

ნემატოდის რამდენიმე სქესმწიფე ფორმა რეგისტრირებულია ივნისის ხოჭოს (*Amphimallon solstitialis*) მატლის გაკვეთისას. ამ ნემატოდის მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი მიეკუთვნებიან *Thelastoma*-ს გვარის წარმომადგენლებს. ნემატოდის სახეობამდე გარკვევა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ნემატოდების დიდი ნაწილი მაცერირებული აღმოჩნდა. გაკვეთილ იქნა იმაგოს 2 და მატლის 11 ეგზემპლარი. ინვაზირებული ხოჭოს ექსტენსივობა 7,69%-ია, ინტენსივობა 0-7 ეგზემპლარი.

ქვემოთ მოცემულია *Thelastoma* sp¹. განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:

L=0,264-0,304 მმ;
d=0,32-0,34 მმ;
os=60-62 მკმ;
cd=36-40 მკმ;
a=8,25-8,94;
b=4,4-4,90;
c=7,6-7,33;
V=56-58%.

მამრები:

L=0,234-0,244 მმ;
d=0,24-0,28 მმ;
os=54-60 მკმ;
cd=32-34 მკმ;
Sp = 0,029 მკმ;
gub = 0,018 მკმ;
a=8,72-9,75;
b=4,06-4,33;
c=7,17-7,31.

მოპოვების ადგილი: დასავლეთი საქართველო – ზუგდიდისა და სენაკის რ-ნები (ტყისპირა ადგილები, ლობიოსა და სიმინდის ნათესები).

24. *Thelastoma sp²*.

ნემატოდის სქესმწიფე ფორმები ხოჭო-მარტორქის (*Oryctes nasicornis*) მატლის გაკვეთისას რეგისტრირებულია შუა ნაწლავში. ამ ნემატოდის მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი მიეკუთვნებიან *Thelastoma*-ს გვარის წარმომადგენლებს. ნემატოდის სახეობამდე გარკვევისაგან თავი შევიკავეთ, რადგან გარკვეული განსხვავების გამო ვფიქ-რობთ, რომ იგი შეიძლება იყოს ახალი სახეობა. მისი აღწე-რისათვის გვესაჭიროება ამ გვარის შესახებ უახლესი მონა-ცემები, რომლებიც ჯერჯერობით ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. გაპეტილ იქნა იმავეს 6 და მატლის 13 ეგზე-პლარი. ინვაზირების ექსტენსივობა 5,26%-ია ინტენსივობა 0-6 ეგზემპლარი.

ქვემოთ მოცემულია *Thelastoma sp²*. განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:

$$\begin{aligned} L &= 0,448-0,484 \text{ მმ}; \\ d &= 0,37-0,43 \text{ მმ}; \\ os &= 24-28 \text{ მგბ}; \\ cd &= 35-40 \text{ მგბ}; \\ a &= 11,25-12,10; \end{aligned}$$

მამრები:

$$\begin{aligned} L &= 0,420-0,438 \text{ მმ}; \\ d &= 0,28-0,39 \text{ მმ}; \\ os &= 21-25 \text{ მგბ}; \\ cd &= 32-38 \text{ მგბ}; \\ Sp &= 0,032 \text{ მგბ}; \end{aligned}$$

| | |
|----------------|-------------------|
| b=17,28-18,66; | gub = 0, 022 გვმ; |
| c=12,1-12,8; | a=11,23-15; |
| V=43-44%. | b=17,32-20; |

c=11,53-13,13.


მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ბორჯომი-სა და ხაშურის რ-ნები, თბილისი (ვაკის პარკი), ტყის-პირა ადგილები, ნაკელი, ნახერხი.

გვარი *Severianoia*

25. *Severianoia gracilis* (Hammerschmidt, 1838), (სურ.25)

ნემატოდა მარმარა ხოჭოს (*Polyphyla Olivieri*)-ს შეანაწლავშია რეგისტრირებული. გამოკვლეულია მარმარა ხოჭოს 42 იმაგო და 74 მატლი. ამ ნემატოდით ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა უდრის 15,5%, ინტენსივობა 1-4 გზ-ზემპლარია.

ქვემოთ მოცემულია *Severianoia gracilis*-ის აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.



სურ. 25.

Severianoia gracilis (Hammerschmidt, 1838), (Dollfus 1952) მიხედვით
 α – მდედრის თავის ნაწილი; δ – მამრის თავის ნაწილი; γ – მდედრი

ნემატოლის მდედრის სხეული სუბცილინდრულია, რომლის სიგრძე $0,608$ მმ-ია, სიგანე $0,48-0,49$ მმ-ს აღწევს. რგოლოვანი სტრუქტურა კარგად აქვს გამოხატული, მაგრამ რგოლების სიმაღლეები განსხვავებულია. რგოლი, რომელიც წარმოქმნის თავს შესამჩნევად მაღალია, ვიდრე დანარჩენი რგოლები. მდედრს ტუჩები არა აქვს გამოხატული. სტომა მიახლოებით ერთნაირი სიგრძის და სიგანისაა. საყლაპავის კორპუსი სუბცილინდრულია, ოდნავ შევიწროებული წინა ნაწილში. ბულბუსი ფართოა და იკავებს სხეულის თითქმის ნახევარს. ნაწლავის დასაწყისი ძლიერ გაფართოებულია. საყლაპავის კორპუსი შემოსაზღვრულია ნერვული რგოლით. ექსკრეტორული ზერელი მოთავსებულია ბულბუსის უკან. სასქესო აპარატი ამფიდელფურია, კულვა არ არის გამოკვეთილი და მოთავსებულია სხეულის შუა ნაწილიდან რამდენადმე უკან.

მამრი: სხეულის სიგრძე $0,478-0,487$ მმ-ია, სიგანე $0,35-0,41$ მმ-ს აღწევს. საყლაპავის სიგრძე $29-35$ მგმ-ია. ბულბუსის სიგრძე $0,069$ მმ-ია. ნაწლავი მარტივი აგებულებისაა, კუდი შევიწროებულია, აქვს ერთი სპიკულა, რომლის სიგრძე $0,038$ მგმ-ია.

მდედრები:

$$\begin{aligned} L &= 0,594-0,608 \text{ მმ}; \\ d &= 0,48-0,49 \text{ მმ}; \\ os &= 37-39 \text{ მგმ}; \\ cd &= 43-46 \text{ მგმ}; \\ a &= 12,66-13,82; \\ b &= 16,05-15,59; \end{aligned}$$

მამრები:

$$\begin{aligned} L &= 0,478-0,487 \text{ მმ}; \\ d &= 0,35-0,41 \text{ მმ}; \\ os &= 29-35 \text{ მგმ}; \\ cd &= 37-39 \text{ მგმ}; \\ Sp &= 0,038 \text{ მგმ}; \\ gub &= 0,012 \text{ მგმ}; \end{aligned}$$

$$c=13,22-13,82;$$

$$V=54-55\%.$$

$$a=11,88-13,66;$$


$$b=13,92-16,48;$$

$$c=12,48-12,92$$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ხაშურის რ-ნი (სატყეო სანერგე), დასავლეთი საქართველო – წალენჯიხის რ-ნი (ჩაის პლანტაცია).

26. *Severianoia glomeridis* (Linstov, 1885), (სურ.26)

ნემატოდა მწვანე ბრინჯაულას (*Cetonia aurata*) ნაწილავშია ლოკალიზებული. ნემატოდებზე გამოკვლეულია იმაგოს 40 და მატლის 64 ეგზემპლარი. ამ ნემატოდით ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა შეადგენს 18,26%, ინტენსივობა 1-7 ეგზემპლარია. ნემატოდის ეს სახეობა ნაპოვნი იყო აგრეთვე მესაფლავე ბრინჯაულას (*Netocia funebris*) შეანაწლავში. ამ ნემატოდაზე გამოკვლეულია 22 იმაგო და მატლის 41 ეგზემპლარი. ამ სახეობის ნემატოდით ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 22,22%-ია, ინტენსივობა კი 1-3 ეგზემპლარი.



სურ. 26.

Severianoia glomeridis (Linstow, 1885).

ა – მდედრის წინა ნაწილი; δ – მამრი; γ – მამრის კუდის ნაწილი;
ζ – კვერცხი, (Basir 1956, მიზედვით).

მოცემულია *Severianoia glomeridis*-ის აღწერა და
განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის მდედრის სხეულის სიგრძე 0,385-0,398 მმ
აღწევს, სიგანე 0,34-0,38 მმ-ია. თავის რგოლი სხვა სახეობასთან შედარებით უფრო დიდი აქვს. საყლაპავის სიგრძე 28-38 მკმ-ია და შედგება ცილინდრული კორპუსისაგან და
უკანა ბულბუსისაგან სარქველებით, ნერვული რგოლი საყლაპავის შუა ნაწილიდან შედარებით წინ არის. ექსკრეტორული ხვრელი მდებარეობს საყლაპავის უკან. კუდი იჭვებს სხეულის 1/10 ნაწილს. ვულვა სხეულის შუა ნაწილიდან წინაა წამოწეული.

მამრი: სხეულის სიგრძე 0,322-0,340 მმ აღწევს, სიგანე 0,22-0,28 მმ-ია. პირის ხვრელი შემოსაზღვრულია.

საყლაპავის სიგრძე 24-29 მკმ-ია და სარქველით მთავრდება. ანუსი მოთავსებულია კუდის ნაწილიდან 0,074 მმ მანძილზე. კუდი იკავებს სხეულის 1/5 ნაწილს. ექსკრეტორული ზვრელი განლაგებულია საყლაპავის უკან. სპიკულა არის ერთი, რომლის სიგრძე 0,026 მკმ-ია.

მდედრები:

L=0,385-0,398 მმ;
d=0,34-0,38 მმ;
os=28-38 მკმ;
cd=33-40 მკმ;
a=10,47-11,32;
b=11,05-13,75;
c=9,95-11,66;
V=56-58%.

მამრები:


L=0,322-0,340 მმ;
d=0,22-0,28 მმ;
os=24-29 მკმ;
cd=31-35 მკმ;
Sp = 0,026 მკმ;
gub=0,015მკმ;
a=12,14-14,64;
b=11,73-13,42;
c=9,72-10,38.

მოპოვების აღგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ზაშურისა და ახმეტის რ-ნები (ბაბანეურის ნაკრძალი), დასავლეთი საქართველო-წალენჯიხის რ-ნი (დამპალი ზის კუნძი, ნეშომპალათი მდიდარი ნიადაგი).

- რიგი** — Mermithida
ოჯახი — Mermithidae
გვარი — Hexameris

27. *Hexamermis albicans* Siebold, 1848 (სურ. 27)

ნემატოდის ეს სახეობა რეგისტრირებული იყო მაისის ხოჭოში (*Melolontha pectoralis*). გაკვეთილ იქნა იმავეს 16 და მატლის 34 ეგზემპლარი. ამ ნემატოდით მაისის ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 28%-ს უდრის. ინტენსივობა 1-3 ეგზემპლარია.



სურ. 27.

***Hexamermis albicans* (Siebold, 1848).**
 ♂ — სტომა; ♀ — მდედრის სასქესო ორგანო
 (Артиховский, 1965) მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია *Hexameris albicans*-ის აღწერა ჩვენი მასალის მიხედვით.

ამ სახეობის ნემატოდებს თავის პაპილა აქვთ 6, გა-აჩნიათ კისრის პაპილები. პირის ნაწილი ჩამოყალიბებული აქვთ. საყლაპავი აღწევს თავის კუტიკულას. აქვთ სპიკულა. მოკლე სასქესო პაპილები ქმნიან უწესრიგო რიგებს. ვულვა სწორია, გაგინა მსხლისებრი ფორმის, ზოგჯერ მოღუნული, პროქსიმალური ბოლოთი. კუდი ბლაგვია, კვერცხები დიდი ზომისაა.

მდედრები:

$L=0,368-0,392 \text{ მმ;}$
 $d=0,37-0,43 \text{ მმ;}$
 $os=28-34 \text{ მკმ;}$
 $cd=36-40 \text{ მკმ;}$
 $a=9,12-9,95;$
 $b=11,53-13,14;$
 $c=9,8-10,22;$
 $V=38-40\%.$

მამრები:

$L=0,318-0,360 \text{ მმ;}$
 $d=0,29-0,34 \text{ მმ;}$
 $os=22-28 \text{ მკმ;}$
 $cd=33-36 \text{ მკმ;}$
 $Sp = 0,028 \text{ მკმ;}$
 $gub = 0,011 \text{ მკმ;}$
 $a=10,96-10,58;$
 $b=12,86-14,15;$
 $c=9,64-10,00.$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – ხაშურის და ბორჯომის რ-ნები (მოჭრილი ხის კუნძი, ბალა-ხოვან მცენარეთა რიზოსფერო).

28. *Hexamermis* sp.

ნემატოდის რამდენიმე მდედრი და ლარვები ივნისის ხოჭოს (*Amphimallon solstitialis*) გაკვეთისას ნაპოვნი იქნა შუა ნაწლავში. ამ ხოჭოს გაკვეთის შედეგად რეგისტრირებული იყო ნემატოდების მდედრი ეგზემპლარები, მამრი უცნობია. აღნიშნული ნემატოდის სახეობამდე დაყვანა ვერ მოხდა მასალის სიმცირის გამო. გაკვეთილ იქნა იმავეს 4 და მატლის 20 ეგზემპლარი. ინვაზირების ექსტენსივობა 4,16%-ია, ინტენსივობა 0-5 ეგზემპლარი.

მოცემულია *Hexamermis* sp. განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მდედრები:


| | |
|---------------------|-------------------|
| $L=0,424-0,458$ მმ; | $a=10,90-11,16$; |
| $d=0,38-0,42$ მმ; | $b=13,08-13,25$; |
| $os=32-35$ გვერდი; | $c=10,90-11,46$; |
| $cd=37-42$ გვერდი; | $V=54-55\%$. |

მოპოვების ადგილი: დასავლეთი საქართველო – წალენჯი-ხისა და ხობის რ-ნები (მდინარისპირა ადგილები, სიმინდის ნათესები).

გვარი – Mesomermis

29. *Mesomermis korsacovi Daday, 1911* (სურ.28)

ნემატოდის სახეობა რეგისტრირებული იყო აპრილის ხოჭოს (*Rhisotrogus aequinoctialis*) უკანა ნაწლავში. მოპოვებული იყო როგორც ძღვედრი, ასევე მამრი ეგზემპლარები. გაკვეთილ იქნა აპრილის ხოჭოს იმაგოს 20 და მატლის 64 ეგზემპლარი. ამ ნემატოდებით აპრილის ხოჭოს ინვაზირების ექსტენსივობა 26,19%-ს უდრის. ინტენსივობა 2-13 ეგზემპლარია.



სურ. 28.

Mesomermis korsacovi (Daday, 1911).

♂, ♀ – ძღვედრი, δ, ♀ – მამრი.

ქვემოთ მოცემულია *Mesomermis korsacovi*-ს აღწერა და განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

ნემატოდის აღნიშნული სახეობა დიდი ზომისაა. აქვს თავის 6 პაპილა. მდედრებს აქვთ საშუალო, ოვალური ამფი-დები, მამრების ამფიდები მომრგვალებულია, აქვთ 6 ქორდა. პირის ნაწილი ჩამოყალიბებულია. ვაგინა მოკლე, მსხლისე-ბრია, მომრგვალებული. ვაგინის შიგნითა და გარეთა განყო-ფილებები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სპი-კულა აქვთ 2, გრძელი, მოხრილი. კუდი თანაბრად წვეტიანი და ბოლოში მომრგვალებულია. ლარვები გრძელია ბასრი დაბოლოებით, ან შედარებით მოკლე წარმონაქმნით.

მდედრები:

$L=0,518-0,549$ მმ;
 $d=0,28-0,34$ მმ;
 $os=24-26$ მკბ;
 $cd=34-36$ მკბ;
 $a=16,15-18,5;$
 $b=21,12-21,58;$
 $c=15,24-15,25;$
 $V=47-49\%.$

მამრები:

$L=0,504-0,510$ მმ;
 $d=0,22-0,26$ მმ;
 $os=20-22$ მკბ;
 $cd=31-32$ მკბ;
 $Sp = 0,32$ მკბ;
 $gub = 0,018$ მკბ;
 $a=19,6-22,90;$
 $b=23,18-25,2;$
 $c=15,93-16,25.$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო – თბილისი გაკის პარკი, ეთნოგრაფიული მუზეუმი კუს ტბასთან, დასავლეთი საქართველო – გალის რ-ნი (ბალახოვან მცენარეთა რიზოსფერო, სიმინდის ნათესები, ჩაის პლანტაციები).

გვარი – *Scriabinomermis*

30. *Scriabinomermis* sp.

ნემატოდის სქესმწიფე ფორმები და ლარვები ხოჭო-მარტორქის (*Oryctes nasicornis*) მატლის გაკვეთისას შუა ნაწლავში იყო ნაპოვნი. ნემატოდების მიკროსკოპულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი მიეკუთვნებიან *Scriabinomermis*-ის გვარს. ნემატოდის სახეობამდე დაყვანა არ მოხერხდა იმის გამო, რომ მოპოვებულია მარტო მამრი ეგზემპლარები, ძღვედრი უცნობია. გაკვეთილ იქნა იმაგოს 4 და მატლის 16 ეგზემპლარი. ინგაზირების ექსტენსივობა 3,57%-ია, ინტენსივობა 0-7 ეგზემპლარი

ქვემოთ მოცემულია *Scriabinomermis* sp. განაზომები ჩვენი მასალის მიხედვით.

მამრები:

$$\begin{array}{ll} L=0,360-0,388 \text{ მმ; } & a=10,21-10,58; \\ d=0,34-0,38 \text{ მმ; } & b=11,41-12,86; \\ os=28-34 \text{ მმ; } & c=10,77-11,25. \\ cd=32-36 \text{ მმ; } & \\ Sp.=0, 034 \text{ მმ; } & \\ gub = 0, 018 \text{ მმ; } & \end{array}$$

მოპოვების ადგილი: აღმოსავლეთი საქართველო, ბორჯომისა და ხაშურის რ-ნები, დასავლეთი საქართველო, მარტ-ვილისა და წალენჯიხის რ-ნები (დამპალ მცენარეთა ნარჩენები, ნახერხი).

ამრიგად, მოპოვებული სატყეო-მურნეობისა და მცენარეების მავნებლების 9 სახეობის ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნის შესწავლისას რეგისტრირებულია ენტომონემატოდების 30 ფორმა. სახეობამდე გარკვეულია ნემატოდის 20 ფორმა, გვარამდე 10. რეგისტრირებული ნემატოდები გაერთიანებული არიან 3 რიგში (*Rhabditida*, *Oxyurida*, *Mermithida*), 5 ოჯახსა (*Rhabditidae*, *Steinernematiidae*, *Diplogasteridae*, *Thelastomatidae*, *Mermithidae*) და 10 გვარში (*Pelodera*, *Heterorhabditis*, *Steinernema*, *Mesodiplogaster*, *Cephalobellus*, *Thelastoma*, *Severianoia*, *Hexameris*, *Mesomermis*, *Scriabinomermis*), იხილეთ დანართი (ცხრ. 1).

საქართველოში პირველადაა რეგისტრირებული ნემატოდების 7 სახეობა: *Pelodera serrata*, *Cephalobellus Melolonthae*, *Cephalobellus brevicaudatum*, *Cephalobellus tipulae*, *Thelastoma cuspidatum*, *Thelastoma depresum*, *Mesomermis korsacovi*. აღწერილია აგრეთვე მეცნიერებისათვის ერთი ახალი სახეობა – *Heterorhabditis poinari*. რეგისტრირებული ნემატოდებიდან ენტომოპათოგენურია 2 სახეობა: *Steinernema carpocapsae* და *Heterorhabditis poinari*. დანარჩენები მიეკუთვნებიან საპრობიონტებს, პოლიფაგებს და კომენსალებს. იხილეთ დანართი (ცხრ. 1).

ულვაშფირფიტოვანი ხოჭოები თავისი ნემატოფაუნით განსხვავებულია სხვა ჯგუფების ხოჭოებისაგან, მაგალითად ქერქიჭამიების, ლაფანჭამიების, ზარაბუზების ნემატოფაუნისაგან, მაგრამ ახლოს დგანან ჰიდროფილური ხოჭოების ნემატოფაუნასთან. სახელდობრ, ორივე ჯგუფის ნემატოფაუნის ძირითად ბირთვს წარმოქნიან ოქსიურიდები. ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდების ტაქსონომიური ანალიზდან

ჩანს, რომ რეგისტრირებული ნემატოდებიდან, უმრავლესობა რიგი Oxyuirida-ს წარმომადგენელია. რეგისტრირებული სახ-ეობებიდან სამეურნეო მნიშვნელობა აქვს გვარების Steinernema და Heterorhabditis ნემატოდებს, რომლებიც მნიშვნე-ლოვანია ბიოპრეპარატის ნემატოდობაქტერიალური კომ-პლექსის შექმნისათვის. ეს უკანასკნელი კი დღეს უკვე შეიძლება ჩავთვალოთ სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მე-ურნეობების მავნე მწერების რიცხოვნობის დარეგულირების ეფექტურ საშუალებად.

ულვაშვილზიტოვანი ხოჭოების ნემატოდების პილეპოლოგიური დანასიათება

ულვაშვილზიტოვანი ხოჭოების ნემატოდების სახეობათივი შეღენილობა

გამოკვლევის შედეგად ულვაშვილზიტოვანი ხოჭოების ნემატოდების საკმაოდ მდიდარი ფაუნაა გამოვლენილი (30 ფორმა), რომლებიც მასპინძელთან ბიოლოგიურად არიან და-კავშირებულნი. ფორმები, რომლებიც ავლენენ მასპინძელთან ტროფიკულ კავშირს თავის ონტოგენეზში ადაპტირებულნი არიან მასპინძლის სასიცოცხლო ციკლთან. ეს მოვლენა მჭი-დროდაა დაკავშირებული ნემატოდების პარაზიტული ბუნების გამომუშავებასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნემატო-

დებისათვის მასპინძლის გენერაციის ხანგრძლივობა და მისი ადგილსამყოფელი სხვადასხვა სტადიის გავლის დროს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ნემატოდებმა ხოჭო-მასპინძელთან დაკავშირება გარეთა საფარველზე აღაპტაციით დაიწყეს, ხოლო ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე პარაზიტისა და მასპინძლის ურთიერთობა უფრო გართულდა და ნემატოდების გარკვეულმა ჯგუფმა ხოჭოს სხეულის ღრუშიც შეაღწია (Fuchs, 1937, 1938; Rühm, 1956). მწერების ნემატოდებმა განვლეს დიდი ევოლუციური გზა და აღაპტური რადიაციის შედეგად მასპინძლის სხვადასხვა ორგანოს – ცხიმოვან ქსოვილს, ნაწლავს, მალპილის მილაკებს დაუკავშირდნენ, ე.ი. სპეციფიკურნი გახდნენ გარკვეული ორგანოებისა და ორგანოთა სისტემებისათვის. პარაზიტის განაწილება სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში კი მიუთითებს ტროფიკული კავშირებისა და ლოკალიზაციის სპეციფიკურობაზე, მათი კავშირის ხასიათზე.

თავისუფლად მცხვრები ნემატოდებისა და მწერების დაკავშირება ერთმანეთთან უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად. ხოჭოების მატლები და იმაგო შესაძლებელია, დასაწყისში ნემატოდების მიერ გამოყენებული იყო მხოლოდ ფორეზიონათვის. მათი საფარველის საშუალებით ხდებოდა ნემატოდების ლარვების გავრცელება და მჭიდრო ბიოლოგიური კავშირი ამ შემთხვევაში არ არსებობდა. ნემატოდების მექანიკური კავშირი ხოჭოებთან შემთხვევითი იყო და მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. პარაზიტ-მასპინძლის ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესში შესაძლებელია, რომ ნემატოდებმა გაიარეს ყველა ის საფეხური, რომელიც დამა-ხასიათებელია სპეციფიკური პარაზიტების ჩამოყალიბებისათ-

ვის (შემთხვევითი კავშირები, კომენსალიზმი, ფაქულტატიური პარაზიტიზმი და ა.შ.). პარაზიტი-მასპინძლის ბიოლოგიური კავშირის ჩამოყალიბება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ტროფიკული კავშირების წარმოქმნის გზით.

ულვაშფირფიტოვანი სოჭოების ცენატოდების განსხვავება მასაინძლების მიხედვით

ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნის ტაქსონომიური ანალიზიდან ჩანს, რომ რეგისტრირებული ნემატოდებიდან ულვაშფირფიტოვნებში უმრავლესობა რიგი *Oxyurida*-ს წარმომადგენელია, ნაკლებადაა *Rhabditida*-ს წარმომადგენლები. *Mermithida*-ს რიგის წარმომადგენლები უმცირესობას წარმოადგენენ. პირველი რიგის წარმომადგენლები ყველა ენდოპარაზიტებს მიეკუთვნება და ისინი შეიძლება სპეციფიკურ პარაზიტებად ჩაითვალონ. რაც შეეხება ორ სხვა რიგს, აქ რაბდიტიდებში ვხვდებით როგორც სპეციფიკურ პარაზიტებს (ჩვენ შემთხვევაში *Heterorhabditis poinari*), ასევე საპრობიონტულ ფორმებს, რომლებიც ულვაშფირფიტოვნები-სათვის შემთხვევითი პარაზიტებია. მერმიტიდების წარმომადგენლები კი, როგორც გამოკვლევიდან ჩანს, არასპეციფიკურია და ონტოგენეზის ნაწილს ნიადაგში ან მტკნარ წყალში გადის, ანუ თავისუფალი ცხოვრების ნირზე გადადიან. იხილეთ დანართი, ცხრილი 2-დან ჩანს, რომ ხოჭოების შესწავლილ რიგებში ნემატოდების სახეობები არათანაბრადაა წარმოდგენილი ულვაშფირფიტოვანთა ფაუნაში და სახეობათა ნახევარზე მეტი ოქსიურიდებს მიეკუთვნებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ხოჭოების მრავალ ჯგუფში ძირითადი პარაზიტები არიან *Tylenchida*-ს რიგის წარმომადგენლები, რაც შესაძლებელია აიხსნას, ერთი მხრივ, თვით მასპინძლის განაწილებაზე ეკოსისტემაში, მეორე მხრივ, მასპინძლის ზომებითა და ბიოლოგიის თავისებურებებით. ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების ლარვული ფორმები ხანგრძლივი დროის მანძილზე ნიადაგში იმყოფებიან და მათი ინვაზია ხდება უშუალოდ ნიადაგიდან. ამავე დროს, ისინი გაცილებით უფრო დიდი მასით ხასიათდებიან ვიდრე, მაგალითად, ოჯახ *Iphidae*-ს ლარვული ფორმები (დევდარიანი, 1971).

ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების ნემატოდებს ხოჭომასპინძელთან დამოკიდებულების მიხედვით ჰყოფენ სამ ჯგუფად: სპეციფიკურ, არასპეციფიკურ და გარდამავალ ჯგუფებად. ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების ნემატოფაუნის შესწავლისას გარდამავალი ჯგუფის ნემატოდები არ შეგვხვედრია.

სპეციფიკური ნემატოდების ჯგუფში გაერთიანებულია ენდო- და ექტოპარაზიტები. ამ ჯგუფის ნემატოდებისათვის ხოჭო ობლიგატური მასპინძელია, ე.ი. ხოჭოს გარეშე ნემატოდების ონტოგენეზი არ მიმდინარეობს.

არასპეციფიკური ნემატოდების ჯგუფში გაერთიანებულია საპრობიოტული და თავისუფლად მცხოვრები ნემატოდები, ე.ი. ის ნემატოდები, რომლებიც მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს პარაზიტებად და ზოგჯერ ისინი ენტომობიონტები, ე.ი. მწერის სხეულზე ან სხეულში მობინადრე ნემატოდებია, მაგრამ მათი ტროფიკული კავშირები პარაზიტებისაგან განსხვავებულია: ისინი იკვებებიან ძირითადად ხოჭოს სხეულზე დასახლებული ბაქტერიებით, საკვების ნარჩენებით, შესაძლებელია კოპროფაგებსაც კი მიეკუთვნებოდნენ.

ეს ჯგუფი მეტად ჰეტეროგენურია და აქ შეიძლება აღმოჩნდეს მწერზე შემთხვევით მოხვედრილი ტიპური ფორმები.

მასპინძელთან ბიოლოგიური კავშირის მიხედვით ხოჭოების პარაზიტული ნემატოდები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: ობლიგატურ, ფაკულტატიურ პარაზიტებად და კომენსალებად, რომლებიც თავისუფლად მცხოვრები ნემატოდებია. ობლიგატურ პარაზიტებს კი მასპინძლის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ (გვარები: *Cephalobellus*, *Thelastoma*, *Severianoia*) ისინი თავისი განვითარების ხუთივე სტადიას მასპინძლის ნაწლავში გადიან. ინვაზია ხდება საკვების მიღების გზით (*Cephalobellus*, *Thelastoma*, *Severianoia*) ამ ნემატოდების წარმომადგენლები ხოჭოს ნაწლავის შიგთავსით იკვებებიან. ნემატოდების გამრავლება ხოჭოს შუა ან უკანა ნაწლავში მიმდინარეობს. განაყოფიერებული კვერცხი მწერის უკანა ნაწლავში ხვდება და გარეთ გამოიყოფა მწერის განავალთან ერთად. გამოყოფილი კვერცხები მწერის სხეულში საკვებთან ერთად ხვდება. ამ გზით ინვაზირდებიან ბოლო ასაკის და სქესმწიფე მწერები.

ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების ფაკულტატიური პარაზიტების წარმომადგენლები განვითარების ერთ ან ორ სტადიას ხოჭო-მასპინძელში გადიან, ხოლო სქესმწიფე ფორმები, ან განვითარების ბოლო სტადიის ლარვები გარემოში გამოდიან; ისინი აქ აღწევენ სქესმწიფე სტადიას, დებენ კვერცხს და ამთავრებენ სასიცოცხლო ციკლს, როგორც თავისუფლად მცხოვრები ფორმები, ე.ი. ამ შემთხვევაში პარაზიტი იცვლის გარემოს, ერთ ან ორ სტადიას მასპინძლის სხეულში და სქესმწიფე სტადიას კი გადიან, როგორც თავისუფლად მცხოვრები ფორმები. ულვაშვირფიტოვნებში არ არის რეგი-

სტრიორებული ფაკულტატიური ექტოპარაზიტები. ფაკულტატიური ენდოპარაზიტები ხოჭო-მასპინძლის ჰემოლიმფით და ცხიმოვანი ქსოვილით იკვებებიან (*Steinernematidae*, *Heterorhabditidae*, *Mermithidae*). მერმიტიდებით ძირითადად სქესმ-წიფე ხოჭოები ინვაზირდებიან. გვხვდება V ხნოვანების მატ-ლების ინვაზირების ერთეული შემთხვევები. მერმიტიდები მასპინძლის გარეთ – გარე გარემოში მრავლდებიან, ისინი კვერცხს ერთწლიან მცენარეთა ფოთლებზე დებენ, რითაც იკვებება ხოჭო, ამ გზით ხოჭო ინვაზირდება. სტეინერნემა-ტიდები და ჰეტერორაბდიტიდები ამ გზით იჭრებიან ოოვორც სქესმ-წიფე ფორმებში, ასევე მატლებში. სტეინერნემატიდების და ჰეტერორაბდიტისის წარმომადგენლები მწერში შეკრის შემდეგ მის სხეულში მრავლდებიან და II-III სტადიის ლარ-ვები საკვების განლევის შემდეგ ინვაზიური ხდება, ტოვებენ მწერის სხეულს და გარემოში ვრცელდებიან.

ცხოვრების ნირის მიხედვით კომენსალები თავისუფლად მცხოვრები ფორმები არიან; ფორეზიის (გავრცელების) მიზ-ნით იყენებენ მწერებს, მაგრდებიან ან გარეთა საფარველზე, ან სხეულის სეგმენტებს შორის და ხელსაყრელი პირობების დროს ტოვებენ მასპინძელს. ასეთებს მიეკუთვნებიან *Pelodera*, *Protorhabditis*-ის და სხვა გვარების წარმომადგენლები. კომენსალები პოლიფაგები არიან, იკვებებიან – ექსკრემენტე-ბით, ხრწნადი ორგანული ნარჩენებით და იქ არსებული მი-კროორგანიზმებით. მრავლდებიან და ვითარდებიან გარე გა-რემოში, არახელსაყრელი პირობების დროს კი ივითარებენ ცისტას.

გავაანალიზეთ ულვაშვირფიტოვანი ხოჭოების ნებატო-დების სახეობრივი შედგენილობა. იხილეთ დანართი (ცხრი-

ლი 3), მათი განსხვავება მასპინძლების მიხედვით, სპეციფიკურობა და ინგაზირების ხასიათი. გამოვთვალეთ ნემატოფაუნის მსგავსების კოეფიციენტი მასპინძლების მიხედვით იხილეთ დანართი (ცხრილი 4).

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, იხილეთ დანართი, რეგისტრირებულ ნემატოდებში შეუძლებელია გამოიყოს დომინანტური სახეობა, თუმცა ნემატოდების ცალკეულ სახეობათა სპეციფიკურობა მასპინძლის მიმართ საკმაოდ კარგადაა გამოხატული. მაგალითად, *Steinernema georgica* აღრიცხულია მხოლოდ ერთი სახეობის მასპინძელში (*Amphimallon solstitialis*). ასეთივე სპეციფიკურობით გამოირჩევიან *Cephalobellus melolonthae*, *Cephalobellus leuckarti*, *Cephalobellus* sp², *Thelastoma depresum* და სხვა. აღრიცხული ნემატოდების უმრავლესობა 1 ან 2 მასპინძელშია მოპოვებული, მაგრამ მსჯელობა მათ სპეციფიკურობაზე გაძნელებულია იმის გამო, რომ ზოგიერთი ფორმა არ არის გარკვეული სახეობამდე.

აღმოსავლეთ საქართველოში შეგვხვდა ნემატოდების რვა ფორმა, დასავლეთ საქართველოში ერთი. აღსანიშნავია, რომ 9 სახეობის ულვაშფირფიტოვან ხოჭოდან სამი სახეობისთვისაა აღნიშნული პარაზიტული ნემატოდების ექვს-ექვსი ფორმა, დანარჩენებისათვის – ნაკლები. მასალიდან ჩანს, რომ რეგისტრირებული ნემატოდების 30 ფორმიდან აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება 29 ფორმა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 20. ნემატოდების 30 ფორმიდან საერთოა 19 ფორმა, მსგავსების კოეფიციენტი უაკარის (Чернов, 1975) მიხედვით უდრის 0,63. მსგავსების ეს დონე საკმაოდ მაღალია და განპირობებულია იმით, რომ მასალა აღებულია ულვაშფირფიტოვანი ხოჭოების ერთი და იგივე სახეობებიდან

(აღმოსავლეთ საქართველოში ერთი მასპინძლით მეტია). ამ საკითხს პირველად ფურადლება ფუქსმა (Fuchs, 1937, 1938), მიაქცია. ამ ავტორის მიერ დასაბუთებულია ის საყურადღებო ფაქტი, რომ მონათესავე ხოჭოებს მსგავსი ნემატოფაუნა აქვთ.

ფუქსის (1937) აზრით, მსგავსი პარაზიტოფაუნა მონა-
თესავე მასპინძლებზე ისტორიულად ჩამოყალიბებული პრო-
ცესია, მაგრამ არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. ევოლუ-
ციურად ეს დაკავშირებული უნდა იყოს მასპინძლის ადაპ-
ტური რადიაციის პროცესთან, რასაც ახლავს ანალოგიური
პროცესი მათ პარაზიტებშიც.


ულვაჟზირზიტოვანი ზოგონების ემატოდების მსგავსების პოეზიონიერის განსაზღვრა მასპინძლების მიხედვით

მნიშვნელოვანი იყო ნემატოდების სპეციფიკურობის
დადგენა მასპინძლების მიმართ, რისთვისაც უაკარის ფორმუ-
ლის გამოყენებით (Чернов, 1975) წყვილ-წყვილად შედარე-
ბული იყო 6 სახეობის ხოჭოების ნემატოფაუნა და დადგე-
ნილ იქნა მსგავსების კოეფიციენტები იხილეთ დანართი,
(ცხრილი 4), როგორც ცხრილიდან ჩანს, მსგავსების კოე-
ფიციენტი მაისისა და ივნისის ხოჭოებში აღწევს აბსოლუ-
ტურ მაქსიმუმს და უდრის 1,0-ს. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ
ორი სახეობის ხოჭოს ნემატოდების შედგენილობა იდენტუ-
რია. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ეს ორი სახეობა ძალიან ახ-
ლოა თავისი ეკოლოგიური მახასიათებლებით და ბიოლო-

გით. რაც შეეხება მორფოლოგიას, მათი მსგავსება ადრე იყო აღნიშნული ლიტერატურაში. დანარჩენი ხოჭოების წყვილ-წყვილად შედარების დროს მსგავსების კოეფიციენტი ძალიან დაბალია და აღწევს ხოჭო-მარტორქისა და მაისის ხოჭოს წყვილში 0,33-ს. შეიმჩნევა განსხვავება ერთ აჯახში შემავალ სახეობათა ნემატოფაუნას შორის. მაგალითად, მარმარა ხოჭო კარგად გამოხატული ქსეროფილია და ზასიათ-დება სამწლიანი გენერაციით, ხოლო ივნისის ხოჭო 2-წლიანით. განსხვავება შეიმჩნევა აგრეთვე იმაში, რომ მარმარა ხოჭო უპირატესად ბინადრობს აუთვისებელ მიწებზე. ამ ორი სახეობის ნემატოფაუნის მსგავსების კოეფიციენტი მასალის მიხედვით უდრის 0,12-ს.

ქ. თბილისში, მდინარე ვერას ხეობაზე ხოჭოების ემატოდებით დანეგაზირების დინამიკა 1995-1996 წლ.

1995/96 წლებში შესწავლილ იქნა ნიადაგის უხერ-ხემლოები მდ. ვერეს ხეობაში ადრე დეგრადირებული ეკო-სისტემის ნაკვეთებზე, რომლებზეც ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები.



სურ. 29.

მდინარე ვერეს ხეობა. ნუშნარი. ზამთარი.

Fig. 28. Riv . Vere gorge. Amygdalus forest, winter.



სურ. 30.

მდინარე ვერეს ხეობა. ბუჩქნარი

Fig. 29. Riv. Vere Gorge. Shrubs

ერთ ნაკვეთზე გადმორგული იყო ელდარის ფიჭვი, ხოლო მეორეზე – ნუში. ამას დაემატა ნაკვეთი, რომელზეც აღდგენითი სამუშაოები არ იყო ჩატარებული. მასალის აღება მოხდა 12 თვის განმავლობაში (ცხრილი 5). ამ ნაკვეთებზე სხვა უხერხემლოებთან ერთად შეგროვილი იყო ულვაშ-ფირფიტოვანი ხოჭოების მატლები და ზრდასრული ფორმები. ვერეს ხეობაში აღმოჩნდა ამ ხოჭოების სულ 2 სახეობა (*Melolontha pectoralis* და *Amphimallon solstitialis*). *Amphimallon solstitialis*-თვის ცნობილია 5 სახეობა (Poinar, 1975), ხოლო ცნობები *Melolontha pectoralis* ნემატოდების შესახებ ჩვენთვის მისაწვდომ ლიტერატურაში არ მოიპოვება.

1995 წლის ივნისიდან 1996 წლის ივლისის ჩათვლით აღებული მასალის შესწავლამ საშუალება მოგვცა გვემსჯელა აღნიშნული ორი სახეობის ხოჭოს დაინვაზირების ექტენსივობისა და ინტენსივობის შესახებ იხილეთ დანართი, (ცხრილი 5), როგორც ცხრილიდან ჩანს ინვაზიის ინტენსივობა არ იყო მაღალი და მსჯელობა მის სეზონურ ხასიათზე ჩვენი მასალის მიხედვით არ შეიძლება, მაგრამ ნებისმიერი პარაზიტის ინვაზიის ექსტენსივობა შეიძლება გახდეს ამა თუ იმ პარაზიტის გავრცელების ხასიათის მაჩვენებელი, ამიტომ ამას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ.

გამოკვლევის მთელ პერიოდში შესწავლილი მატლების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჭარბობდა სქესმწიფე ხოჭოების რაოდენობას, ასევე უფრო მაღალი იყო მატლების ინვაზიის ექსტენსივობა. ზოგიერთ თვეში ზრდასრული ფორმები არ აღმოჩნდნენ ინვაზირებული ნემატოდებით (1995 წლის IX და 1996 წლის IV თვე *Melolontha pectoralis*-თვის და 1996 წლის III, VI, VII თვეები *Amphimallon solstitialis*-


თვის). ასეთი განსხვავება მატლისა და ზრდასრული ფორმების ინგაზის ექსტენსივობაში დაკავშირებულია რეგისტრირებული ნემატოდების ბიოლოგის თავისებურებებთან.

მწერების პარაზიტული ნემატოდებისათვის ბიოლოგიაში დამახასიათებელია მასპინძლის სხეულიდან მიგრაცია ნიადაგში. ისეთი ობლიგატური პარაზიტები როგორიცაა *Steinerinema*-ს, *Thelastoma*-ს, და *Hexamermis*-ის წარმომადგენლები, ისინი ტოვებენ მასპინძლი მატლის სხეულს და გამოდიან ნიადაგში (Poinar, 1975). ამ შემთხვევაში ნიადაგი არის მათვის არა „გადარჩენის“ არამედ „განსახლების“ სტაცია. ნიადაგში *Steinernematid*-ების გამოსვლა დაკავშირებულია ამ გვარის წარმომადგენლებთან ასოცირებულ სხვადასხვა ბაქტერიებთან (*Steinernema carpocapsae*-თან ბაქტერია *Achromobacter nematophilus*). მასპინძლის სხეულში მათი ძლიერი გამრავლება, ცვლის მასპინძლის ქსოვილების ქიმიზმს. ამის გამო ნემატოდები ტოვებენ ხოჭოს სხეულს და გადადიან ნიადაგში ახალი მასპინძლის მოსაძენად. ჩვენი აზრით აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ნემატოდის სიმჭიდროვეს მასპინძელში, არამედ ბაქტერიების, ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების დაგროვებას და საკვების განლევას.

მერმიტიდებისათვის ნიადაგი განვითარების გარკვეულ ეტაპებზე აუცილებელი გარემოა. მომწიფებული მერმიტიდები ტოვებენ მასპინძლის სხეულს, გამოდიან ნიადაგში და დებენ კვერცხებს მცენარეთა მიწისზედა ნაწილებზე (მირითადად ბალახოვან მცენარეებზე), ან ნიადაგში. ნემატოდების ზემოთ დასახელებული გვარების წარმომადგენლები მწერების მატლებზე ორიენტირებულ სპეციფიკურ პარაზიტებად უნდა მივიჩნიოთ.

ვერეს ხეობის მასალაში ამ ჯგუფის ნემატოდები აქ რეგისტრირებულ სახეობათა 1/3 შეადგენს. ამიტომ დარღვეულია ჩვეულებრივი სურათი, როდესაც იმაგოს დაინვაზირების ექსტენსივობა უფრო მაღალია, ვიდრე მატლების. მწერების სპეციფიკური ნემატოდებით დაინვაზირების დროს შემჩნეული ეს თავისებურება ადრე არ იყო ლიტერატურაში აღწერილი და ვთვლით, რომ ის სპეციალური გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს მომავალში.

ორივე სახეობის ხოჭოს ინვაზიის ექსტენსივობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ იგი არაა კორელაციაში გაკვეთილი ხოჭოების რაოდენობასთან. ზოგ შემთხვევაში იგი აღწევს მაღალ მაჩვენებლებს (1995 წლის VII, XI და 1996 წლის IV, V *Amphimallon solstitialis*-თვის და 1995 წლის VIII, IX და 1996 წლის III *Melolontha pectoralis*-თვის) (სურ. 31, სურ.32).



სურ. 31.


***Melolontha pectoralis* დაინვაზირების დინამიკა
გერეს ზეობაში**

— იმაგოს რიცხოვნობა

- - - - - მატლის რიცხოვნობა

— ინვაზირებული იმაგო (%)

— ინვაზირებული მატლი (%)



სურ. 32.

Amphimallon solstitialis დანართირების

დონამიკა ვერეს ხეობაში

— იმაგოს რიცხოვნობა

- - - - - მატლის რიცხოვნობა

— ინვაზირებული იმაგო (%)

— ინვაზირებული მატლი (%)

ვერეს ხეობაში მოპოვებული 9 სახეობის ნემატოდიდან, დაღვენილია 2 ისეთი სახეობა (*Pelodera serrata* და *Pelodera teres*), რომლებიც არ წარმოადგენენ ტიპურ პარაზიტებს. ისინი მიეკუთვნებიან საპრობიონტულ ნემატოდათა ჯგუფს, რომელიც ნიადაგში საპრობიონტულ კერებშია გავრცელებული. პოინარი (Poinar, 1975) თვლის, რომ რაბდიტიდების უმრავლესობა ისეთ ნემატოდებს მიეკუთვნება, რომლებიც მწერების განვითარების სხვადასხვა სტადიას იყენებს ფორმუზისათვის, ან ფაკულტატიური ენტომობიონტებია. მხოლოდ ერთეული სახეობები შეიძლება ჩაითვალოს პარაზიტად. მაგალითად ფაკულტატიურ პარაზიტად პოინარი (Poinar, 1975) თვლის *Rhabditis insectivora*, რომელიც დამახასიათებელია *Cerambicidae*-ბისათვის.


რაც შეეხება რეგისტრირებულ რაბდიტიდებს, ისინი უფრო ხშირად ლპობად მცნარეულ მასაში ან დაღუპულ მწერებზე გვხვდება. ამიტომ მათი კავშირი ხოჭოებთან ატარებს შემთხვევით ხასიათს და ეს მნიშვნელოვნად ცვლის ამ უკანასკნელთა დაინვაზირების სურათს.

ამრიგად, ხოჭოების დაინვაზირების დინამიკაში შეწავლამ გამოავლინა ზოგიერთი სახეობის ნემატოდის ამოვარდნა ფაუნისტური კომპლექსებიდან ზრდასრულ ხოჭოებში. დადგინდა, რომ დაინვაზირების ინტენსივობა და ექსტენსივობა არ განიცდის გამოხატულ სეზონურ ფლუქტუაციას, რაც დაკავშირებული უნდა იყოს იმასთან, რომ მასპინძლები (ძირითადად ხოჭოს მატლები) ტიპური ედაფობიონტები არიან და გარემოს ცვლის უშუალო გავლენისაგან დაცული არიან ნიადაგის ღრმა შრეებში მიგრაციის შესაძლებლობით (ელიავა, 1992).

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ინვაზიის მაღალი ინტენსივობის შემთხვევები შეინიშნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხოჭოები ინვაზირებული იყვნენ ენტომოპათოგენური ნემატოდებით *Steinernema georgica* და *Cephalobellus melolonthae*.

გამოვთვალეთ ამ პერიოდში ინვაზიის ინტენსივობის საშუალო მაჩვენებლები და დისპერსია. ამან საშუალება მოგვცა, დაგვედგინა ინვაზიის ცვალებადობა ამ ორ სახეობაში. მაისის ხოჭოსათვის ინვაზიის ვარიაციის კოეფიციენტი უდრის 16,3%-ს, ხოლო ივნისის ხოჭოსათვის 18,5%-ს. ეს მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ ვარიაციული რიგის ცვალებადობა საშუალოა და მეტად მსგავსია ორივე სახეობისათვის.

როგორც მასალიდან ჩანს, ულვაშფირფიტოვნებში ნემატოდების უმრავლესობა სპეციფიკური ნემატოდების ჯგუფის წარმომადგენელია (80%), ხოლო უმცირესობას წარმოადგენენ არასპეციფიკური ჯგუფის ნემატოდები (20%).



სურ. 33.

ულვაშფირფიტოვნი ხოჭოების ნემატოდების
რაოდენობა ეკოჯგუფების მიხედვით (%-ებში).

გამოკვლევების მიხედვით ნემატოდები მასპინძლის ორგანოებში ლოკალიზაციის მხრივ განაწილებული არიან შემდეგნაირად: იხილეთ დანართი (ცხრილი 6). როგორც ცხრილიდან ჩანს, ზრდასრულ ხოჭოებსა და მატლებში ნემატოდების უმრავლესობა ოქსიურიდებია (77,07%). ისინი ნაპოვნია ნაწლავში, უფრო ნაკლები ნაპოვნია სხეულის ღრუში (სტეინერნემატოდების წარმომადგენლები 4,99%). ნემატოდების უმცირესობა მოთავსებულია სხეულის გარეთა საფარველზე (pelodera, protorhabditis-ის წარმომადგენლები – 2,99%).

ნემატოდების ლოკალიზაციის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, მათი კვებითი სპეციალიზაციის შესახებ. ნემატოდები, რომლებიც ნაწლავშია ლოკალიზებული, უნდა იკვებებოდნენ ნაწლავში არსებული ნახევრად გადამუშავებული საკვებით. სხეულის ღრუში მობინადრე ნემატოდები იკვებებიან როგორც არსებული ქსოვილებით, ასევე ღრუში არსებული ორგანული ნივთიერებებით. უფრო პრობლემურია სხეულის გარე საფარველზე მყოფი ნემატოდების კვების ხასიათის დადგენა, რადგან აქ სპეციფიკური საკვების არსებობა გამორიცხულია. იხილეთ დანართი (ცხრილი 6).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ნემატოდები იკვებებიან ხოჭოს ხარჯზე, ასევე ძირითად გარემოში – ნიადაგში. ე.ი. ბაქტერიებით, დეტრიტით და სხვა. სხვადასხვა ეკოლოგიური ჯგუფის ნემატოდებისათვის, ხოჭო-მასპინძლის ორგანოებში ნემატოდების განაწილება მნიშვნელოვნადაა განსხვავებული. განსხვავება აგრეთვე კარგადაა გამოხატული ინვაზიის ექსტენსივობასა და ინტენსივობაში.

გამოკვლევის მსვლელობაში ნაპოვნი და აღწერილი იყო მეცნიერებისათვის ახალი სახეობა *Heterorhabditis poinari* (Kakulia, Mikiaia, 1997), რომლის ბიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლის მიზნით 1997 წელს ჩავატარეთ სპეციალური დაკვირვებები. გამოვლინდა, რომ ნემატოდის ონგაზიური ლარვები პირის ღრუსა და ანალური ხვრელის გზით აღწევენ ულვაშფირფიტოვანი ხოჭოს შინაგან ორგანოებში, ცხიმოვან ქსოვილსა და პემოლიმფაში. ამ გზით მათ ხოჭოს სხეულში შეაქვთ პათოგენური ბაქტერია.

ცნობილია, რომ ნემატოდების ამ ჯგუფს ახასიათებს კარგად განვითარებული საყლაპავის ჯირკვლები, რომელთა ფერმენტი – ჰიალურინოდაზა შლის ნაწლავსა და სხეულის საფარველის რბილ ქსოვილებს. ამის შედეგად ნემატოდების შეღწევა ქსოვილებში ადვილდება.

ნემატოდების კულტივირებას ვახდენდით სპეციალურ მაგარ ან თხიერ ზელოვნურ საკვებ არეებზე, რომლის PH ახლოს უნდა იყოს ნეიტრალურთან. საკვებ არედ გამოიყენება თუთის აბრეშუმხვევების ან ხოჭოს მატლები. ამ შემთხვევაში ნემატოდები ასწრებენ სამი თაობის მოცემას. თუ საკვებ არედ გამოყენებულია თაფლის ფიჭის ჩრჩილის, ან პურის ხოჭოს მატლები, მაშინ ისინი იძლევიან მხოლოდ ორ თაობას.

მნიშვნელოვანი სხვაობაა ნემატოდების რიცხოვნობაშიც. პირველ შემთხვევაში მათი რაოდენობა ერთ საკვებ არეზე აღწევს 410-450 ათასს, ხოლო მეორე შემთხვევაში 200-260 ათასს. ნემატოდების დათვლა ხდება საათის მინის საშუალებით ბინოკულარის ქვეშ. თხიერი საკვების გამოყენების

დროს შეიძლება მივიღოთ ნემატოდების განუსაზღვრელად დიდი რაოდენობა.

ხოჭოს სხეულში, ნემატოდების შეღწევის შემდეგ პარაზიტის პირიდან ან სწორი ნაწლავიდან გამოიყოფა ბაქტერიები, რომლებიც სწრაფად მრავლდებიან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბაქტერიების მომაკვდინებელი მოქმედება განპირობებულია მათ მიერ გამოყოფილი ტოქსინებით, რომელიც სეპტიცემიას იწვევს, ცხიმოვანი ქსოვილი და ჰემოლიმფა იშლება, ნემატოდა დაშლის პროდუქტებს ადვილად ითვისებს და კარგად მრავლდება. ამ პერიოდისათვის ლარვები აღწევენ ნემატოდების განვითარების მეორე, მესამე სტადიას და ინვაზიური ხდებიან. ინვაზიური ლარვები ტოვებენ მასპინძლის სხეულს და ახალი მასპინძლის ძიებას იწყებენ ნიადაგში. აღწერილი ნემატოდის ახალი სახეობის ბიოლოგიის შესწავლა საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ, შეიძლება თუ არა მისი ეფექტური გამოყენება მავნე მწერების ბიოლოგიური კონტროლისათვის.

ეცტომონაათოგენერი ნემატოდების

STEINERNEMA CARPOCAPSAE-ს და

HETERORHABDITIS POINARI-ს

ზემოქმედების უსიფაგლა ღაგორიატო-
რიულ და საველე პირობებში

ეცტომონაათოგენერი ნემატოდების STEINERNEMA

CARPOCAPSAE-ს და HETERORHABDITIS POINARI-ს

ზემოქმედების უსიფაგლა თუთის აპრეზუას
პარამეტებიაზე და ხოჭო-მარტორქაზე ღაგორა-
ტორიულ პირობებში

ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებულ იქნა ექსპერი-
მენტები, სადაც გამოცდილი იყო ნემატოდა Heterorhabditis
poenari თუთის აპრეზუას პარამეტერების მიმართ და ენტომო-
პათოგენური ნემატოდები Steinernema carpocapsae და Hete-
rorhabditis poenari ხოჭო-მარტორქაზე, როგორც ლაბორატო-
რიულ, ასევე საველე პირობებში.

ლაბორატორიულ პირობებში კიუვეტზე (ზომით 46X38
სმ) დაფენილ საშრობ ქაღალდზე დასმული იყო 35 ეგზემ-
პლარი მეოთხე ხნოვანების მარტორქის მატლი. მატლების
საკვებად და თავშესაფრად საშრობ ქაღალდზე პრეპარატის
გამოშრობის თავიდან აცილების მიზნით დაფენილ იქნა ნახ-
ერხის თხელი ფენა. საკონტროლოდ გამზადებულ კიუვეტზე
დასმული იქნა IV ხნოვანების ხოჭო-მარტორქის 27 ეგზემ-
პლარი და აქაც, ისევე როგორც საცდელ კიუვეტზე, საკონ-
ტროლო კიუვეტზეც დაგაფინეთ ნახერხის თხელი ფენა.

საცდელ კიუვეტზე დასმულ მატლებს მოვასხურეთ *Steiner-*
nema carpocapsae-ს ნემატოდებიანი ხსნარი, სადაც 1 მლ-ში
 გამოსაცდელი ნემატოდების 250 ეგზემპლარი იყო. საკონ-
 ტროლო კიუვეტზე მოვასხურეთ ჩვეულებრივი წყალი. პირ-
 ველ დღეს ორივე კიუვეტზე ყველა მატლი ცოცხალი იყო.
 48 საათის შემდეგ საცდელ კიუვეტზე დახოცილი აღმოჩნდა
 ხოჭო-მარტორქის 32 ეგზემპლარი. საკონტროლოზე ყველა
 მატლი ცოცხალი იყო, მეოთხე დღეს საცდელ კიუვეტზე
 კიდევ ერთი მატლი მოკვდა. ამრიგად, საცდელ კიუვეტზე
 სულ დაიხოცა 33 მატლი, რაც შეადგენს ექსპერიმენტში
 გამოყენებული მატლების 94,28%-ს მონაცემები კიდევ ერთ-
 ხელ მოწმობს *Steinerinema carpocapsae*-ს ეფექტურობას ხო-
 ჭო-მარტორქის მატლების მიმართ გამოყენებისას. ასევე, ლა-
 ბორატორიულ პირობებში შედარების მიზნით გამოცდილი
 იყო ნემატოდა *Heterorhabditis poinari*-ს ზემოქმედება აბრე-
 შუმის პარკმხვევიას III სტადიის მუხლუხოებზე. ექსპერიმენ-
 ტის ჩასატარებლად გამოვიყენეთ აბრეშუმის პარკმხვევიას 91
 ეგზემპლარი. ჩავატარეთ ორი ექსპერიმენტი. პირველი ექსპე-
 რიმენტის დროს ლაბორატორიულ პირობებში კიუვეტზე
 (ზომით 46X38 სმ) გამოხდილი წყლის მოსხურების შემდეგ
 დაფენილ ფილტრის ქაღალდზე დავაღალაგეთ თუთის ახალი
 ფოთლები და მოვათავსეთ აბრეშუმის პარკმხვევიას 28 მუხ-
 ლუხო. ფოთლებზე პირველი ექსპერიმენტის დროს გამოვიყე-
 ნეთ ნემატოდობაქტერიული პრეპარატის სამუშაო სითხე, სა-
 დაც 1 მლ სუსპენზიაში ნემატოდის *Heterorhabditis poinari*-ს
 125 ეგზემპლარი იყო. მეორე ექსპერიმენტი ჩატარდა იმავე
 დღეს და იმავე პირობებში. მეორე კიუვეტზე დაგსვით თუთის
 აბრეშუმის პარკმხვევიას 39 მუხლუხო. მეორე ექსპერიმენტ-

ში გამოვიყენეთ სამუშაო სითხე, სადაც სუსპენზიაში 1 მლ-ში იყო 250 გგზემპლარი ნემატოდა. საკონტროლოდ დასმული იყო აბრეშუმის პარგმხვევიას 24 მუხლუხო. კიუვეტზე დაფენილ თუთის ფოთლებს დავასხურეთ ჩვეულებრივი წყალი. ექსპერიმენტი გრძელდებოდა 72 საათის განმავლობაში. ორივე ექსპერიმენტისა და საკონტროლო ცდის შედეგი იხილეთ დანართში (ცხრ. 7).


როგორც ცდიდან ჩანს, მუხლოხოების დახოცვის უფრო მაღალი მაჩვენებელი მივიღეთ უფრო მაღალი კონცენტრაციის სუსპენზის გამოყენების დროს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ Heterorhabditis-ების პრაქტიკაში გამოყენების დროს უნდა გავითვალისწინოთ მოქმედი სუსპენზის კონცენტრაცია. პირველ კიუვეტზე, სადაც ნემატოდების კონცენტრაცია 1 მლ-ში 125 გგზემპლარი იყო, დახოცვის შედარებით დაბალი პროცენტია, ეს მოსალოდნელი იყო, რადგან მატლების ინგაზიის ინტენსივობა გაცილებით ნაკლები იყო. საკონტროლო კიუვეტზე ყველა მუხლუხო ცოცხალი დარჩა. ეს ექსპერიმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის ბიოპრეპარატის ეფექტურობას. მიღებული მონაცემებით ბიოპრეპარატი მაღალი ეფექტურობით გამოიჩევა მაშინ, როცა სუსპენზიაში ნემატოდების რაოდენობა 250 ეგზ./მლ-ში შეადგენს.

**ენტომოპათოგენერი ნემატოდების
STEINERNEMA CARPOCAPSAE-ს და**

HETERORHABDITIS POINARI-ს


**ხოჭო-მარტორქაზე ზემოქმედების შესწავლა
საგელე პირობებში**

გამოცდილ იქნა ენტომოპათოგენური ნემატოდების Steinernema carpocapsae-ს და Heterorhabditis poinari-ს მოქმედება ხოჭო-მარტორქაზე საველე პირობებში. ბორჯომის რაიონში ახალდაბის სამხერხაოში წინასწარ იქნა მოპოვებული ხოჭო-მარტორქის მესამე და მეოთხე ხნოვანების მატლები. საველე ექსპერიმენტი ჩატარდა ზოოლოგის ინსტიტუტის ახალდაბის ექსპერიმენტულ ბაზაზე (სურ. 34, 35, 36, 37). საცდელ ნაკვეთზე აღებულ იქნა 3 წერტილი, სადაც ჩასმული იყო 70+70+60 ხოჭოს მატლი. მომზადებული იყო Steinernema-ს და Heterorhabditis-ის სამუშაო სითხე ცალ-ცალკე. სამუშაო სითხის 1 მლ ხსნარი შეიცავდა 250 ნემატოდას. საცდელ ნაკვეთზე Steinernematid-ებით და Heterorhabditis-ებით შესხურებისას ექსპერიმენტში დახარჯულ იქნა ორ-ორი ლიტრი სამუშაო სითხე, ხოლო საკონტროლო ნაკვეთზე, სადაც ჩასმული იყო სულ 60 მატლი, დავხარჯეთ ასევე 2 ლიტრი ჩვეულებრივი წყალი. ხოჭო-მარტორქის მატლების ჩასმისა და მათზე პრეპარატის მოსხურების შემდეგ, ნაკვეთზე ხოჭოს მატლების კვებისათვის, და პრეპარატი რომ არ გამოშრობილიყო მოფენილ იქნა ნახერხის თხელი ფენა.




სურ. 34.

საექსპერიმენტო ნაკვეთის დამუშავება



სურ. 35.

საექსპერიმენტოდ და საკონტროლოდ გაყოფილი ნაკვეთები



სურ. 36.

მარტორქის ბოლო ზნოვანების საუკეთენტოდ
ჩასმული მატლები



სურ. 37.

მარტორქის მატლებიასმული და ბიოპრეპარატით
შესხურებული ნაკვეთები

ექსპერიმენტის დროს დახოცილი მატლების აღრიცხვაშ
შემდეგი სურათი მოგვცა. იხილეთ დანართი (ცხრილი 8).

ყოველი საცდელი ნაკვეთიდან აღებული დახოცილი
ხოჭოს მატლებს ვსინჯავდით ცალ-ცალკე, როგორც *Steiner-*
nema-ზე ასევე *Heterorhabditis*-ზე. აღმოჩნდა, რომ ყველა
დახოცილი მატლი დაინვაზირებული იყო *Steinernema*-ს და
Heterorhabditis-ის ლარვებით. თუ მატლი რამდენიმე დღის
მკვდარი და გახრწნილი იყო, მატლის სხეული გავსებული
იყო *Steinernema*-სა და *Heterorhabditis*-ის სქესმწიფე და
ლარვული ფორმებით. საკონტროლო ნაკვეთზე ერთადერთი
მკვდარი მატლის გაკვეთისას მასში აღმოჩნდა მხოლოდ დიპ-
ლოგასტერიდები, რაბდიტიდების ერთეული ლარვები და
სქესმწიფე ფორმები, ამრიგად, აქ ენტომოპათოგენური ნემა-
ტოლების მოქმედება გამორიცხული იყო. დასაშვებია, რომ
საკონტროლო ნაკვეთზე ნანახი ის ერთადერთი მატლი და-
ზიანდა მოპოვებისას, ან ჩასმის დროს, შემდეგ კი მასში
შეაღწიეს საპრობიონტულმა ნემატოლებმა.

Steinernema-ს მოქმედების ყველაზე მაღალი ეფექტი
ექსპერიმენტიდან მე-17 დღეს იქნა აღნიშნული (დაიხოცა 18
მატლი). უნდა ვიგულისხმოთ, რომ დარჩენილი მატლები (9
მატლი) არ დაინვაზირდნენ *Steinernema*-ს ლარვებით და
ისინი სიცოცხლისუნარიანები იყვნენ. *Heterorhabditis*-ის
ეფექტი საკველე პირობებში, *Steinernema*-სთან შედარებით
უფრო დაბალი იყო და 55,55% შეადგენდა. დახოცილი მატ-
ლების გაკვეთისას *Heterorhabditis*-ის ლარვების რაოდენობა
ხოჭოს მატლის სხეულში თითქმის ყველა შემთხვევაში
საგრძნობლად მეტი იყო, ვიდრე *Steinernematid*-ების შემ-
თხვევაში.

გამოვცადეთ ბიოპრეპარატის (*Steinernema-s*) მოქმედება მარტორქის მატლზე ლაბორატორიულ პირობებში და მიღებული გვაქვს მაღალი შედეგი (დაიხოცა მატლების 89-92%). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლაბორატორიულ და საველე პირობებში *Steinernema carpocapsae*, ხოჭოს მატლების ინვაზირების მაღალი ეფექტით ხასიათდება და მისი გამოყენება მავნე მწერების რიცხოვნობის დასარეგულირებლად გამართლებულია. რაც შეეხება *Heterorhabditis*-ის მოქმედების ეფექტურობას, ნემატოდის ეს სახეობაც ლაბორატორიაში უფრო მაღალ ეფექტს იძლევა, ვიდრე საველე პირობებში. ინსექტიციდებთან შედარებით *Heterorhabditis*-ის როგორც ბიოპრეპარატის ეფექტი, უფრო მაღალია, ეკოლოგიურად სუთთაა და ეკონომიურად გამართლების ული.

ამრიგად, ჩატარებული საველე ექსპერიმენტი *Steinernema carpocapsae*-სა და *Heterorhabditis poinari*-ს გამოყენებით მიუთითებს იმაზე, რომ ამ ორი სახეობისაგან დამზადებული ბიოპრეპარატი პერსპექტიულია მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის და მწერების რიცხოვნობის რეგულირებაში ეფექტურია.

დასკვნები

- * შესწავლილია საქართველოში გავრცელებული სატყეო მეურნეობისა და კულტურულ მცენარეთა მავნებელი 9 სახეობის ულვაშფირფიტოვანი ხოჭოს ნემატოფაუნა. სულ რეგისტრირებულია ნემატოდების 30 ფორმა, სახეობამდე გარკვეულია ნემატოდის 20 ფორმა, გვარამდე 10. რეგისტრირებული ნემატოდები გაერთიანებული არიან 3 რიგში (Rhabditida, Oxyurida, Mermithida,), 5 ოჯახში (Rhabditidae, Steinernematidae, Cephalobidae, Thelastomatidae, Mermithidae) და 10 გვარში (Pelodera, Heterorhabditis, Steinernema, Mesodiplogaster, Cephalobellus, Thelastoma, Severianoia, Hexamermis, Mesomermis, Scriabinomermis).

კვლევითი სამუშაოები ჩატარდა როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში 1994-1998 წლებში.

- * საქართველოში პირველადაა რეგისტრირებული ნემატოდების 7 სახეობა (Pelodera serrata, Cephalobellus Melonthae, Cephalobellus tipulae, Cephalobellus brevicaudatum, Thelastoma cuspidatum, Thelastoma depresum, Mesomermis korsacovi).

გამოკვლევის მსვლელობაში ნაპოვნი და აღწერილია მეცნიერებისათვის ერთი ახალი სახეობა – Heterorhabditis poinari (Kakulia, Mikaila, 1997), რომლის ბიოლოგიის ზოგიერთ თავისებურებათა შესწავლის მიზნით, ჩატარებული სპეციალური დაკვირვებებიდან გამომდინარე ვას-

კვნით, რომ ეს სახეობა ენტომოპათოგენურია და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მავნე მწერების ბიოლოგიური კონტროლისათვის.

